К 280241
30

ეროვნული ბიბლიოთეკა

TBILISI

ძველი თბილისი

საიუბილეო სუვენირული ალბომი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის

ისტორია

[2013]

087.5:94(479.22-25)(031)
ბ-53

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეისა და პროექტის ავტორი: დოდო წივწივაძე

ავტორი:
თეიმურაზ ბერიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე

რედაქტორი: **თამარ ნინიკაშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი: **მაია წივწივაძე**

მხატვარ-დიზაინერი: **მალხაზ კუხაშვილი**

კომპიუტერული დიზაინი: **ნუგზარ არჩემაშვილი**

სტილისტი: **ცისანა ნიკოლაიშვილი**

ფოტოები: **ჯემალ კასრაძე, თათა არჩემაშვილი**

K280·241

გამოყენებულია ცნობილი ფოტოგრაფების ალექსანდრე როინაშვილის, დავით გურამიშვილის, დიმიტრი შევარდნაძის, ალექსანდრე ენგელის, სერგეი მარგულოვისა და დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები და ოსკარ შმერლინგის ნახატები.

© დილა
ყველა უფლება დაცულია
ISBN 99940-811-0-1 (სერიის)
ISBN 978-99940-814-6-2
ISSN 1512-4436

შპს საბავშვო გამომცემლობა „დილა“
თბილისი, 360096
www.dila.ge

გამოიცა თბილისის მერიის
თანადგომით

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალაქების“ სერიის პირველ წიგნში შეძლებისდაგვარად აისახა თბილისის ცხოვრების გზა დაარსებიდან, ვიდრე XVII საუკუნის დასასრულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წიგნში გიამბობთ, რა გადახდა ჩვენს დედაქალაქს XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე – გავიხსენებთ საინტერესო ამბებს ქალაქის ცხოვრებიდან, ვისაუბრებთ თბილისელთა წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებზე, რომლებიც დღეს უკვე დავიწყებას მიეცა, შევეცდებით ნახატებითა და ფოტოებით გავაცოცხლოთ ქალაქის მკვიდრთა სახეები თავისი ჩაცმულობითა და ცხოვრების ნირით, ვირტუალურად შემოვივლით თბილისის ვიწრო ქუჩებს და ქვაფენილიან გამზირებს, აჟრიამულებულ ბაზრებსა და საჩრდილობლებით გადახურულ დუქნებს, თქვენთან ერთად გავხდებით ორთაჭალის ბაღებში გამართული ნადიმებისა და თბილისის ლიტერატურული სალონების სტუმარი...

ამ „მოგზაურობაში“ დიდ დახმარებას გაგვიწევს იმ პერიოდში საქართველოს დედაქალაქში სტუმრად მყოფი უცხოელი მოგზაურების მემუარები და ჩანაწერები, პერიოდული პრესა, რომელიც XIX საუკუნიდან გაჩნდა და რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქალაქის ყოველდღიური ამბები, განცხადებები და რეკლამები. არანაკლებ მდიდარი ინფორმაციის შემცველია იმდროინდელ დიდგვაროვანთა და ცნობილ მოღვაწეთა ის პირადი მიმოწერა, რომელიც სხვადასხვა ოჯახურ თუ სამუზეუმო არქივშია დაცული.

ამ მასალებმა საშუალება მოგვცა, დეტალურად თუ მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ქრონიკების სახით, წარმოგვედგინა ჩვენი დედაქალაქის ცხოვრების ყველა ეტაპი.

წიგნი მთავრდება ნახატებითა და ფოტოებით გაცოცხლებული თბილისის მთავარი მოედნისა და ქუჩის ისტორიით.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარი XIV — გვ. 7–52

„სახე თბილისისა ახლად დახაზული...“
ყაბახი
სახლი „ქართული რიგისა“ და „შირვანული“
თბილისური აბანოები
ქეიფი ტივზე
„თვის შაური“ და „სამასპინძლო“
თბილისის ბაზარი და თბილისელი ვაჭრები
„ამქარი ამქარს იცნობს“
თბილისელი აშუღები
შერჯინება ლექსით და საზით
ჩრდილების თეატრის წინაპარი
„ბილეთები ორ შაურად“
თელეთობა
შაჰსეი-ვაჰსეი
გაზაფხულის დღესასწაული

ჯარი XV — გვ. 53–112

ბანებიდან აივნებზე
პოეტი „ბიზნესმენები“
აჯანყებად ქცეული გაფიცვა
წყალდიდობები თბილისში
საქალაქო ტრანსპორტი
მგზავრობა იაპონურად
„ზეპირი გაზეთები“
პანსიონები და გიმნაზიები

თბილისის სალონური ცხოვრება
რუსული სამოვრის ოინები
ჯლუბები და „ჯრუჭოჯები"
ბიბლიოთეკები და წიგნსაცავები
ქარვასლის თეატრი
14 იანვარი ქართული თეატრის დაბადების დღეა
„სადაცა იმყოფებოდეს..."
თბილისის „მესურათხატენი"
„გადადექი გზიდან!"
ყარაჩოხელი და ჯინტო
მუშთაიდი
პირველი თბილისელი აერონავტი
ალექსანდრეს ბაღი
საყველიერო დღესასწაულები
„ჭიდაობას რა უნდა..."
თბილისში ყოჩები, აქლემები და მამლებიც ჯი ჭიდაობდნენ
ყეენობა და ბერიჯაობა

გვ. 113–120 **ჯარი XVI**

XX საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონიკა

გვ. 121–128 **ერთი ქუჩის ისტორია**

ერევანსკის – შეშის – თეატრის – თავისუფლების – ზაჟფედერაციის – ბერიას – ლენინის – თავისუფლების მოედანი

გოლოვინის – რუსთაველის გამზირი

ერეკლე II.

მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა თბილისის ჯანიშინად (მხარის გამგებლად) გიორგი XI-ის ძმისწული ვახტანგ ბაგრატიონი (შემდეგში – ვახტანგ VI) დანიშნა, ქალაქი აღორძინების გზას დაადგა: ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ქვეყანაში წესრიგის აღდგენა სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების წინსვლისა და კულტურული განვითარების საფუძველი გახდა. ვახტანგ VI-მ დააბრუნა ქართლიდან გაფანტული მოსახლეობა, მთლიანად აღკვეთა ტყვეთა გაყიდვა, გაიყვანა საირიგაციო არხები, დაარსა სტამბა... მაგრამ დაწყებული საქმის გაგრძელება მას აღარ დასცალდა.

1723 წელს კახთა მეფე კონსტანტინემ ლეკთა დაქირავებული ჯარით აიღო და გაძარცვა თბილისი. სულ მალე ქალაქი ოსმალთა ხელში აღმოჩნდა, მათ კი 1735 წელს უბრძოლველად დაუთმეს თბილისი ირანელებს.

ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზ II-ის ვაჟმა, ერეკლე II-მ თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლა და ქალაქმა ცოტა ხნით ამოისუნთქა, მაგრამ მშვიდობა კვლავ ხანმოკლე აღმოჩნდა.

კავკასიის ციხესიმაგრეში, გეორგიევსკში, ქართველთა და რუსთა ელჩების ხელმოწერილმა ტრაქტატმა, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა, იმედები ვერ გაამართლა. XVIII ს-ის 80-იან წლებში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი და რუსეთმა საქართველოში ტრაქტატის საფუძველზე შემოყვანილი ჯარი უკანვე გაიყვანა. 1795 წელს საქართველო კვლავ მარტო აღმოჩნდა აღა-მაჰმად-ხანის 35000-კაციანი ლაშქრის წინაშე... კრწანისის ველზე გამართული ბრძოლის მოგების შემდეგ თბილისში შემოჭრილმა ყიზილბაშებმა გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინეს. ნგრევასა და აწიოკებას ვერ გადაურჩა ქალაქში მდგარი ვერც ერთი საერო თუ საეკლესიო ნაგებობა.

ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ თბილისმა თავისი პირვანდელი სახე კარგა ხანს ვეღარ დაიბრუნა.

გეორგიევსკის ტრაქტატი.

ჯერი XIV

სახე თბილისისა ახლად დახაზული... რიქელი არს საცხოვრო ქართლისა



1. მეფის სასახლე
2. დედოფლის სასახლე
3. კარის საყდარი
4. მეფის მოედანი
5. ბატონიშვილის სასახლე
6. ანჩის ხატი
7. ამილახვრის სახლი
8. ბატონიშვილის სახლი
9. ლუარსაბისა
10. მუხრან ბატონისა
11. სიონი
12. თბილელის ქარვასლა
13. მელიქის ქარვასლა
14. მეფის ფუნდუკი
15. ციხის მეიდანი
16. ნიკოლოზის საყდარი
17. ციხის საყდარი
18. მაღალი ციხე
19. სტამბოლის გოდოლი
20. შაჰის ტახტი
21. კოჟრის კარი
22. დილმის კარი
23. მეიდნის კარი ხიდით
24. ქვემო კარი ხიდით
25. ვანქი
26. სასაფლაო სომეხთა
27. მეიდნის სასახლე
28. მეიდანი ანუ ასპარეზი
29. ყაიბულას ბაღი
30. საბაზიერო მეფისა
31. სასაფლაო თათრისა
32. ციციშვილის სახლი
33. ქაშვეთი
34. კალოუბანი
35. არაგვის ერითავის სახლი
36. სომხის საყდარი
37. ბეჭანას ქარვასლა
38. მამასახლისის ბაღი
39. დედოფლის ბაღი
40. მეფის დიდი ბაღი
41. ამარათი
42. თბილელის ბაღი
43. სალალაკის წყალი
44. იშუტრუქი
45. მთაწმინდა
46. ტფილისის ხიდი ციხიდამ
47. ტფილისის ბაღი სეიდაბადისა
48. სალთკარი
49. მთაბორი
50. თათართა საფლავი
51. ციხის ბაღი
52. ოქუანთ ხიდი
53. წაჭკისის წყალი
54. კრწანისის ბაღი
55. მეტეხი ციხით
56. ავლაბარი, ისანი
57. სომხის საყდარი
58. ბერძნის საყდარი
59. მელიქის საყდარი
60. ბებუთას ბაღი
61. სომხის საყდარი
62. ჩულურეთი
63. კვირაცხოველი
64. ახალი სოფელი
65. ახალი ბაღი მეიდნისა

ა. კალა ანუ ტბილისი
ბ. მამასახლისის საყდარი
გ. სომხის საყდარი
დ. ლათინთ საყდარი
ე. ბეჭანას ბაღი
ვ. მოლნისი
ზ. კლდის უბნის საყდარი
ც. ციხე დაბალი
თ. მაღალი ციხე
ი. სეიდაბადი ანუ ტბილისი
ია. ხიდი ავლაბისა
იბ. ბარეთუბანი
იგ. ავლაბრის კარი
იდ. მდინარე მტკვარი

. . . . გზა
ველი
იე. თხრილი
გორა
ივ. ფრანგის საფლავი

დედანზე მოთავსებული წარწერები ჩვენს გამოცემაში შეცვლილია ციფრებით, რაც ქვემოთ მოგვყავს:

66. კუმისის გზა
67. კოჟრის გზა
68. კოჟრის გზა
69. ბაღების გზა ჭარაისა
70. კახეთის გზა
71. შუატბის გზა
72. ლისის გზა
73. მახათა
74. ავჭალის გზა
75. ზედა გზა

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი)

(1696–1757 წწ.)

ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი. სწავლა-განათლება მეფის კარზე მიიღო. ფლობდა რამდენიმე ენას, აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1724 წელს მამას, ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში და მთელი დარჩენილი ცხოვრება საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის საკითხთა კვლევას მიუძღვნა. ფართო იყო მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ინტერესების სფერო – ისტორია და გეოგრაფია, კარტოგრაფია და მათემატიკა, ასტორნომია, მწერლობა, და მთარგმნელობითი საქმიანობა.

ვახუშტი ბატონიშვილი თბილისის შესახებ მოგვითხრობს თავის ორ ნაწარმოებში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745 წ.) და 1735 წელს გამოცემულ გეოგრაფიულ ატლასში. ატლასის მესამე ტაბულის (ქართლის რუკა) მარჯვენა ზემო კუთხეში მოთავსებულია თბილისის გეგმა, შედგენილი 1724 წლამდე, ვახუშტის რუსეთში წასვლამდე.

ვახუშტის რუკის მიხედვით, თბილისს გარს ერტყა ქალაქისპირა სოფლები: ვერე (ვერა), ორთაჭალა, სონღალუღი, ნავთლუღი, ჩუღურეთი, ახალსოფელი (შემდეგ დროინდელი სოფ. კუკია), დიდუბე...

ვერე ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა და, დღევანდელი ვერის უბნის გარდა, საბურთალოს, დელისსა და ვაკესაც მოიცავდა. ხელსაყრელი მდებარეობისა და სარწყავი სისტემის არსებობის გამო ვერე ერთ-ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო უბანი იყო, აქედან მარაგდებოდა თბილისის ბაზრები ბოსტნეულითა და ბაღჩეულით. აქ გადიოდა ქალაქიდან წამოსული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო საქარავნო გზა – „დიღმის გზა“ (დღევანდელი მ. კოსტავას ქუჩა). მეორე, დღევანდელ მელიქიშვილის ქუჩასა და ჭავჭავაძის გამზირზე გამავალ გზას „წყნეთის გზა“ ერქვა.

თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული სოფელი ვეძისი სახასო (სამეფო) მამული იყო. 1723 წელს გაცემული წყალობის სიგელით მეფეს ეს სოფელი ციციშვილებისთვის უბოძებია.

ქალაქის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გაშენებულ იყო ორთაჭალისა და კრწანისის ბაღ-ვენახები. სამხრეთის მხრიდან, კრწანისის შემდეგ, თბილისს ესაზღვრებოდა ყურყუთა (შემდგომში სოფ. „სონღალუღი“.)

თბილისის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა სოფელი ნავთლუღი. მასაც, ისევე როგორც ზოგიერთ ქალაქისპირა სოფელს, ორი სახელი ჰქონდა – ნავთლუღი (თურქ. ნავთის ადგილი, სანავთე) და „ერეკლეს ციხე“ (აქ მდგარა მეფე ერეკლეს მიერ აგებული საკმაოდ დიდი ციხე, რომელიც მოგვიანებით დანგრეულა და სოფლის ეს სახელიც ციხესთან ერთად დავიწყებას მისცემია.

ქალაქისპირა სოფელი ***სონღალუღი*** *(იგივე ყურყუთა, სონღალუხი, სოღანლუღი) მდებარეობდა თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სოღანლუღი თურქული სიტყვაა და ქართულად სახახვეს თუ სახახვეთს ნიშნავს.*

საუკუნეების მანძილზე სონღალუღი ქალაქ თბილისის სამხრეთით მდებარე ის ადგილი იყო, სადაც ქართლის მეფეები შაჰისაგან გამოგზავნილ საჩუქრებს იღებდნენ, მათ უფლება არ ჰქონდათ სპარსეთის მბრძანებლის მიერ გამოგზავნილი რაყამი და ხალათი თავის სასახლეში, ტახტზე მჯდომს მიეღოთ. ეს ცერემონიალი ტრადიციად ქცეულა და ქართლის მეფე მაღალი თანამდებობის პირს, პატივისცემის ნიშნად, ქალაქგარეთ ხვდებოდა. რადგანაც სონღალუღი გასაჩერებელი, შესახვედრი ადგილი იყო, შეიძლება ძველი სახელი „ყურყუთა“ გასაჩერებელ, საყურყუტო ადგილსაც ნიშნავდეს.*

XX საუკუნის 50-60-იან წლებში სონღალუღს ფონიჭალა შეერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

რაყამი (არაბ.-თურქ. რაკამ გამოსახვა) – წერილი, ბრძანება.

ლექსიკონი

ვახუშტის გეგმის მიხედვით, XVIII საუკუნის თბილისი სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა: 1. **საკუთრივ თბილისი, ანუ სეიდაბადი** – დღევანდელი აბანოების და ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორია; 2. **კალა**, რომელიც მოიცავდა ნარიყალასა (კალას ციხის გვიანდელი სახელწოდება) და დღევანდელი დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას. 3. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე **ავლაბარი**.



*კალა იყოფოდა ორ ძირითად – „ქვემო“ და „ზემო“ უბნებად. ზემო უბნის ცენტრი იყო **ბატონის მოედანი**, ქვემოსი კი – **თათრის მოედანი** (ნარიყალასთან სიახლოვის გამო მას ციხის მოედანსაც უწოდებდნენ). უბნების გამყოფი გზა – დღევანდელი ლესელიძის ქუჩა – **შუა ბაზრად** იწოდებოდა.*

მოსახლეობა ქალაქის გალავნიდან სულ უფრო შორს, ჩრდილოეთისკენ მიიწევდა. იზრდებოდა ე. წ. გარეთუბნის ტერიტორია, რომელიც დღეს დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ვახუშტის გეგმის თანახმად, გარეთუბნის გარე ზღვარი ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებამდე აღწევდა; გარეთუბანში გამოდიოდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ კედელში დატანებული სამი კარი – „კოჟრის“, „შუა ანუ დიღმის“ და „ქვემო ანუ წყლის“. ქალაქის სამივე კარიდან წამოსული გზა ქაშვეთთან იყრიდა თავს. აქ იყო გარეთუბნის სავაჭრო ცენტრი თავისი ქარვასლით, რასტაბაზრით (გრძელი ბაზარი), დუქნებითა და სახელოსნოებით. გარეთუბანში იყო რამდენიმე მიკროუბანი: მუხრანთუბანი, წყლის კარის უბანი, ცხრაპურას უბანი, ბოშის უბანი, ორბელიანების უბანი, კალოუბანი, ვანქის უბანი და სხვ.

„ქვემო კართან“, მტკვრის ახლოს, ქალაქის გალავანში დატანებულ ბურჯთან, ახლანდელი ჩახრუხაძისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე იდგა მუხრანბატონების ორსართულიანი სასახლე. მათი საკუთრება იყო ავანაანთხევის (ვახუშტის მიხედვით, *სალალაკისწყალი*) გაღმა და გამოღმა მამულები, რის გამოც ტერიტორიას **მუხრანთუბანი** შეერქვა. ხევზე გადებული იყო ვიწრო ხიდი, რომელსაც „მუხრანის ხიდს“ ეძახდნენ.

მოგვიანებით, 1911 წელს, მდინარე მტკვარზე აგებულ რკინის ერთმალიან ხიდსაც მუხრანის ხიდი ეწოდა (დღევანდელი ბარათაშვილის ხიდი). ეს იყო შედუღების წესით აგებული პირველი ხიდი რუსეთის იმპერიაში (არქიტექტორი ე. პატონი). მშენებლობისას აღმოაჩინეს და ააფეთქეს ორი საუკუნის წინ ნუგზარ არაგვის ერისთავის მიერ ამ ადგილას აგებული ძველი ხიდის ნაშთები.

ფოტოალბომი

მადათოვის კუნძული.

1751 წელს მეფე თეიმურაზ II-მ თავად რევაზ ორბელიანს უწყალობა გარეთუბანში მდებარე „მეიდნის სასახლის“ ადგილი. ამ ტერიტორიას **ორბელიანების უბანი** ეწოდა.

ორბელიანებს ეკუთვნოდათ დიდი კუნძული მტკვარზე (ვახუშტის მიხედვით, ახალი ბაღი მეიდნისა), რომელიც XIX საუკუნეში გენერალ მადათოვს მიჰყიდეს. მიუხედავად იმისა, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში კუნძული ქალაქის საკუთრება იყო, დოკუმენტებში იგი მაინც „მადათოვის კუნძულის“ სახელითაა მოხსენიებული. მოგვიანებით, კუკიისა და გარეთუბნის შესაერთებლად დაწყებული ხიდების მშენებლობისას, კუნძულზე დიდძალი მიწა დაყარეს, XX ს-ის 30-იან წლებში კი მარჯვენა სანაპირო ჯებირის მშენებლობის გამო მთლიანად გაუქმდა კუნძულის წარმომქმნელი მტკვრის მარჯვენა ტოტი.

გარეთუბნის მოსახლეობის დაბალი ფენების – წვრილ-ვაჭართა, ხელოსანთა და სხვათა სახლები მიჯრით მდგარა, თავად-აზნაურთა კარმიდამოები კი ერთიმეორისგან კარგა დიდი მანძილით ყოფილა დაშორებული. აქ სახლები ედგათ: დიდ ფეოდალს არაგვის ერისთავს (დაახლოებით ახლანდელი საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი), თავად ციციშვილებს (ყოფილი „ოფიცერთა სახლი“), აბაშიძეებს, ხერხეულიძეებს, თუმანიშვილებს (ყაბახთან). ძველი სოლოლაკის უბანი ეჭირა ქართლის მეფის, დედოფლის, ბატონიშვილების, მამასახლისის, თბილელის ბაღებს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთუბნის ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ქართული მართლმადიდებლური და სომხური გრიგორიანული ეკლესიები. ქართულია: კალოუბნის წმინდა გიორგის სახელობის, მთაწმინდის წმინდა დავითის სახელობის, ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობისა და სამების ეკლესიები. სომხური – ვანქის, ქამოიანთი, თეკენამის, ზირკინაანთი. სომხური ეკლესიებიდან დღეს მხოლოდ ვანქის, იგივე „ფაშავანქის“ სამრეკლოა შემორჩენილი (ათონელის ქუჩაზე).

„კალოუბნის“ ეკლესია *დღევანდელ კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილას იდგა. ტაძარმა ძველი სახით 1850 წლამდე მოაღწია. მოგვიანებით მის ნანგრევებზე აიგო ახალი ეკლესია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში აიღეს.*

სამების ეკლესია, *რომელიც ახლანდელ გრ. აბაშიძის ქუჩაზე დგას, 1790 წელს აუგია „ყარაულად“ წოდებულ პეტრე აღნიაშვილს (ეს სახელი იმიტომ შერქმევია, რომ დაღესტნელების შემოსევისგან თბილისის დასაცავად ერეკლე II-ს ღართისკარის დარაჯად დაუნიშნავს). 1836 წელს ეკლესიისთვის სამრეკლო მიუშენებიათ. ტაძრის კედლები მოუხატავთ მხატვართა დიდი დინასტიის – გეგელიძეების წარმომადგენლებს: იოანე ქრისტესიას ძეს და ანტონ დავითის ძეს. 1805 წელს სამების ეკლესიაში დაკრძალეს ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე. 1863 წლის 10 აგვისტოს ილია ჭავჭავაძემ აქ ჯვარი დაიწერა ოლღა გურამიშვილზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბახი

გარეთუბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავშესაქცევი და სამხედრო ვარჯიშისთვის განკუთვნილი ადგილი, ე. წ. ასპარეზი* იყო. აქ თამაშობდნენ ცხენბურთს, ისინდს, იმართებოდა მარულაც (დოღი გრძელ მანძილზე). ფეოდალური არისტოკრატიის ახალგაზრდობისთვის სავალდებულო იყო სხვადასხვა სპორტული ხელოვნების ცოდნა. ბავშვებს პატარაობიდან აჩვევდნენ ყაბახის* სროლასაც. ეს იყო თბილისელთა ყველაზე საყვარელი თამაში და თავშესაქცევი. მოგვიანებით ასპარეზს სწორედ ამ თამაშის სახელი – „ყაბახი“ შეერქვა.

მოედანზე ყაბახი უფრო ხშირად ქორწილისა თუ დღესასწაულების დროს იმართებოდა. „აღმართავდნენ გრძელ ორთაყვირ ხესა და ზედა დასდგმიენ ოქროს ან ვერცხლის თასსა და დღესასწაულს ან ყველიერის დღეს განვიდოდა მეფე და დიდებულნი ცხენებით იმ მოედანზედ და რიგ რიგათ ცხენთა რბენით გაუვლიდნენ იმ ყაბახსა და მშვილდით ისარს ესროდიან და ვინც ჩამოაგდებდა იმ თასს, იმას მისცემდნენ“ (სულხან-საბა ორბელიანი).

ყაბახი მარტო საჯირითო და სავარჯიშო მინდორი როდი იყო. აქ სასეირნოდ გამოდიოდნენ მაღალი ფენის წარმომადგენლები. ყაბახს უმღეროდნენ ქართველი მწერლები: თეიმურაზ II („სარკე თქმულთა“), გრიგოლ ორბელიანი („იარალის“), ნიკოლოზ ბარათაშვილი („ღამე ყაბახზედ“), გიორგი ერისთავი („ყაბახისადმი“) და სხვები.

უკანასკნელი ყაბახობა თბილისში XIX ს-ის 40-იან წლებში გაიმართა. მოგვიანებით მოედანმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება და მხოლოდ სასეირნო და დასასვენებელ ადგილად იქცა.

ასპარეზი (სპარს. „ასბრიზ“ *ცხენით სირბილი*) – სპორტული მოედანი შუა საუკუნეების თბილისში.
ყაბახი (სპარს. „ყაბახ“ *სამიზნე*) – სპორტული თამაში.

ლექსიკონი

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისს შემოუერთდა ავლაბარი, რომელიც მანამდე სოფელი იყო და ქალაქის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძველი სოღდებილის ტერიტორიაზე (ისნის ველი) მდებარეობდა. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი“ XIV საუკუნიდან ვრცელდება. პირველი წერილობითი საბუთი – შეწირულობის სიგელი, სადაც ავლაბარია მოხსენიებული, 1392 წლით თარიღდება. ადგილის სახელწოდება სპარსულ-არაბული წარმოშობისაა („ჰავალე“ – *მიდამო*, „ბარე“ – *გალავანი, ზღუდე, თხრილი...*) და ნიშნავს ზღუდის, გალავნის იქითა მიდამოს, ანუ გარეუბანს. ავლაბარი ეწოდებოდა ქალაქის (ისნის, მეტეხის) ზღუდეს იქით, მის ახლოს არსებულ ტერიტორიას, რომელიც ჩრდილოეთიდან შემოისაზღვრებოდა ჩუღურეთის ხევით და სოფ. ჩუღურეთით; აღმოსავლეთიდან – მახათას მთითა და სამგორის ველით; სამხრეთიდან – დირსიჭალისა და ღომელაურის ბაღებით; დასავლეთიდან – ისნით (მეტეხი) და მდინარე მტკვრით.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ავლაბარი სადედოფლო მამულია. დარეჯან დედოფალმა განჯიდან და თრიალეთის კუკიიდან იქ თავისი კუთვნილი ყმა გლეხები გადმოასახლა. მამული სწორედ მის დროს შემოიზღუდა, რის შედეგადაც გაჩნდა გარე და შიდა ავლაბარი.

გალავანშემოვლებული ავლაბარი ქალაქური ტიპის დასახლებად იქცა. აქ იყო ბაზარი, ქარვასლები, სავაჭრო და სახელოსნო დუქნები, ზეთსახდელი ქარხანა. დასახლებას ჰყავდა თავისი სარაიდარი (ხუროთმოძღვარი), მოურავი, მამასახლისი, ხასადარი*, მილახვარი*, მებაჟე, მებაღე, მეკარე, ყარაული და ა. შ.

გალავანში დატანებული იყო ორი კარი – ავლაბრისა (აღმოსავლეთით) და პატარა კარი (ჩრდილოეთით, შიდა). დასახლება ქალაქს უერთდებოდა ავლაბრისა და მეტეხის ხიდებით.

ხასადარი (არაბ. ხასი – მეფესთან (დედოფალთან) დაახლოებული პირი) – მოხელე, რომელსაც ევალებოდა სამეფო მამულების მოვლა-პატრონობა და მეთვალყურეობა; აწარმოებდა სახასო (მეფის მიერ საჩუქრად გაცემული) მამულებიდან შემოსული სარგოს ანგარიშსაც.

მილახვარი – მეჯინიბე. მოგვიანებით, XVII–XVIII სს-ში – დედოფლის კუთვნილი მამულების ზედამხედველი, რომელიც საფინანსო და სამეურნეო საქმეებს მართავდა.

ლექსიკონი

ავლაბრის ხიდი.



*შიდა ავლაბარში XVIII ს-ის 70-იან წლებში დარეჯან დედოფალმა ააშენა თავისი სასახლე **(საჩინო)** და კარის ეკლესია წმ. ირაკლისა და დარიას სახელობაზე. ეს ეკლესია XIX საუკუნის 20-იან წლებში შეიძინა ეგზარქოსმა* თეოფილაქტემ და შიგ სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლა გახსნა. 1824 წელს იოანე მიტროპოლიტმა (ფიცხელაურმა) ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრად აკურთხა.*

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

1783 წლის თბილისის აღწერის ნუსხით გარე ავლაბარში სახლობდა 136, ხოლო შიდა (შემოზღუდულ) ავლაბარში – 219 კომლი.

ავლაბარში ახლაც დგას იმდროინდელი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები – მეტეხის ღვთისმშობლისა, წმ. მარინეს სახელობისა, წმ. ირაკლისა და დარიასი (ფერისცვალების), წმ. პეტრე-პავლესი, წმ. აბოს ნიში; სომხური გრიგორიანული: ხოჯავანქი, სურბ კარაპეტასი, ეჩმიაძინი, კარმირ ავეტარანი (იგივე შამქორელთა; დაინგრა 1989 წლის 14 აპრილს მიწისძვრის დროს), სურბ მინასი.

1803 წლის აღწერის მიხედვით თბილისი იყოფოდა ორ მთავარ ნაწილად – პირველი იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ზღუდეშემოვლებული ქალაქი, მეორე ნაწილში კი შედიოდა ავლაბარი (შიდა) ზღუდეშემოვლებული მეტეხითურთ.

XIX ს-ის 40-60-იან წლებში ავლაბარში იყო „თხემის ადგილი“, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ (ახლანდელი ვარდის მოედანი).

ᲔᲒᲖᲐᲠᲥᲝᲡᲘ (ბერძნ. exarchos *განაპირა მმართველი*) – *მართლმადიდებელთა ცალკე საეკლესიო ოლქის ან დამოუკიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი. მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ (1811 წ.) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, ქართულ ეკლესიის სათავეში რუსი ეგზარქოსი ჩაუყენეს, რომელიც რუსეთის სინოდს ექვემდებარებოდა.*

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ავლაბარში ყველაზე ცნობილი ადგილები იყო სირაჩხანა (სირაჯხანა), ბზის მოედანი და რიყე.

ღვინის აღმართი.

სირაჩხანა (სპარს. სირაჩ (სირაჯ) – *მეღვინე* და ხანე (ხანა) – *სახლი*) დღევანდელ ღვინის აღმართს ერქვა. ეს სიტყვა მეღვინეთა სახლს ნიშნავს. სირაჩხანაში იყო ღვინის დუქნები, სარდაფები. ქალაქელს კარგი ღვინის ყიდვა თუ უნდოდა, აქეთ მოაშურებდა. სირაჩხანის დუქნებსა და სარდაფებს ღვინით კახელები ამარაგებდნენ. ყოველდღიურად აქეთ მოემართებოდა ღვინით სავსე ტიკებითა და რუმბებით დატვირთული ურმების ქარავნები.

ბზის მოედანი.

ბზის (თივის) მოედანი რიყეზე, სირაჩხანის ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის პირას, „ვირის ხიდთან“ მდებარეობდა. ამ მოედანზე უქმე დღეებშიც კი ხალხმრავლობა იყო. აქ იდგა ქარვასლები, აქვე იყრიდა თავს ქალაქის ბაზარზე გასაყიდად ჩამოტანილი აურაცხელი საქონელი. აქეთ მოეშურებოდნენ სავაჭროდ აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან წამოსული ქარავნები. სტუმრები ღამის გასათევად ქარვასლებში ჩერდებოდნენ. შორეული ინდოეთიდან, სპარსეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან გასაყიდად აქლემებით ჩამოტანილ საქონელს ქარვასლის საწყობში აბინავებდნენ, პირუტყვს კი მოედანზე ტოვებდნენ. ასობით კილომეტრგამოვლილსა და ტვირთისგან განთავისუფლებულ პირუტყვს ბზესა და თივას უყრიდნენ. აქედან მოდის მოედნის სახელიც.

K280·241
30

რიყე ავლაბრის ჭალის მერმინდელი, გვიან შერქმეული სახელია. ასე ეწოდებოდა ადგილს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელ მეტეხისა და ბარათაშვილის სახელობის ხიდებს შორის. ადრე რიყეზე ავლაბრელებს ბაღ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული. ამ ადგილს საასპარეზოდაც იყენებდნენ.

ძველად საქართველოში იშვიათად, მაგრამ მაინც იმართებოდა ორთაბრძოლა – დუელი. ქართველებს მტყუან-მართლის დასადგენად სხვადასხვა წეს-ჩვევა ჰქონდათ. მაგალითად, „სიმართლის“ გამოსარკვევად ბრალდებულს მდუღარე წყლიდან ისე უნდა ამოეღო ჯვარი, რომ ხელი არ დასთუთქოდა. იყო ჯვარზე დაფიცების წესი და სხვა მრავალი. მაგრამ ზოგჯერ სადავო საკითხი ორთაბრძოლის საშუალებითაც წყდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ორთაბრძოლა, რომელსაც როსტომ მეფის შვილობილის, ტახტის მემკვიდრის მკვლელი უნდა გამოეაშკარავებინა, სწორედ რიყეზე გამართულა.

XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: ერთხელ, ნადირობის დროს, როცა დამფრთხალი ნადირის დანახვისას თოფისა და ისრის სროლა ატყდა, „ბატონიშვილს ლუარსაბს თოფი ეცა და შეიქნა ტირილი და თავს ცემა. ნადირობა მოიშალა და მეფესთან ჩაფარი გაგზავნეს.“ ცხედარი ქალაქში ავლაბრის მხრიდან შეასვენეს. ამ საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გორგიჯანიძის ცნობით, სიაოშ ბარათაშვილმა ბატონიშვილის სიკვდილში ბრალი თავად ბაიდურ თუმანიშვილს დასდო. ბაიდურმა ბრალდება უარყო. „მეფეს მოახსენეს, – მოგვითხრობს ისტორიკოსი, – ამ რიგი საქმენი უხმლოთ არ გადაწყდებისო“. როსტომის ნებართვის მიღების შემდეგ მოწინააღმდეგეები საომარი იარაღით აღიჭურვნენ, შესხდნენ ცხენებზე და მეფის სასახლის პირდაპირ, რიყეზე, როგორც დათქმული ჰქონდათ, ბორჯალზე (პაემანზე) გამოცხადდნენ. სასტიკი შერკინება სიაოშის დამარცხებით დამთავრდა, ბაიდურს კი ბრალდება მოეხსნა..

ამ დროს რიყე დაუსახლებელი ადგილია. მისი განაშენიანება XIX ს-ის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ამ დროიდან ჩნდება ადგილის სახელად „რიყე“.

მტკვარმა ხშირად, ხანგრძლივი წვიმების დროს, ადიდება იცოდა. მდინარე თავის კალაპოტს ტოვებდა და რიყე იტბორებოდა, რასაც დიდი მატერიალური ზარალი მოსდევდა. ხშირი იყო ადამიანთა მსხვერპლიც. დატბორილი რიყე საცურაო აუზს ჰგავდა. სახლიდან სახლამდე მისვლა მხოლოდ ნავით შეიძლებოდა.

„პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი“

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური ჟოზეფ-პიტონ ტურნეფორი, რომელიც თბილისის აღწერისას ამბობს: „ციხის ძირში მდებარე მეფის სასახლე ძალზე ძველია, მაგრამ ამ ქვეყნის კვალობაზე, საკმაოდ კარგად არის მოვლილი. სასახლის წინ განლაგებული ბაღები, საფრინველეები, ძაღლების ხუხულები, საბაზიერო, მოედანი და ბაზარი საინტერესო სანახავია. ჩვენ შეგვიყვანეს ახალ დარბაზში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხისა იყო, საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ყოველი მხრიდან მას ლურჯი, ყვითელი, ნაცრისფერი და კიდევ სხვა ფერის მინებიანი დიდი და დახურული ფანჯრები ჰქონდა. აქ რამდენიმე მცირე ზომის ვენეციური სარკეც იყო... ჭერი ოქროთი მოვარაყებული ტყავებით კვადრატებად იყო დაყოფილი“.

ტურნეფორი არ აზუსტებს, რომელი ქართველი მეფის სასახლე ნახა თბილისში ყოფნისას. მოგზაურის თხზულებას ახლავს მხატვარ ობრიეს მიერ შესრულებული თბილისის სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია ორი გვერდიგვერდ მდგარი სამეფო სასახლე.

ცნობილია, რომ სამეფო სასახლეები უწინ თბილისში ორგან იყო – ისანში (მეტეხის პლატოზე) და თბილისში, მაღლა ციხის (კალას) ტერიტორიაზე. ციხის ტერიტორიაზე მდგარი „სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი“ როსტომ მეფემ მიატოვა და „აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, ყიზილბაშთა რიგისა“ (ვახუშტი). XVII ს-ის ბოლოს როსტომ მეფის სასახლეს ერეკლე I-მა (1688–1703 წწ.) ახალი სასახლე მიაშენა.

დედაქალაქში სამეფო სასახლე აუგია ვახტანგ VI-საც. ვახუშტი წერს: „მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შუენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟუარდითა და მარმარილოს კედლითა, შემუსრეს ოსმალთა.“

თბილისში კიდევ ერთი ახალი სასახლის შესახებ გვიამბობს XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: „მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქნა ქორწილი და სახლსა ახალსა, რომელი აღეგო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, შვენიერი და შემკული ყოვლით კერძო“. ამ ცნობაში საუბარია ერეკლე II-ისა და დარეჯანის ქორწილზე, რომელიც 1750 წელს გადაიხადეს, სასახლის მშენებლობა კი 1749 წელს უნდა დაწყებულიყო. მოგვიანებით ერეკლე II-მ თეიმურაზის მიერ აგებული სასახლე უფრო გააფართოვა და გაზარდა. 1795

წელს თბილისში მდგარი მეფის სასახლე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეეწირა.

მას შემდეგ, რაც როსტომმა სამეფო სასახლე ციხის უბნიდან სიონ-ანჩისხატის უბანში გადაიტანა, ქართველმა თავადებმაც ქალაქის ამ ნაწილში იწყეს დასახლება. მათგან პირველი გივი ამილახვარი იყო. თავად ამილახვარს ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ის ქალი, თამარი, რომელსაც მზითევში მოჰყვა ანჩისხატის გვერდზე მდგარი სასახლე. სამსართულიანი, სპარსულ ყაიდაზე ნაგები შენობა მტკვარს გადაჰყურებდა. მდინარის დინება საძირკველს უთხრიდა სასახლეს და ამიტომაც ოჯახის წევრები მტკვრისპირა ოთახებში ყოფნას თავს არიდებდნენ. ასეთი სიფრთხილის მიუხედავად, ერთ დღეს სასახლის მდინარისპირა მხარე მაინც ჩანგრეულა და იქ მყოფი ალექსანდრე ამილახვრის დედა ნანგრევებს წყალში ჩაუტანია. ეს ამბავი 1763 წელს მომხდარა. მას შემდეგ სასახლის განახლებაზე აღარავის უზრუნია.

ვახუშტის გეგმაზე ამილახვრების სასახლის გვერდით, ჩრდილოეთით, დატანილია „ბატონიშვილის სახლი“, შემდეგ – „ლუარსაბისა“ და გალავნის პირას მდგარი „მუხრან-ბატონის“ სახლი. დღევანდელ შავთელის ქუჩაზე კიდევ რამდენიმე სასახლე იდგა. ანჩისხატის ჩრდილოეთით მდებარე სასახლე XVIII ს-ის დასაწყისში დაიკავა კათოლიკოსმა დომენტი IV-მ. 1975 წლამდე აქ საკათალიკოსო რეზიდენცია იყო. ქუჩის მარჯვენა მხარეს მდგარა ჯვრის მამის ეკლესიის წინამძღვრისა და შიოშ ზედგენიძის სასახლეები.

ბატონის მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია. ეკლესიის მეზობლად ორსართულიანი სასახლე ჰქონია ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს სოლომონ ლიონიძეს. როგორც ძველი საბუთებიდან ჩანს, ლიონიძეს მეორე სართულისთვის იმდენად ფართო აივანი მიუშენებია, მიჯნის კედელს გადასცილებია. ამ აივნიდან ეკლესიის საკურთხეველიც კი მოჩანდა, რის გამოც სოლომონისთვის უჩივლიათ კიდევაც. ჩანს, მშენებლობის წესების დარღვევა და ამით გამოწვეული სამეზობლო დავები XVIII საუკუნეში სასამართლოს განსჯის საგანი ხდებოდა.

სამწუხაროდ, ძველ თბილისში მდგარ სასახლეთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა – დარეჯან დედოფლის „საჩინომ“ მოაღწია.

დარეჯან დედოფლის სასახლე – „საჩინო“.

დარეჯან დედოფალი.

სახლი „ქართული რიგისა“ და „შირვანული“

მოქალაქეთა სახლები თბილისში ქვითა და ტალახით შენდებოდა და შიგნიდან გაჯით ილესებოდა.

„მეტ წილ სახლებში ერთი სართულია, რომელსაც რამდენიმე სარკმელი აქვს დატანებული; სარკმელი ფანჯრის მაგიერობას სწევს; შიგნით ბნელა. მეტ წილად სახლებში ერთი სართულია, რომელიც ამასთან მიწაშია ჩაფლული. შესასვლელი თითქმის ყველა სახლს ძალიან პატარა აქვს. სახლების სახურავი ბრტყელია და მიწით არის დაფარული. სახურავი ამავე დროს წარმოადგენს ბანს, სადაც ქალები და კაცები დასეირნობენ ან სძინავთ ზაფხულის ღამეებში. სახლების უმრავლესობა თაღიანია, ხოლო თაღს შუაში დატანებული აქვს სარკმელი შენობის გასანათებლად. უფრო შეძლებულნი თავიანთ სახლებს ზემოდან ადგამენ „დარბაზებს“, ე. ი. საკმაოდ ვრცელ თაღებს; ამ თაღებს ქვეშ მოქცეული ოთახები ყველაზე დიდი და საუკეთესოა მთელ სახლში. დღის სინათლე იქ ჩადის მხოლოდ მაღლიდან – სარკმლიდან. ამგვარი სადგომი, მართალია, ოდნავ ბნელი და ნაკლებად მიმზიდველია, მაგრამ ზაფხულის დიდ სიცხეებში ყველაზე გრილია“ (*ალექსანდრე ნეგრი, „საქართველოსა და სპარსეთში მოგზაურობის დღიურები“*).

თბილისში ძირითადად ორი ტიპის შენობები იყო: „ქართული რიგის“ სახლები – დარბაზები და „სპარსული რიგით“ ნაშენი „შირვანული სახლები“.

ერთადერთი დარბაზი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის უწინდელ საცხოვრებელ სახლზე, მეტეხის უბანში შემორჩენილი ფორაქიშვილის დარბაზია (ახლანდელი სასტუმრო „კოპალა“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეფიერი

დიდებულთა და შეძლებული მოსახლეობის სახლები ძირითადად ორსართულიანი იყო, ქვითკირით ნაგები და, იმ დროის გათვალისწინებით, კეთილმოწყობილიც, რომლებსაც ჰქონდა დარბაზი, საკუჭნაო, დერეფანი, აივანი (ეივანი), სარდაფი, აბხანა (საპირფარეშო), ჰაუზხანა (სარდაფი სასმელი წყლისათვის), ჭა, ბაღი და ბაღჩა, თავლა და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისური აბანოები

თბილისში ცხელ წყლებზე გამართულ აბანოებს წავკისისწყლის ხელმარჯვნივ მთელი უბანი ეჭირა. ამის გამო XVII–XVIII საუკუნეებში ამ ადგილს აბანოთუბანი (აბანოების უბანი) ეწოდა. ამას გარდა, აბანოები იყო ქალაქის ციხეებშიც. 1756 წლის საბუთებში მოხსენიებულია ციხის აბანო, იგივე ორბელიანების აბანო (ახლანდელი ჭრელი აბანო). ეს აბანო 1748 წელს ერეკლე II-ს თავისი დისთვის, ანა ბატონიშვილისთვის უჩუქებია.

საზოგადო მოხმარებისთვის განკუთვნილი აბანოები ფეოდალური არისტოკრატიის ან ვაჭართა მაღალი ფენის წარმომადგენლების კუთვნილება იყო და ივჯარით გაიცემოდა. დოკუმენტებში ისინი მფლობელთა სახელებით მოიხსენიება. მაგ., „ბებუთაშვილების დიდი აბანო“ ანუ „აშხარბეგის აბანო“, „ბატონიშვილის აბანო“, „მეფის აბანო“, „მელიქის აბანო“ და სხვა.

თბილისური აბანო განსაკუთრებული ფენომენია – გოგირდოვანი წყლების სამკურნალო თვისებებმა მას მეზობელ ქვეყნებშიც გაუთქვა სახელი.

სასტიკ დამპყრობელს, საჭურის აღა-მაჰმად-ხანსაც ეგონა, რომ „მის უკურნებელ სენს“ უშველიდა თბილისის აბანოები, მაგრამ ასე არ მოხდა. მემატიანე მოგვითხრობს: „აღა-მახმად-ხანს ბევრი რამ გაეგონა მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა შესახებ, რის გამოც რამდენჯერმე მიიღო აბაზანა, მაგრამ რაკი სნეულებისგან ვერ განიკურნა, განრისხდა და ბრძანა დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ აბანო“.

ეს ამბავი ორბელიანების აბანოში მომხდარა, ამიტომაც მას ხოჯეს (სპარს. საჭურისი) აბანოდაც მოიხსენიებენ.



ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დროს სტუმრად ნამყოფი თითქმის ყველა უცხოელი მოგზაური თუ ცნობილი პიროვნება თბილისის ბუნებრივად ცხელ წყაროებზე გამართულ აბანოებს იხსენიებს და მათს აღწერილობასაც იძლევა.

აბანოების ზედმიწევნითი აღწერილობა დაგვიტოვა თბილისში ჩამოსული რუსი დიპლომატის მეუღლემ ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგმა: „წყალი მაღალი და დაბალი ტემპერატურისაა, დაახლოებით 20-დან 30° რეომიურით, მათ შორის მხოლოდ ერთი აბანოა, სადაც 15° -ტემპერატურის წყალია.

აბანოები მოწყობილია გამოქვაბულებში. პირველად შედიხარ ბნელ თაღებიან დარბაზში, რომელსაც რამდენიმე ლამპიონი მკრთალი შუქით ანათებს. იქ სდგას ორი ტახტი, ხალიჩებგადაფარებული. ტახტზე სურვილისამებრ გაშლიან ქვეშაგებს, რომელზედაც ისვენებთ რამდენიმე ხნით, რომ მოემზადოთ საბანაოდ. ორისამი თაღებიანი დარბაზის გავლის შემდეგ შედიხართ აბანოში და ეშვებით აუზში, რომელიც დაუყოვნებლივ ივსება წყლით ონკანის საშუალებით. აუზი ყველაზე უფრო ცხელი წყლით უკანასკნელ თაღებიან შენობაშია. აუზი, ისევე როგორც კიბე, რომლის საშუალებითაც ამ აუზში ჩადიხართ, ამოკვეთილია კლდეში.“

ბუნებრივად მუდამ ცხელი და სამკურნალო წყლებით მოხიბლული მოგზაურები აღტაცებული იყვნენ მექისეთა ოსტატობითა და ხელოვნებით. რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი წერდა:

„აბანოს პატრონმა ჩემი თავი მექისე თათარს გადასცა. მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. ჰასანმა (ასე ეძახდნენ ამ თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თლილ იატაკზე დამაწვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტვრევას, სახსრების დაჭიმვას, მუშტით ძლიერად ცემას. მე არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით საოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, გახტებიან მხრებზე, დასრიალებენ ფეხებით თეძოებზე და ბუქნავენ ზურგზე. ამის შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით, გადამავლო თბილი წყალი და დამიწყო ბანა ტილოს აქაფებული ბუშტით, აუწერელი განცდაა: ცხელი საპონი ჰაერივით გეფრქვევა. საპნის გარდაფქვევის შემდეგ ჰასანმა ჩამიშვა აბაზანაში და გათავდა ცერემონია.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარტო ამით როდი იყო განთქმული თბილისის აბანოები. ბუნებრივად ცხელი სამკურნალო წყლისა და მექისეთა ხელოვნების გარდა, ქალაქის სტუმრებს მათი სხვა მხარეც აცვიფრებდა, კერძოდ ის, რომ აბანო მაშინ კლუბის მაგივრობასაც სწევდა. აქ განსაკუთრებით ქალები ერთობოდნენ. მათი საბანაო დღე იყო სამშაბათი. თბილისში ამ დღის სახელობის აბანოც იყო – სიონის აბანო, რომელსაც „სამშაბათისა“ ეწოდებოდა. ქალები მთელ დღეს რჩებოდნენ აბანოში. ხელმოკლენი ბოღჩით წამოღებულ სარეცხს რეცხავდნენ. ზოგი საპონსაც ხარშავდა.

სანამ ქალთა საპარიკმახეროები გაიხსნებოდა, აბანოს თავისებურ კოსმეტიკურ პუნქტადაც იყენებდნენ. ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი შენიშნავს: „ქართველები, განსაკუთრებით კი დიდებული ქართველი ქალები, კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად ღამესაც აბანოში ატარებენ. პირველ თაღებიან შენობაში ისინი წამოწვებიან ტახტზე ზარმაცი ნებივრობით და იღებავენ თმას და ფრჩხილებს, თვით მოხუც ქალებს, თმის მუდმივი შეღებვის გამო, ნაწნავები გიშერივით შავი აქვთ. იქ ისინი ისვამენ პირისახეზე ფერ-უმარილს, ცდილობენ შეიღებონ და შეაერთონ წარბების ისრები... ეს დიდი დღეა მათთვის.“

აბანო ახალი ტუალეტისა და ტანისამოსის „გამოფენის“ ადგილი იყო. აქ ირჩევდნენ სარძლოებს. აქ სინჯავდნენ გასათხოვარ ქალებს, ხინჯი ხომ არა აქვთ რაო. აქ „არიგებდნენ“ მაჭანკლები საქმეს.

„...წარმოიდგინეთ, ქალებსაც ჰყავდათ თავიანთი აშუღი – გერაგერმიშაანთ უსინათლო მაია, რომელიც თავისი სიმღერით ართობდა დასაპნულ და ინადადებულ ქალთა მარაქას“. (ი. გრიშაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“).

აბანოში დროს ატარებდნენ მამაკაცებიც. ამწვანებულ ბაღში, დუქანში თუ სახლში დაწყებული ნადიმი ხშირად აქ გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონჟანის მაგიერი

სამკურნალო წყლებით მდიდარი ქალაქი ღარიბი იყო სასმელი წყლით. მტკნარწყლიანი წყაროებიდან ყველაზე დიდი იყო თათრების სასაფლაოს – „გორხანას“ დასავლეთით მომდინარე წყარო, რომლის ნაწილი თიხის მილებით მეტეხის ხიდთან, შიიტების მეჩეთში ჩაედინებოდა. ამ წყაროს თავისუფლად შეეძლო დაეკმაყოფილებინა მეიდნის მცხოვრებთა უმეტესობა, მაგრამ ხალხი მას „მურდაშირს“ – მკვდრების გასაბან წყალს ეძახდა და სასმელად არ ხმარობდა. XIX ს-ის ორმოციანი წლებიდან „მურდაშირს“ უკვე საზოგადო წყაროდ იყენებენ.

წყაროების სიმცირის გამო იმდროინდელი თბილისელები სასმელად უმთავრესად მტკვრის წყალს ხმარობდნენ.

მოსახლეობას წყლით თულუხჩები ამარაგებდნენ. მათი ძირითადი ჭურჭელი იყო ხარის ტყავისაგან საგანგებოდ შეკერილი რუმბი – თულუხი, რომელსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული.

„ცხენზე, უფრო ხშირად ჯორზე, – წერდა XIX ს-ის თეატრალური მოღვაწე ალექსანდრე ნემიროვიჩ-დანჩენკო, – ჰკიდია ორმაგი თულუხი, რომელიც კეხზეა შეერთებული. თულუხს ზევიდან ფართო ნახვრეტი აქვს, რომელშიც პირდაპირ მდინარიდან ასხამენ წყალს. ქვევიდან, უფრო წვრილი ნახვრეტიდან, წყალს კასრებში ასხამენ. თულუხჩი მოიტანს წყალს, წონასწორობისთვის ხან ერთი მხრიდან ჩამოასხამს, ხან მეორიდან. წყლის მოტანისთვის იღებს შაურს. ნაღდად კი არა: მზარეული გამოიტანს ჯოხს, რომელზედაც თულუხჩი გააკეთებს ნაჭდევს. როცა 20 ნაჭდევი შეგროვდება, მიიღებს მანეთს.“ („საქართველოს გაზეთი“, 1819 წ.).

ვისაც ცხენი ან ჯორი არ ჰყავდა, თულუხს ზურგით ატარებდა. წყალი დაჰქონდათ ზურგზე მოკიდებული კოკებითაც, კასრებითაც და საწყაოთიც (ვედრო). ვედრო წყალი ვერცხლით 1-3 კაპიკი ღირდა, იმის მიხედვით, რა სიშორიდან და მტკვრის რომელი ადგილიდან იყო აღებული.

მადათოვის კუნძულთან იყო „პატარა სატიო“, ადგილი, სადაც ტივებს მტკვრის ნაპირზე დამაგრებულ მსხვილ ჯაჭვზე ან თოკზე გამობმული კავით „იჭერდნენ“. სატიოს ახლომახლო ადგილებში ნაგვისა და სხვა სიბინძურის გადაყრა კანონით იკრძალებოდა, რადგან აქედან თულუხჩებს წყალსაზიდის (ახლანდელი მარი ბროსეს და ჯამბულის) ქუჩით სასმელი წყალი ამოჰქონდათ.

ქეიფი ტივზე

თბილისში ტრანსპორტის ყველაზე ძველი სახეობა მტკვარზე მოცურავე ნავები და ტივები იყო.

ტივი ხის დიდი მორებისაგან შეკრული ბაქანია, რომლის მოძრაობას არეგულირებს მეტივე ორი დიდი ხის ნიჩბით – ხოფით (ორთაყვირით).

დედაქალაქში მტკვარზე დაცურებული ტივით სურამიდან და ბორჯომიდან ჩამოჰყავდათ ბაზარზე გასაყიდი პირუტყვი, ჩამოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე. ტივს თბილისში საგანგებოდ მიჩენილ ადგილზე – „სატიოზე“ (სატივოზე) მიაცურებდნენ და შლიდნენ მორებად, რომელთაგან ნაწილი სამშენებლო მასალად იყიდებოდა, ნაწილი კი მტკვრის ნაპირზე გამართულ სამხერხაოებში იხერხებოდა.

ძველ თბილისში XIX საუკუნემდე გადასაადგილებლად და ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ სახედრებს, ცხენებს, ურმებს. თუმცა, ქუჩები იმდენად ვიწრო იყო, ზოგჯერ ორ ადამიანსაც კი უჭირდა ერთმანეთისათვის გვერდის აქცევა.

ტივზე ქეიფობდნენ და ქორწილებსაც მართავდნენ: „მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მდადეებით*; იქით ნაქვთიერი* ბიჭები ორთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში; ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დუდუკზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოჭობი* იდგა ცოცხალი თევზისთვის.“ (ი. გრიშაშვილი).*

ტფილისი

ეჯიბი (არაბ. „ჰაჯიბ“) – ქორწილში ნეფის (მეფის) პირველი, თავი მაყარი – მეჯვარე. *ისტორიულად: ეჯიბი ქართველი მეფის სასახლეში „მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელიც“ იყო.*
მდადე – პატარძლის მაყარი ქალი.
ნაქვთიერი (ნაკვთიერი, ნაკვთიანი) – სწორი, სიმეტრიული ნაკვთების მქონე.
კოჭობი – პატარა ქოთანი.

ლექსიკონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელეზე მიუთითებდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს. მისი თქმით, მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნებოდა იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, რამდენიც თბილისში იყო... უცხოელთაგან აქ შეხვდებოდით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს და ევროპელებს. მათ მიმართ ქართველების დამოკიდებულების შესახებ მოგზაური წერს: „თავისუფლება საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული. აქ უფლება გაქვს, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით...“.

1701 წელს თბილისში ჩამოსული ფრანგი მეცნიერის, ჟოზეფ ტურნეფორის ცნობით, ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 20 000 სულს შეადგენდა.

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“

თბილისის მოსახლეობისთვის ძალიან მძიმე იყო „ოსმალობის“ პერიოდი. დამპყრობლებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს ქალაქის ეკონომიკაზე. 1728 წელს მათ აღწერეს ქართლი და შეადგინეს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამ დავთარში შეტანილია მაშინდელი თბილისის აღწერის შედეგებიც. მოსახლეობა აღწერილია სამრევლოების მიხედვით – სულ 14 ეკლესიის (სიონის, ანჩისხატის, ვანქის, ფეთხაინის და სხვ.) მრევლი; ამას ემატება უბნების (ციხის რაბათი, თოფხანა, დაბახანა...) მოსახლეობა. ოსმალმა დამპყრობლებმა თბილისში გადასახადები დაუწესეს სამღებროებს, წისქვილებს, ბაღებს;

არანაკლებ მძიმე იყო „ყიზილბაშობის“ ხანა (1735–1748 წწ.). ნადირ-შაჰმა თბილისს 8000 თუმანი ხარკი დაუწესა. გარდა ამისა, 3000 თუმანი ფულად და 3000 ხარვალი (75 000 ფუთი) ხორბალი გლეხობას გადაახდევინა. ქალაქის მოსახლეობამ გადასახადებს ვერ გაუძლო და გახიზვნა იწყო.

მოქალაქეთა მიგრაციის პროცესის შესანელებლად ერეკლე II-ს საგანგებო ღონისძიებების გატარება მოუხდა. 1770 წელს მან აღადგინა ვახტანგ VI-ის დროს დადგენილი „საკუთრების ქალაქური წესი“. სავაჭრო საქმიანობის გამოცოცხლების მიზნით მეფემ ვაჭრებს საგრძნობი შეღავათები დაუწესა. 1784 წელს, საგანგებო ბრძანებით, თბილისელ მოქალაქეებს საერთოდ აეკრძალათ საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა.

1770 წლის ივნისში თბილისში შავი ჭირი გავრცელდა. ეპიდემიამ 4000 კაცი იმსხვერპლა. სავალალო შედეგები მოჰყვა სენის სალიკვიდაციო ღონისძიებათა სიმკაცრესაც – მოსახლეობამ დაწვა ყველა ის საცხოვრებელი, სადაც დაავადების კერა იყო. ორი თვე მძვინვარებდა ეპიდემია ქალაქში და მთელი ამ დროის მანძილზე მწუხრის ზარებს რეკდნენ თბილისში.

1780–1782 წლების მიჯნაზე ქალაქი აღიწერა ავლაბრითა და გარეთუბნით. ამ აღწერის მიხედვით:

„გარეთ ავლაბარში 136 კომლია;
შიგნით ავლაბრის ციხეში 219 კომლი;
მეტეხში ხიდამდინ 73 კომლი;
ციხიდამ ციხეში 186 კომლი.
ქალაქში 2314 კომლი.
გარეთუბანში 550 კომლი.

სულ ჯამში – 3478 კომლი“

თუ კომლზე საშუალოდ ხუთ სულს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ქალაქში და მის გარეთუბანში 17390 სული ცხოვრობდა.

ტ. ფილისი

XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში ნამყოფი უცნობი რუსი ავტორი გვამცნობს, რომ ქალაქში ამ დროისათვის ცხოვრობდა 4 000 კომლი, დაახლოებით 20 000 სული.

აბაზი – 20 კაპიკის ღირებულების ვერცხლის ფული. თავდაპირველად სპარსეთში შემოიღო აბას I-მა (აქედან მოდის სახელწოდებაც). თბილისის ზარაფხანაში აბაზი XVIII საუკუნის ბოლომდე იჭრებოდა. ერეკლე II-ის დროინდელი თბილისური აბაზი „სირმა აბაზის“ სახელით არის ცნობილი.

შაური – საქართველოში გავრცელებული ფულადი საანგარიშო ერთეული, აბაზის ერთი მეოთხედი. დამკვიდრდა XVI ს-ის ბოლოს.

ლექსიკონი

„თვის შაური“ და „სამასპინძლო“

თბილისში, დიდგვაროვანთა გამოკლებით, გადასახადს იხდიდა ყველა გადახდისუნარიანი მოქალაქე. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო **მახტა** – წლიური სახელმწიფო ფულადი გადასახადი კომლზე, რომელსაც იხდიდნენ სახასო (სამეფო) ყმები.

ქალაქის მოსახლეობისთვის დაწესებული იყო კიდევ ერთი სახელმწიფო გადასახადი – **მალი**. სრულწლოვან მამაკაცს დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ უნდა გადაეხადა „მთელი მალი“ – 1 მანეთი და 20 კაპიკი. ასეთი გადამხდელი ოჯახში შეიძლება რამდენიმეც ყოფილიყო.

ვაჭარ-ხელოსნებს, რომლებსაც ქალაქში დუქნები ჰქონდათ, მეფის სასარგებლოდ ყოველთვიურად შაურის* გადახდა ეკისრებოდათ. ამიტომ ამ გადასახადს „თვის შაურასაც“ უწოდებდნენ. კიდევ ერთი ფულადი გადასახადი იყო „სამასპინძლო“.

ერეკლე II-ის „სირმა აბაზი“.

თბილისის მოსახლეობისთვის დაწესებული იყო შრომითი და სამხედრო ბეგარაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს „სამოქალაქო გამოსაღები“, რომლის გადახდა მხოლოდ ქალაქის დავთარში „დაწერილ“ მოქალაქეებს ევალებოდათ. მოქალაქეებად ითვლებოდნენ მკვიდრი თბილისელები, ძირითადად ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც აქ უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონდათ.

მოქალაქეებად არ აღირიცხებოდნენ და, შესაბამისად, არც იწოდებოდნენ თბილისში მცხოვრები ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, რადგან იმ დროისთვის ეს სტატუსი მაღალი ფენისთვის სათაკილო იყო.

სამოსახელეო წყობა

ვახტანგ VI. მინიატურა.

1707–1709 წლებში ვახტანგ VI-ს შეუდგენია ქართული საკანონმდებლო ძეგლი – „დასტურლამალი“. ეს არის სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამების, ანუ გარიგების წიგნების და დებულებების კრებული, რომელიც ვახტანგ VI-მ სისტემურად დაალაგა და ბევრი ახალი, თავისი შემოღებული დებულებითაც შეავსო.

ძეგლის მიხედვით, სამეფოს ცენტრალური მმართველობა ასე წარმოგვიდგება: სამეურნეო-ადმინისტრაციული სახელო* – სახლთუხუცესი, ნაზირები, მოლარეები; საპოლიციო – ეშიკაღასბაში*, ბოქაულთუხუცესი, ბოქაული, იასაული*; სამდივნო – მდივნები, მორდალი*, მწერალი; სამონადირეო – მონადირეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, ბაზიერი; სამეჯინიბეო – მეჯინიბეთუხუცესი და ზინდრები, ანუ ცხენის შემკაზმველები. მეფის დაცვაში შედიოდა ყულარაღასი, ყორჩიბაში, უზბაშები... ყორჩიბაში მეფის მცველთა რაზმების უფროსი იყო. „დასტურლამალის“ მიხედვით, მეფის დაცვა 120 კაცისგან შედგებოდა. 120-კაციანი რაზმი იყოფოდა სამ 40-40-კაციან რაზმად, რომელთაც უზბაშები მეთაურობდნენ. თვით ყულარაღასი უშუალოდ იცავდა მეფეს.

ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა მოურავი, რომელსაც ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები ეკისრებოდა. მას ჰყავდა მოადგილე – მოურავის ნაცვალი. ქალაქის მოხელეები იყვნენ მელიქი და მამასახლისი.



მეფე ერეკლეს ტყავის ყდა საქმიანი ქალალდებისთვის და ერთ-ერთი ბეჭედი.

სახელო – ვისაც ან რასაც მოხელე განაგებდა, მოხელის განკარგულებაში მყოფი.

ეშიკაღასბაში (*თურქ. ეშიქ – ზღურბლი, აღა – ბატონი, ბაშ – თავი*) – საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი.

იასაული – პოლიციელი, მოურავის ხელქვეითი.

ბოქაული – მოხელე, რომელსაც ებარა უბანი ქალაქში.

მორდალი (*სპარს. ბეჭდის მცველი*) – მოხელე, რომელსაც ევალებოდა მეფის მიერ გაცემულ საბუთებზე ბეჭდის დასმა და პატრონისთვის ჩაბარება.

ლექსიკონი

სასამართლო მმართველობას ხელმძღვანელობდა მდივანი. ორშაბათობით და პარასკეობით „სამდივნო სახლში“ მსაჯულად მეფე იჯდა, დანარჩენ დღეებში – უმაღლესი მდივანბეგი, ქართლის უმაღლესი მსაჯული, რომლის გამოტანილ განაჩენსაც მეფე ამტკიცებდა. როცა „დიდი სისხლი და გასამართლება იყო“, მდივანბეგს საქმე მეფესთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტა. ასეთი „დიდი საქმე“ იყო: „მეფეთა ორგულობა“, „მეფის სალაროს გატეხა“, „დიდებულთა შორის დავა“, „ცოლის დატანჯვა“, „საყდრის გატეხა“ და სხვა.

სასამართლო უწყებას წარმოადგენდნენ მსაჯულები, მდივნები, იასაულები, რომელთაგან ერთნი გამომძიებლის მოვალეობას ასრულებდნენ, სხვებს კი დამნაშავის შეპყრობისა და განაჩენის აღსრულებისთვის უნდა გაეწიათ ხელმძღვანელობა. იყვნენ ასევე მემათრახენი და „მოწმის მაძებარნი“.

საარქივო დოკუმენტებმა შემოგვინახა არაერთი ასეთი სადავო საქმე და მათზე გამოტანილი განაჩენი. მაგალითად, ასეთი:

„სახლთუხუცეს (სასახლის გამგებელს) ლევანის ძმევალს თავისი ბატონის საყურეები მიჰქონდა. გზაში საყურე დაუვარდა და დაკარგა. სამკაული ერთმა ღარიბმა კაცმა იპოვა და ოქრომჭედელ პაპას ფიფად მიჰყიდა.

ნივთის პატრონმა სასამართლოში გაცხადა დანაკარგის შესახებ. სამკაული ოქრომჭედლებში მოიკითხეს. პაპა ოქრომჭედელმა სასამართლოს დაუმალა საყურის ყიდვის ამბავი, მაგრამ ხიმართლე მაინც გაირკვა და მას, როგორც ქურდს, ისე დააკისრეს სასჯელი. პაპას მიუსაჯეს საყურეების საზღაური ოცი თუმანი. ამ ოცი თუმნიდან რვა თუმანი აპატიეს. დარჩენილი თორმეტი თუმნიდან ხუთი მპოვნელს დააკისრეს, „იმიტომ რომე, რატომ არ დაიმალა „ეგისი არისო?“

1703–1714 წწ.

ჯერ კიდევ VIII საუკუნის ლიტერატურულ წყაროში (იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“) დასტურდება, რომ თბილისს საპყრობილე ჰქონდა.

XVIII საუკუნეში ამ დაწესებულებას „ტუსაღხანა“ ეწოდებოდა. თბილისის 1782 წლის გეგმის მიხედვით, „ტუსაღხანა“ ციხის ციტადელში ყოფილა მოთავსებული. საპატიმროში წესად ჰქონიათ დამნაშავისთვის „ჯაჭვის დადება“, ანუ „ჯინჯილის მიცემა“ – მისი ჯაჭვით (ბორკილით) დაბმა. აქედან მოდის ტუსაღხანის მეორე სახელი – „ჯინჯილხანა“. იესე ბარათაშვილი წერდა: ივანემ... „ახალმა ნეფემ კიდევ ქურდობა ქნა, ქალაქში დუქანი გატეხა, დაიჭირეს ჯინჯილს მისცეს.“ „ჯინჯილხანის“ გარდა, XVIII ს-ის თბილისში საგანგებო საპოლიციო სახლიც იყო, სადაც დაჭერილები მიჰყავდათ. ასეთ საპოლიციო სახლს, იესე ბარათაშვილის ცნობის მიხედვით, „იასაულების სახლი“ ეწოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის საქონლის მიმღებ და მიმწოდებელ ბაზად რჩებოდა. მის მრავალრიცხოვან სავაჭრო სადგომებში – ქარვასლებში – ბინავდებოდა გასაყიდი საქონელი, რომელიც ქარავნებს მოჰქონდათ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირუკუ.

აღსანიშნავია, რომ თბილისში საქონლით დატვირთული ქარავნები მხოლოდ ქალაქის სამხრეთის მხრიდან, „განჯის“ („ციხის“) კარიდან არ შემოდიოდნენ. 1750 წელს აღდგა ჩრდილოეთის, ე. წ. დარიალის (ოსეთის) საქარავნო გზა, რომელიც ჩვენს დედაქალაქს აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან და რუსეთის გავლით – ევროპასთან.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან თბილისში მომრავლდა მსხვილი საწარმოები. ისინი ძირითადად მეფისა და სამეფო ოჯახის წევრთა საკუთრება იყო და სხვადასხვა პირზე იჯარით გაიცემოდა.

დედაქალაქში აშენდა საარტილერიო ქარხანა – „ჯაბახანა“, სადაც ასხამდნენ თოფიარაღს, ზარბაზნებს, ზამბურაკებს (მცირეკალიბრიანი ზარბაზანი)... მუშაობდა მარილსაწმენდი, მინის, თიხის ჭურჭლის, საპნის ქარხნები, ყველაზე მეტად განვითარებული კი საფეიქრო წარმოება იყო.

პირველი მონოპოლისტური საწარმო

1770 წელს მოქალაქე ისაია თაყუაშვილს მეფის ნებართვით გარეთუბანში, სოლოლაკში თოფისწამლის ქარხანა აუშენებია. საწარმო მონოპოლისტური ხასიათის იყო, თაყუაშვილის „მეტი კაცი ვერავინ დაანაყვინებდა და ვერც გვარჯილასა და თოფი სწამალს გაჰყიდდა.“ საწარმო იმდენად მოგებიანი აღმოჩნდა, რომ მალე მეფემ იგი თაყუაშვილებს უკანვე გამოსთხოვა.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის თოფისწამლის ქარხანა გადაწვა, მაგრამ თაყუაშვილმა მალევე მოახერხა მისი აღდგენა. (თბილისის ისტორია, ტ. I, 1990 წ.)

სავახშო კაპიტალი

თბილისელი ვაჭრები წარმატებულ სავახშო ოპერაციებს აწარმოებდნენ. ამ საქმეს ძირითადად ეწეოდნენ ვაჭრები, ეკლესია და ფულადი კაპიტალის მფლობელთა ის ნაწილი, რომელსაც რაიმე მიზეზების გამო შესაძლებლობა არ ჰქონდა, სავაჭრო ოპერაციებში ჩაერთო თავისი კაპიტალი (იგულისხმებიან ქვრივები, მოხუცები...). მსესხებლები იყვნენ გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, თავადაზნაურობა, მეფის ოჯახის წევრები და თვით მეფეც, თუმცა სამეფო სახლი უმეტესწილად სავალდებულო სესხს მიმართავდა და პროცენტის გადახდას თავს არიდებდა.

1790 წელს ბატონიშვილ გიორგი XII-ს ერთი თავისი თბილისელი ყმისთვის ასეთი ბარათი გაუგზავნია: „20 თუმანი რომ არ გვასესხო, არას გზით არ შეიძლება, ვერც უარს გვეტყვი, სესხად გთხოვთ. თუ ეს შეიტყო ვინმემ ჩვენს მეტმა, შენს მეტმა და ფეტიაშვილის მეტმა, ასე უნდა იცოდე, რომ ჩვენი მოსისხლე იქნები. ნუ შეწუხდები, ხომ იცი, რომ ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცეს, ყმას დასჭირდება, ბატონმა უნდა მისცეს. მაგაზე წყრომა როგორ იქნება.“

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ვაჭარ მელიქ მიღდისის 8600 მინალთუნი* ჰქონიათ ვალად. ერეკლე II-ს ვაჭარ გიორგი ნაზარბეგაშვილისაგან 4791 მანეთი უსესხია, გიორგი XII-ის ვალი 400 თუმანს აღწევდა. (*თბილისის ისტორია, ტ. I, 1990 წ.*)

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე ირანის შაჰის სახელი აღარასოდეს აღბეჭდილა. ამ დროიდან მათზე უკვე ქართველი მეფეების სახელები ფიქსირდება. აქ ძირითადად იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ვერცხლისა იყო ექვსშაურიანი, აბაზიანი, ორშაურიანი (უზალთუნი), სპილენძის – შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი, ფული, ნახევარი ფული. ბაზარზე დიდი რაოდენობით ტრიალებდა უცხოური ოქროს მონეტებიც (ასლანი*, ფლური*, ვენეტიკური (ვენეციური) დუკატი). საქართველოში ყოველგვარ ოქროს მონეტას ფლურს უწოდებდნენ და ისინი დაახლოებით 3,5 გრამს იწონიდა, რაც 50 გრამ მაღალსინჯიან ვერცხლს უტოლდებოდა. ერთი ფლური 7 ქართულ აბაზს უდრიდა. ოქროს და ვერცხლის შეფარდება ისეთივე იყო, როგორიც მსოფლიო ბაზარზე.*

ბისტი – იგივე ბიშტი, სეფიანთა ირანში XV ს-ის ბოლოს შემოღებული სამონეტო სისტემის უმცირესი ნომინალი (იწონიდა 0,93 გრამს). ჭრიდნენ ვერცხლისა და სპილენძისგან სადღესასწაულო დღეებში მოწყალების გასაცემად. საქართველოში ორ-ნახევარი ბისტი ერთ შაურს უდრიდა.

ასლანი (თურქ. ლომი) – ჰოლანდიური ოქროს მონეტის – დუკატის თურქული სახელწოდება.

ფლური – 1252 წელს ფლორენციაში მოჭრილი ოქროს მონეტა.

მინალთუნი (თურქ. „მინ“ ათასი, „ალთუნ“ ოქრო) – ერთი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ბაზარი და თბილისელი ვაჭრები

გიორგი XII-ის ძის, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ (ხუმარსწავლა) აღწერილია იმ დროის თბილისური ბაზარი. აქ სახელოსნო, დუქანი და ბაზარი ერთად იყო. ხელოსნობის ერთი ან მსგავსი დარგების ნაწარმით მოვაჭრეთა დუქნები ქმნიდა „რიგებს“. „კალმასობაში“ იოანე თბილისში დაატარებს ბერს, რომელმაც ქალაქისა არა იცის რა. გასეირნება იწყება მეფის მოედნიდან (დღევანდელი ერეკლე II-ის მოედანი), საიდანაც ისინი მიემართებიან სიონისაკენ. რიგებად ჩამწკრივებულ სავაჭრო თუ სახელოსნო დუქნებში მყიდველს თავიანთ საქონელს სთავაზობენ **ხარაზები** (ფეხსაცმლის მკერავები), **სარაჯები** (ცხენის აღკაზმულობის ხელოსნები), **ბაზაზები** (ფარჩითა და სხვა ქსოვილით მოვაჭრენი), **ყაზაზები** (ძაფების, ბაფთებისა და ზონრების გამყიდველები), **დაბაღები** (ტყავის ხელოსნები), **ქურქჩები** (ბეწვეულით მოვაჭრენი), **ჩილინგარები** (კლიტეებისა და გასაღებების ოსტატები)... იოანესა და ბერს გზად ხვდებოდნენ ოქრომჭედლები, კალატოზები, ხუროები, დურგლები, ხარატები, მეჩახმახეები, მეთოფეები, ფეიქრები, ალაფები, დალაქები და სხვები.

ბაზაზხანას, ფართლეულით მოვაჭრეთა დუქნების რიგს, იოანე ბატონიშვილი ასე აღწერს: „...მივიდა ბაზაზებთან, იხილა მრავალი ფარჩები, სხვადასხვაგვარი... იხილა მოლი, მაუდი და სხვა ფარჩები“ („კალმასობა“). თბილისში XVIII ს-ში ორი ბაზაზხანა იყო: ზემო მდებარეობდა ჩორსუ (ოთხკუთხა) ბაზართან, სიონის ქუჩისა და შუა ბაზრის გადაკვეთაზე (ადრე შუა ბაზარი, ამჟამინდელი ლესელიძის ქუჩა, სიონის სიახლოვეს მთავრდებოდა), ქვემო კი – თათრის მეიდანთან (დღეს ეს ადგილი **„ბამბის რიგის“** სახელითაა ცნობილი). მოგვიანებით, XIX ს-ის თბილისში კიდევ ერთი „ახალი ბაზაზხანა“ გაჩნდა (ახლანდელი შარდენის ქუჩა). აქ დუქნები და მათ წინ გასაყიდად გამოტანილი საქონელი საჩრდილობლებით ჰქონდათ გადახურული. ეს ქუჩას აბნელებდა, რის გამოც მას „ბნელი რიგი“ შეარქვეს. „ბნელი რიგი“ მოხსენიებულია მექვაბეთა რიგისა და ბაზაზხანის სახელითაც.

ალაფხანა მდებარეობდა თათრის მეიდნის (ამჟამინდელი გორგასლის მოედანი) ჩრდილო-დასავლეთით (დაახლოებით დღევანდელი ლესელიძის ქუჩის ბოლოს). „ალაფხანა“ აღმოსავლური სიტყვაა და ნიშნავს ფქვილით მოვაჭრეთა სახლს, რიგს, ქუჩას, ადგილს. ალაფი ფქვილით მოვაჭრეს ეწოდებოდა.

მეხაშეების რიგი, სახაშეები, გვხვდება 1767 წელს შედგენილ ნასყიდობის წიგნში: „თქვენს ვალში მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ნაქონი მეხაშეების რიგზე ორი დუქანი“. მოხმობილი დოკუმენტით ჭირს ძველ თბილისში „მეხაშეების რიგის“ ადგილმდებარეობის დადგენა. ვფიქრობთ, ის უნდა ყოფილიყო თათრის მოედნის სამხრეთით, წავკისისწყლის სიახლოვეს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ამ ადგილას „დაბახანის“ და **„აშპაშხანის“** არსებობა.

დაბაღხანა//დაბახანა (თურქ. „დაბაღ“ *ტყავი*, „ხანა-ხანე“ *სახლი* – შენობა, სადაც ტყავი გამოჰყავდათ და ამუშავებდნენ) ეწოდებოდა ვიწრო ზოლს წავკისისწყლის ქვემო წელზე, წავკისისწყლისა და მტკვრის შეერთების ადგილას. აქ დაბაღებს ღია ცის ქვეშ, წავკისისწყლის ახლოს გამომავალ გოგირდის წყაროებთან, გამართული ჰქონდათ კირქვით ამოყვანილი ტყავის გამოსაყვანი და დასამუშავებელი ორმოები. თბილისის დაბაღები ძირითადად მაჰმადიანი ხელოსნები იყვნენ.

XIX ს-ის მეორე ნახევარში, ქალაქის მმართველობის გადაწყვეტილებით, „დაბახანა“, რომელიც მტკვარს და გარემოს აბინძურებდა, ქალაქიდან მოშორებით, მტკვრის გაღმა, ორთაჭალისკენ გადაიტანეს.

დედაქალაქში თავიანთი დუქნები ჰქონდათ ექიმებსაც. ცნობილია, რომ ერეკლე II-მ 1797 წელს „კეთილშობილ ჰაქიმ არუთინას“, რომელიც სიჭაბუკეში სწავლა-განათლების მისაღებად ევროპაში წასულა და „მკურნალობის ხელოვნებით კეთილად განსწავლულა“, თათრის მოედანზე დუქანი უბოძა. „ექიმის დუქანი“ ან, სხვა წყაროებით, „დოხტურის ქარხანა“, რა თქმა უნდა, გამოყენებული იქნებოდა როგორც წამლების გასაყიდად, ისე ავადმყოფების გასასინჯადაც. აღსანიშნავია, რომ თბილისში არაერთი ექიმი იყო.

ლილახანა (სამღებრო) ეწოდებოდა სახლს, შენობას, სადაც საქმიანობდნენ მღებარები და მღებავები. სულხან-საბას განმარტებით, „მღებარი – საღებავის მცოდინარე ოსტატი; საღებავის ოსტატი“ იყო, ხოლო „მღებავი – ღებვის მოქმედი, ღებვის მქნელი“.

XVIII საუკუნეში თბილისში სამღებრო, ანუ ლილახანა, მღებავთა უბანი ერთ რიგად ჩამწკრივებული დუქან-სახელოსნოებით მდებარეობდა ბატონის (ზემო) მოედნის სამხრეთ-დასავლეთით, შუა ბაზრის მარცხენა მხარეს, ერეკლეს მოედანზე გამავალი პრიკაზნაიას (ახლანდელი შ. ყავლაშვილის) ქუჩის ადგილზე. (უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში დღეს არსებულ სამღებროს ქუჩას საერთო არაფერი აქვს XVIII ს-ის სამღებროებთან.)

სამღებროს მთავარი და აუცილებელი ინვენტარი იყო ქვევრი, რომელსაც წყალში გახსნილი საღებავით (წამლით) ავსებდნენ. მოშორებით ანთებდნენ ცეცხლს, საიდანაც თიხის მილით თბილი ჰაერი სავსე ქვევრამდე მიდიოდა. ამგვარად გაცხელებულ საღებავში ავლებდნენ ნართს და სხვადასხვა სახის ქსოვილებსა და ტანსაცმელს (ჩოხას, კაბას, შალეულს და ა.შ.). გაწეულ სამუშაოში სამღებრო გასამრჯელოს იღებდა. კუთვნილზე მეტი ფულის აღება კანონით ისჯებოდა: „უკეთუ სამღებროსა შინა ღებვისათვის უზომო მომატებულ საღებავის ფასი აიღოს, მსგავსად ქურდისა გარდახდეს“ („სამართალი ბატონიშვილის დავითისა“). აღსანიშნავია, რომ XX ს-ის 40-50-იან წლებამდე თბილისში შემორჩენილი იყო გამოთქმა: „ჰა? რა ლილახანაა!“, ანდა, „ჰა! რა, ლილახანა ხომ არ გგონია?“ ქალაქელები ასე მიმართავდნენ იმას, ვინც დასაშვებზე მეტის აღებას მოინდომებდა, ან დასაშვებზე მეტის წაღებას დააპირებდა.

„დასტურლამალის“ მიხედვით, თბილისის სამღებროები მთლიანად სადედოფლო ქონება იყო. დედოფალი სამღებროს იჯარით გასცემდა ხოლმე. 1801 წელს დარეჯან დედოფალი რუსი ხელისუფლებისთვის წარდგენილ სადედოფლო მოძრავ-უძრავი ქონების ნუსხაში წერს: „ქალაქის სამღებროს იჯარა ჩემს ხელთ რომ იყო, მაშინ გაიცემოდა ხან 500, ხან 600, ხან 700 თუმნად“. XVIII ს-ის მიწურულს და XIX ს-ის დასაწყისში თბილისის სამღებროები მოქალაქეთა ხელში გადადის.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისში 500-მდე დუქანი იყო, მაშინ როცა საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 200-ს არ აღემატებოდა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების შედეგად სავაჭრო-სახელოსნოები თითქმის მთლიანად განადგურდა, მაგრამ სულ მალე, 1803 წლისთვის, დედაქალაქში უკვე 574 დუქანია აღრიცხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ყველა ოჯახში, ყველა დუქანში, სახელოსნოში, ტრაქტირსა და ყავახანაში, ერთი სიტყვით, ყველგან იდგა ქურსი – ღუმელი.

ქურსი (ქურსე) – ტერმინი ნაწარმოებია სპარსული „ქურე“-სგან, რაც ნიშნავს ღუმელს, საცეცხლურს, გათბობას... ქურსი იყო ოთხკუთხა ან ექვსკუთხა რკინის დაბალ, მოკლე ფეხებზე შემდგარი ორსახელურიანი, სპილენძისაგან დამზადებული ღია ღუმელი, რომელშიც გაღვივებულ ნახშირს ყრიდნენ და სითბოს ხანგრძლივად შესანარჩუნებლად გუმბათის ფორმის სპილენძის სახურავს ახურავდნენ. თბილისში ხელოსნებსა და ვაჭრებს ზამთარზაფხულ, წლის ყოველ დროს, დუქნებისა და სახელოსნოების დარაბები წინა მხრიდან გახსნილი ჰქონდათ. ამიტომ საქმიანობის დროს ზამთრობით ფეხქვეშ ქურსი ედგათ და ისე თბებოდნენ.

ამდენ ქურსს ნახშირიც ბევრი უნდოდა. იმდროინდელი თბილისი ზამთრობით დღეში ათას ტომრამდე ნახშირს ხარჯავდა. ვირზე გადაკიდებული ორი ტომარა, წონით ერთ ფუთამდე ნახშირი 25-იდან 40 კაპიკამდე ღირდა ვერცხლით. შუა ბაზრის მახლობლად მდებარე ვირის მოედანი მენახშირეების მთავარი შესაკრები ადგილი იყო. ნახშირს წვავდნენ თბილისიდან მოშორებით, ხშირტყიან ადგილებში. მენახშირეებს პატარა ამხანაგობები ჰქონდათ. ამხანაგობა კოლექტიურად ჭრიდა ხეებს, თხრიდა ორმოებს, წვავდა ნახშირს და თანასწორად იყოფდა ფულს. ტყის მეპატრონეს ერთი ორმო ნახშირიდან კვირაში ერთი ტომარა ეძლეოდა.

„ამქარი ამქარს იცნობს“

თბილისელი ხელოსნები, ისევე როგორც ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა, ამქრებში იყვნენ გაერთიანებული. ყველა საქმეს თავისი ამქარი ჰყავდა. სხვადასხვა დროს ამ სახის გაერთიანებებს ჯამაათს, ურთაღს, თაბუნს, ასნაფს უწოდებდნენ, XVIII საუკუნიდან კი ტერმინი – **ამქარი** (სპარს. ჰამქარ – თანამოსაქმე) დამკვიდრდა.

ხუროების, კალატოზების, ქვისმთლელების, დაბაღების, ხარაზების, ნალბანდების (ნალისა და სანალე ლურსმნის მჭედელი), მექვაბეების, ოქრომჭედლების, მაზმანების (აპეურის, თოკის მგრეხავი), ჭონების (მექუდეები), დერციკების (იგივეა, რაც თერძი), მჭედლების, მკუპრავების (ტიკებისა და რუმბების მკეთებელი და კუპრის წამსმელი ოსტატი) და ხელოსნობის სხვა დარგების წარმომადგენლების გარდა, ცალკეულ ამქრებს ქმნიდნენ ერთი და იმავე საქონლით მოვაჭრენიც (ბაზაზები, ყასბები, სარაჯები, მეწვრილმანეები). ამქრებად ერთიანდებოდნენ ტვირთის მზიდავი მუშები, თულუხჩები, თივის გამყიდველები, მედროგეები, დღიურ ქირაზე გამსვლელი მუშები, ექიმები (მკურნალები) და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ხელოსნები უსტაბაშთან ერთად

ამქარს ხელმძღვანელობდა ამქრის თავი – ამქარბაში, იგივე **უსტაბაში** (ოსტატთა თავი). ოსტატს ხშირად, დარგის მიხედვით, მოიხსენიებდნენ „სირაჯბაშად“, „აქიმბაშად“ და ა. შ.

თუ შუა საუკუნეებში უსტაბაშს თვით ამქარი ირჩევდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მას მხოლოდ კანდიდატურის წამოყენების უფლება დაუტოვეს, უსტაბაშს კი მეფე ამტკიცებდა. მეფეს მისი გადაყენებაც შეეძლო.

ოსტატი ანაწილებდა ამქრის წევრთა შორის სამუშაოს, ამოწმებდა მათს საქმიანობას, არჩევდა სადავო საკითხებს, დახმარებას უწევდა ამქრის ავადმყოფ და უძლურ წევრებს, იღებდა ახალ წევრს ამქარში, კონტროლს უწევდა ამქრის სალაროს და წლის ბოლოს ამქრის კრებას ანგარიშს აბარებდა შემოსავლისა და გასავლის შესახებ, აწესრიგებდა ამქრის ურთიერთობას მეფესთან თუ ქალაქის მოხელეებთან...

ერთ-ერთი ცნობით, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში მათხოვრებიც კი ამქრებად გაერთიანებულან.

ამქრის წესდების მიხედვით, თუკი მისი წევრი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო მუშაობას ვერ შეძლებდა, თუ მას არ ჰყავდა შემნახველი და, მით უფრო, თუ წვრილშვილიანი იყო, ამქარს თავისი სალაროს ხარჯით ზამთრის მკაცრ დღეებში, შობას და სხვა დღესასწაულებზე მისთვის უნდა მიეტანა პური, შეშა, ნახშირი და ფულიც.

ამქრის სალარო თანაბრად ემსახურებოდა მის „უფროს, ასევე უმცროს წევრს, ღარიბს თუ მდიდარს". თუკი ამქრის წევრთაგან ვინმე სიღარიბეში გარდაიცვლებოდა, ამქარი ვალდებული იყო, სალაროდან გაეღო სათანადო თანხა მის წესიერად დასამარხად. ამას გარდა, თუ ამქრის ამა თუ იმ წევრს ვინმე მოუკვდებოდა ან სახლი დაენგრეოდა თუ სხვა უბედურება ეწეოდა, ამქრის სალარო დაზარალებულს სათანადო დახმარებას აღმოუჩენდა.

ამქრის დროშები.

ამქრის საღვთო

თითოეულ ამქარს ჰყავდა თავისი მფარველი წმინდანი, რომელიც შესაბამის სიმბოლოს წარმოადგენდა და დროშაზე ემბლემის – ფირის სახით იყო გამოსახული. მაგ., ხარაზების ემბლემა იყო ილია წინასწარმეტყველი, ყასბებისა – მამა აბრამი ბატკნით, ხუროების – ნოეს კიდობანი და ა. შ. ამქრის დროშა წმინდა საგნად ითვლებოდა. იგი წელიწადში ერთხელ, ამქრის დღესასწაულზე – საღვთოს გადახდის დროს გამოჰქონდათ.

ამქრის საღვთო, ამქრობა, იმართებოდა გაზაფხულზე, აღდგომის ორშაბათიდან ამაღლებამდე. დღესასწაული ქალაქგარეთ, ორთაჭალის ბაღებში ეწყობოდა. ამ დღისთვის წინასწარი სამზადისის გაწევა ევალებოდა **იგთიბაშს** – ამქრის შიკრიკს, რომელიც აუწყებდა მის წევრებს საღვთოზე გამოცხადების თარიღს, **აღსაყკალი**, უსტაბაშის თანაშემწე, კი აგროვებდა „ფსონს" – საჭირო თანხას ამქრობის ჩასატარებლად. წვეულების დროს შეგირდებს ოსტატებისთვის საჩუქარი უნდა მიერთმიათ. უსტაბაშის სახელოსნოსთან დილიდანვე ამქრის დროშა იყო გაშლილი, საღვთოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე უკრავდნენ ზურნას, შლიდნენ ხალიჩებს. მედროშე დროშას გამოიტანდა და მთელი ამქარი ქალაქგარეთ მიემართებოდა. შეგირდს გამოცდის მიზნით რაიმე ნიმუში უნდა დაემზადებინა, რასაც გამოცდილი ხელოსნები ამოწმებდნენ. შემდეგ უსტაბაში შეგირდს დალოცავდა და სამჯერ გააწნავდა სილას, რითაც თითქოს მათ შორის არსებული უფროს-უმცროსობის ზღვარი სიმბოლურად იშლებოდა. დალოცვის შემდეგ შეგირდს ჭრელი აბრეშუმის სარტ-ყელს – ბაღდადს შემოარტყამდნენ.



ზურნა.

XVIII საუკუნის საქართველოში განათლებისა და მეცნიერების წარმატების საყრდენი გახდა 1708–1709 წელს თბილისში დაარსებული სტამბა, რომელიც რუმინეთის საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწის, წარმოშობით ქართველი ანთიმოზ ივერიელის აქტიური დახმარებით მოეწყო. ამისთვის ანთიმოზმა თბილისში მოავლინა თავისი მოწაფე, უნგროვლახელი მიხაი იშტვანოვიჩი.

სტამბისთვის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე საგანგებო შენობა ააგეს. 1709–1712 წლებში თბილისის სტამბაში დაიბეჭდა 14 წიგნი, მათ შორის, სახარება, ლოცვანი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“....

ვახტანგ VI-ის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაუქმებული სტამბა თბილისში მხოლოდ 1749 წელს აღდგა. სტამბა თეიმურაზ II-ის დროს საპატრიარქო სასახლეში იყო გამართული, შემდეგ კი მეფის სასახლის ეზოში გადაიტანეს. 1749–1790 წლებში აქ 60-მდე დასახელების წიგნი დაიბეჭდა, მათგან დიდი უმრავლესობა სასწავლო დანიშნულებისა და სასულიერო ხასიათისა. გამოცემათა ტირაჟი 400, 800 და ზოგჯერ 1000 ცალიც კი იყო.



თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „ჟამნი“. თავფურცელი.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მესტამბეებმა სტამბის მოწყობილობა მიწაში ჩაფლეს. 1798 წელს ერთმა თბილისელმა ვაჭარმა ამ დანადგართა ნაწილი განჯაში ნახა, იყიდა და გიორგი XII-ს მიართვა. მეფე სტამბის აღდგენას შეუდგა, მაგრამ ვერ მოასწრო – საქმე დავით ბატონიშვილმა და კათოლიკოსმა ანტონ II-მ დაასრულეს. მათ სტამბისთვის ახალი შენობა ააგეს და 1799 წელს ბეჭდვაც განაახლეს.

1802 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა გენერალ კნორინგის განცხადება, რომლითაც საქართველოს მოსახლეობას ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ეუწყა.

სწავლულ კაცთა კომისია

ვახტანგ VI-ის მეფობის წლებს უკავშირდება ქვეყნის კულტურული აღმავლობა.

XVIII საუკუნის ქართველ სწავლულებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა უმრავლესობა თბილისში იყო თავმოყრილი, უყურადღებოდ, შეიძლება ითქვას, მეცნიერების არც ერთი დარგი არ დარჩენიათ.

საუკუნის დასაწყისში შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების“ გამართვა (რედაქტირება) და შევსება.

ინტენსიურად გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ვახტანგ VI-მ. მან თარგმნა მთელი რიგი ასტრონომიულ-ასტროლოგიური, მათემატიკური და ქიმიური შინაარსის თხზულებებისა. ქართულად ითარგმნა სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს აფორიზმები და სენტენციები. დიმიტრი ციციშვილმა გერმანულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. მანვე გამოსცა (1757 წ.) გეოდეზიის პირველი სახელმძღვანელო...

ქართველები დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მიმართ. 1783 წელს ფრანგი გამომგონებლების, ძმების ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიერების საჰაერო ბურთით გაფრენას საქართველოში ისეთი გამოძახილი მოჰყვა, რომ 1785 წელს ვენეციაში ერეკლე II-ის დაკვეთით ქართულად ითარგმნა წიგნი ამ მოვლენის შესახებ.

ვახტანგ VI-მ დაამზადებინა ასტროლაბი ქართული წარწერებით.

1755 წელს თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, გაიხსნა „სემინარია ფილოსოფიისა“ – უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. სემინარია მეფის ხარჯზე არსებობდა. მას განაგებდა მეფის მიერ დანიშნული რექტორი. აქ ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, გრამატიკას, რიტორიკას, სქოლასტიკას, ისტორიას, ფილოსოფიას, თეოლოგიას, მღვდელმსახურების წესებს, არითმეტიკას, მათემატიკის საფუძვლებს...

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში არსებობდა კერძო დაწყებითი სასწავლებლების ფართო ქსელი. ქართველთათვის ასეთი სკოლები იყო ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. ამ სკოლებში 400-მდე მოზარდი სწავლობდა. სასწავლებლების მუშაობას ზოგჯერ თვით მეფე ამოწმებდა.

განათლებისა და მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობდა თბილისში არსებული წიგნსაცავ-ბიბლიოთეკები. XVIII საუკუნის დამდეგს სიონის მახლობლად მოეწყო ხელნაწერ წიგნთა საცავი. განთქმული იყო სამეფო კარის ბიბლიოთეკა. საპატრიარქოს წიგნსაცავში 76 000 წიგნი იყო დაცული. წიგნსაცავი ჰქონდა თითქმის ყველა ეკლესიას.

1711 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული მეთოდური პედაგოგიური სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, შედგენილი გერმანე სიონის ხუცეს-მონაზვნის მიერ. სახელმძღვანელოს წამძღვარებული აქვს ვახტანგ VI-ის სიტყვები: „ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

საზი.

თბილისელი აშუღები

ქართულ ქალაქურ სამუსიკო შემოქმედებას, რომელიც სხვადასხვა კულტურის ხალხთა ტრადიციების სინთეზის გზით იქმნებოდა, XVIII საუკუნეში ძირითადად აღმოსავლური ელფერი ჰქონდა. აღმოსავლური ჰანგები თბილისში როსტომ მეფის დროიდან, XVII საუკუნიდან გავრცელდა, უკვე XVIII საუკუნეში კი ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთ უმთავრეს სახედ – აშუღურ ხელოვნებად ჩამოყალიბდა.

„აშუღი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს აშიკს (არშიყს) – მოტრფიალეს. ჩვენში ის ირანიდან შემოვიდა. აშუღი თხზავდა სასიმღერო ტექსტს (უმეტესად, იმპროვიზებულად), უწყობდა მას ჰანგს და თავადვე მღეროდა რომელიმე სიმებიანი საკრავის – თარის, ქამანჩას, ჭიანურის, უფრო ხშირად კი საზის თანხლებით.

აღმოსავლური საკრავი, საზი, თბილისის მკვიდრთ განსაკუთრებით უყვარდათ. უიმისოდ წარმოუდგენელი იყო ლხინი, დღეობა და ქორწილი.

თბილისის პირველი საზანდარი, ალავერდა, მეფე ერეკლესთან ერთად იბრძოდა აზატ ხან ავღანის წინააღმდეგ (1751 წ). მემატიანე მოგვითხრობს: „ყოველსა ჟამსა მოქმედებისასა ალავერდა მოუშორებლად იმყოფებოდა მეფე ირაკლისთან და მხნედ იბრძოდა“. ცნობილმა საზანდარმა მონაწილეობა მიიღო ერეკლეს დაკრძალვის ცერემონიალში.

XIX ს-ის 30-იან წლებში ცნობილი იყო პეტრუსა საზანდარი, თბილისის ბაღების „თვალისჩინი“ და „აბანოს ლხინების“ მუდმივი მონაწილე. პეტრუსა მარტო დაქირავებული მოსაკრავე როდი იყო, ის თბილისის არისტოკრატიასთან პირადად მეგობრობდა. ცნობილი საზანდრის ქორწილი ოც დღეს გაგრძელებულა. პოეტ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში დავით ყორღანაშვილი ასე აღწერდა ამ ნადიმს: „გუშინ დასრულდა მეოცე ღამე ქორწილში ყოფნისა. აგიწერ, მაგრამ საღერღელი აგეშლება ლხინისა. ბილეთებით ვიყავით მიწვეულნი საზანდარის ქორწილში...“

ბეზიკი

მივიშვილი

თბილისს ბევრი სხვა ცნობილი საზანდარი და აშუღი ჰყავდა, მათ შორის საიათნოვა – „საქართველოს მეფის საზანდარი“, სათარა, ჯაფარა, ევანგულა... XIX საუკუნეში – ბეჩარა, გივიშვილი, იეთიმგურჯი და სხვ.

ბესარიონ გაბაშვილი

(1750–1791)

ქართველი პოეტი. თეიმურაზ II-ის კარის მოძღვრის, ზაქარია გაბაშვილის ვაჟი. „მეცნიერებათა შინა გამოცდილი“ და დიდებული მოქართულე, შესანიშნავად უკრავდა საზს და თარს. მან ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა აღმოსავლური პოეზიის ტიპური ფორმები – ბაიათი და მუხამბაზი*. ცნობილია, რომ ირანის შაჰს ქართველი პოეტი მუხამბაზის ბრწყინვალე შესრულებისთვის ბრილიანტით მოოჭვილი თარით დაუსაჩუქრებია.

ჩრდილების თეატრის წინაპარი

მუხამბაზი (არაბ. „მუხამმას“, ხუთმაგი, ხუთეული) – ლექსთწყობის ერთ-ერთი ფორმა სპარსულ პოეზიაში. სტროფი შედგება ხუთი სტრიქონისგან.

ლექსიკონი

ქალაქში მეტად პოპულარული იყო აშუღების მოძრავი თეატრი – ნაღლი. ნაღლი ზღაპარს ნიშნავს. აშუღები წარმოსადგენად აირჩევდნენ რაიმე ამბავს, რომელიმე კეთილი და ბოროტი გმირის თავგადასავალს, გალექსავდნენ, შეუწყობდნენ სხვადასხვა ხმას და დღესასწაულებზე ხალხმრავალ ადგილას, მინდორზე ან მოედანზე, მართავდნენ წარმოდგენას.

ხალხური ფესვები ჰქონდა „ყარაგიოზას თეატრსაც“, რომლის წარმოშობის შესახებ იოსებ გრიშაშვილი წერდა:

„ყარაგიოზას შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს. სულთან მურადის დროს ქალაქ ბრუსეში შენდებოდა უზარმაზარი მეჩეთი. უთვალავი კალატოზი მუშაობდა, მაგრამ მუშაობა როგორღაც ნელის ტემპით მიმდინარეობდა. გამოირკვა, რომ ვინმე ყარაგიოზა და ჰაჯივათა თავიანთი სასაცილო ამბებით ართობდნენ კალატოზებს და ხელს უშლიდნენ მეჩეთის დამთავრებას. განრისხებულმა სულთანმა ბრძანება გასცა, ყარაგიოზასთვის და ჰაჯივათასთვის თავი მოეკვეთათ. განკარგულება სისრულეში მოიყვანეს, – მაგრამ მეჩეთის დამთავრებას მაინც არაფერი ეშველა. სულთანს კი ყარაგიოზას აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა; სწუხდა, იტანჯებოდა. ბოლოს სულთანმა მოიხმო შეიხი და სთხოვა, რომ ეს ურვა და სულის ქენჯნა როგორმე გაენელებინა. გამჭრიახმა შეიხმა განიზრახა, ყარაგიოზას და ჰაჯივათას გაცოცხლება: გამოსჭრა ტყავიდან ამ ორი ოხუნჯის მოძრავი ფიგურები, გაუკეთა ძაფები და გაჭიმულ ტილოზე აათამაშა, თვითონ შეიხი კი ფარდის უკან იდგა და ყარაგიოზას ენით უამბობდა სულთანს სწორედ იმ საოხუნჯო ამბებს, რომლებსაც ეს გმირები ემსხვერპლნენ...

აი, ასე ჩაისახა ის პატარა ჩრდილების თეატრი, რომლის სამშობლოც ოსმალეთია და რომელიც თითქმის დღევანდლამდე ინახება თბილისის შეითანბაზრის ყავახანებში.“

საიათნოვას მემორიალი თბილისში.

საიათნოვა (არუთინა საიადიანი)

(დაახლ. 1712/22–1795/1801 წწ.)

საიათნოვა (ფსევდ. საიდნოვა – ჰანგის უფალი, პატრონი) თბილისელი აშუღი იყო, წარმოშობით სომეხი. დაიბადა და ცხოვრობდა თბილისში. თხზავდა ლექსებს და მღეროდა ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. პოეტურმა ნიჭმა და სასიამოვნო ხმამ სახელი გაუთქვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიაში. 1762–1765 წლებში მეფის კარის საზანდარი იყო. 1768 წელს მეფე ერეკლემ, ჩვენთვის დღემდე უცნობი მიზეზების გამო, სასახლიდან დაითხოვა. სამი წლის შემდეგ ბერად შედგა ახპატში (სომხეთი) და იქვე გარდაიცვალა.

თბილისში აშუღური პოეზიის დამკვიდრება საიათნოვას სახელს უკავშირდება.

ტფილისი

თარი.

ქამანჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერკინება ლექსით და საზით

აშუღი სახალხო, ხალხის საყვარელი პოეტი იყო. აშუღური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ზეპირად სწავლობდნენ და შთამომავლობას გადასცემდნენ.

თავიანთი ოსტატობის საჩვენებლად აშუღები ხშირად მოგზაურობდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში, დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში. უცხო ქალაქში ჩასული აშუღი უთუოდ გამოიწვევდა ლექსთა თქმაში ადგილობრივ სახალხო პოეტს. შეჯიბრება ასე ტარდებოდა: აშუღი თავის საკრავს – ქამანჩას, ან საზს უკრავდა და თან სიმღერით წარმოთქვამდა ლექსს, მოწინააღმდეგე კი ამავე წესით – ლექსით უპასუხებდა. ეს იყო ერთგვარი კითხვა-მიგება ლექსით (აშუღური კაფია) – მუნასიბი*. კითხვა-მიგება ექსპრომტად ხდებოდა. ვინც ლექსად დასმულ შეკითხვას სწრაფად ვერ უპასუხებდა, დამარცხებულად ითვლებოდა და თავისი საკრავი გამარჯვებულისათვის უნდა მიეცა. შემდეგ მას სირცხვილით ხალხში თავი აღარ გამოეყოფოდა და იძულებული იყო, იქაურობას გასცლოდა. ზოგჯერ ორივენი „მაგარის შუბლისანი“ აღმოჩნდებოდნენ და არც ერთი არ თმობდა გამარჯვებას. მაშინ აშუღები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ და მეგობრულად დაშორდებოდნენ.



მუნასიბი – მოუმზადებელად, დაუსწავლელად წარმოთქმული ლექსი. კაფია, ექსპრომტი.
ქირმანი (ქირმანის შალი) – ძვირფასი მატყლის ქსოვილი (სპარსეთის ქალაქ ქირმანის მიხედვით).
ყალამქარი – დაჩითული ბამბის ქსოვილი.
არმაღანი – საჩუქარი; შორით მოტანილი ძღვენი („ვეფხისტყაოსანი").

ლექსიკონი

მეტეხის ციხის მახლობლად ყავანჩებს რამდენიმე ყავახანა ჰქონდათ. ყავის, ხმელი ხილისა და ნამცხვრის გარდა, იქ მისული სტუმარი ნაირ-ნაირ აღმოსავლურ კერძსაც დაიგემოვნებდა.

ყავახანა აშუღთა შესაკრები პუნქტი იყო. აქ ყოველ საღამოს იმართებოდა კამათი, დაკვრა და „ლექსებით ძებნა გამოცანებისა". პაექრობაში გარეშენიც მონაწილეობდნენ.

„ერთი აშუღი ლექსად დასწერდა მუღამბაზს (გამოცანას). ნაწერ ქაღალდს მიაკერებდა ძვირფასად ნაქსოვ ნახელავ ქირმან* შალზე ან ყალამქარის* ბაღდადზედ და ჩამოჰკიდებდნენ ყავახანაში. ყავახანა მუდამ ხალხით იყო სავსე და, აშუღთა წასაქეზებლად, გარდა აშუღების არმაღანისა*, მეტს ფულსაც ჩამოდიოდნენ და ამ ფულს აკრავდნენ ქირმანშალზედ დაკრულ გამოცანის გარშემო.

ეს ფული, ფულთან ის ქირმანშალიც, გამარჯვებულ აშუღს ეკუთვნოდა. თუ გამოცანას ვერავინ ახსნიდა, შალიც და შეკრებილი ფულიც გამოცანის ავტორს რჩებოდა" (ი. გრიშაშვილი).

მესტვირე



გუდა-სტვირზე დაკვრა-დამღერების ოსტატები, რომელთა ხელოვნება ხალხური პოეზიისა და ხალხური მუსიკის შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია, ძველი დროიდანვე იყვნენ ცნობილი საქართველოში.

მესტვირეები შემოდგომაზე და ზამთარში შემოივლიდნენ დაბა-ქალაქებს და გასამრჯელოს იღებდნენ როგორც ფულით, ისე ნატურით. თითქმის ყველა მათგანს ჰყავდა ბატონი, რომელსაც „გასტროლების" შემოსავლიდან „წილს" აძლევდა. XVIII საუკუნის თბილისში ცნობილი მესტვირე ყოფილა ბლიაძე. მომღერლის პროფესია ამ გვარში თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამიტომ „ბლიაძე" მესტვირის სინონიმად ქცეულა: „ყოველ კაი რაჭველ ხუროს „ლანდიას" ეძახდნენ, როგორც რომ დღესაც ეძახიან კაი მესტვირეს „ბლიაძეს", კაი პურის მკელს „თაბაგარს" და მოჭიდავე ფალავანს „ხიზამბარელს" (გაზ. „დროება" 1875 წ.).

თბილისელთა დროს ტარების განუყოფელ ნაწილად იქცა აღმოსავლური საკრავების მცირე ანსამბლი – დასტა. მისი ხუთი წევრიდან ორი ზურნას უკრავდა, ორი – დუდუკს და ერთიც – დოლს. მელოდიას ასრულებდა ერთი მეზურნე – „უსტა" – ოსტატი. მეორე მეზურნე – „დამქაში" – მას ბანით მიჰყვებოდა, მედოლე კი დახელოვნებული მომღერალიც იყო.

ბილეთები ორ შაურად

XVIII საუკუნის დამდეგს ვახტანგ VI-მ და მისმა თანამოაზრეებმა განვითარების ახალი გეზი მისცეს ქართულ სახიობასა და თეატრს. მეფე, რომელიც კულტურის დიდი მეცენატი იყო, ხელს უწყობდა სახიობის მოყვარულთ, რათა სასახლის კარის ახალგაზრდობა ყოფილიყო „მეჯლიშსა და ლაღობაში მშვენიერი სამზერლად.“ ვახტანგ VI-ს აუგია „სალხინო სახლი“. ამ დროს სასახლის კარისა და მთელი თბილისის სახიობას სათავეში საზანდარბაში გიორგი ედგა.

ვახტანგ VI-ის კარზე რუსეთში გადახვეწის შემდეგაც იმართებოდა სახიობის წარმოდგენები. აქ მოწყობილ პოეტურ კაფიაობაში მონაწილეობითა და გალობა-სიმღერით გაითქვა სახელი პოეტმა დავით გურამიშვილმა.

ერეკლე II-ის დროს სასახლის კარის სახიობას მეთაურობდა „უფროსი მსახიობელთა, რომელსა სახელს დებენ მაჩაბლად.“ ის ცნობილი საზანდარიც იყო – ქართველი დიდებულები ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და ლხინში. მაჩაბელი, რომელიც კრწანისის ბრძოლაში თბილისელთა ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და მეომრებს თავისი სიმღერით ამხნევებდა, ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა.

დავით ჩოლოყაშვილმა, რომელიც ბესიკ გაბაშვილის შემდეგ პირველ „მესტიხედ“ იყო მიჩნეული, თარგმნა ცნობილი ფრანგი დრამატურგის ჟან რასინის ტრაგედია „ეფიღენია“ („იფიგენია ავლიდაში“).



ერეკლე მეფის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩის ამალის წევრს და სამშობლოში მაიორის წოდებით დაბრუნებულ ვინმე გაბრიელს თბილისში, სასახლის ახლოს, თეატრი გაუმართავს. მაყურებელი წარმოდგენებს ესწრებოდა ბილეთებით, რომლებსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „შაური ორი. გაბრიელ მაიორი.“

ფეფილისი



XVIII ს-ის 90-იან წლებში მწერლისა და დიპლომატის, გიორგი ავალიშვილის მეთაურობით თბილისში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა დასი. ამ დასის წევრები ძირითადად მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ (დიმიტრი ბაგრატიონი, დავით ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ ანდრონიკაშვილი...). საჯარო წარმოდგენები სასახლეში იმართებოდა. წარმოდგენის დაწყებამდე ავალიშვილი აუდიტორიას მიმართავდა რეჩიტატივით – საგანგებოდ გალექსილი ტექსტით. გიორგი ავალიშვილის კალამს ეკუთვნის კომედია „თეიმურაზ მეფე“.



თბილისის ქუჩებისა და მოედნების საერთო სურათს, რომლის აღწერასაც საკმაოდ დიდი ადგილი დავუთმეთ, მკვიდრი ქალაქელების სახეები აკლია. ვის არ შეხვდებოდით ამ ვიწრო ქუჩებში, ბაზრებსა თუ მოედნებზე: ქართველს, სომეხს, ებრაელს, თურქს, ბერძენს, რუსს.... მათ ერთმანეთისაგან მარტო ყოფა-ცხოვრების წესი და ადათ-ჩვევები როდი განასხვავებდა, განსხვავებული იყო ჩაცმულობაც. სწორედ ტანსაცმელი იყო ის საშუალება, რომელიც გარეგნულად გამოხატავდა ამა თუ იმ მოქალაქის როგორც ეთნიკურ, ისე სოციალურ კუთვნილებას.

ქართველი მამაკაცების ზედა სამოსი იყო ახალუხი, რომელიც იკერებოდა შავი ჩითის ან სატინისაგან. ზამთარში მას გამოაკრავდნენ თბილ მაუდის სარჩულს. ახალუხი წინ იკვრებოდა ღილკილოებით ან დუგმებით. ახალუხის ზემოდან იცვამდნენ შალის ჩოხას (ძირითადად მუქი ფერისას), მუხლს ქვემომდე. ახალუხის გამოჩენის მიზნით, ჩოხა გულამოჭრილი იყო, წელს ქვემოთ ჩახსნილი, ნაკეცებით. გახსნილ სახელოებს მაჯასთან იკრავდნენ ან მხარზე უკან გადაგდებულს ატარებდნენ. ჩოხას მკერდზე ჰქონდა სამასრეები (მოგვიანებით სამასრეებს დეკორაციული ფუნქცია მიენიჭა). ატარებდნენ ვერცხლის ქამარს, რომელზეც ხანჯალი ეკიდა. ქამრის ნაცვლად ხშირად წელზე შალის სარტყელი ჰქონდათ შემორტყმული. მაღალი ფენის მამაკაცები ზედა ტანისამოსად იყენებდნენ სქელი აბრეშუმის კაბას, რომელიც განსხვავდებოდა მდაბიოთა ჩოხისაგან. კაბის სახელოები ქვევით ვიწროვდებოდა. კაბის ქვეშ იცვამდნენ ყრუ, დაბალსაყელოიან ახალუხს. შარვალი ფართო იყო და ზონარით იკვრებოდა.

ჩვენი წინაპრები წვერ-ულვაშს არ იპარსავდნენ, თუმცა საუკეთესო სამართებლებს ამზადებდნენ. XVIII საუკუნეში ეს საქმე იმდენად განვითარებულა, რომ თბილისელ ხელოსნებს სამართებლის ექსპორტიც კი დაუწყიათ. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: „მოხუცი სლივიცკი იყო ზუბოვისა ადიუტანტი დერბენდსა, და როდესაც იმპერატორმან დააბრუნა ჯარი რუსეთად, მაშინ მოვიდა იგი თბილისს 1791 წელს და მოისყიდა სამართებლები. თვითოში მივე თვითო აბაზიო. არც ერთი ევროპაში ნაკეთები არ შეედრება თბილისის სამართებლებსაო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანზე გამოყვანილი, გრძელი, ოქროქსოვილიანი გულისპირით გაწყობილი ქართული კაბა შედგება სამ, ოთხ- ან ექვსნაჭრიანი ზედატანის, ანუ „კანძოლის“ და ქვედატანისაგან.

კაბასთან სახმარი აუცილებელი ელემენტები იყო **პერანგი** და **შეიდიში** – ქვედა საცვალი, რომლის ბოლოებზეც ოქროს ძაფით იქარგებოდა მცენარეების ან თევზებისა და ფრინველების გამოსახულებები. იმის მიხედვით, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა ქალი, შეიდიში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც აბრეშუმის, ისე უხეში ტილოს ქსოვილისა. ზედა მოსაცმელი იყო ჩითის ან აბრეშუმის ახალუხი აბრეშუმისავე სარჩულით.

კაბის ოდნავ ჩახსნილი სახელოებიდან მოჩანდა **ყურთმაჯები** (შიდა სახელოები). ქამრის დანიშნულებას ასრულებდა აბრეშუმის, ატლასის ან ხავერდის **სარტყელი**, რომელიც შედგებოდა ვიწრო სალტისა და ორი გრძელი, კაბის ბოლომდე დაშვებული ტოტისაგან. დიდებული ქალები ოქროქსოვილიან სარტყელს ატარებდნენ.

კაბის ზემოდან იცვამდნენ დათბილულ ხავერდის ქათიბის. ამ სამოსს საყელოზე ბეწვის არშია და დეკორატიული სახელოების ნაქარგი ბოლოები – ყოშები ამშვენებდა. გარდა ქათიბისა, კაბაზე წამოსაცმელად იხმარებოდა ტოლომა და დოლბანდი.



რთულ კომპლექსს შეადგენდა ქალის თავსაბურავი, რომლის ელემენტები იყო ორი დიდი თავსაბურავი – ბლონდის ან ტულის თხელი სამყურა ლეჩაქი, ზემოდან კი ოთხკუთხა აბრეშუმის ბაღდადი. ლეჩაქის ქვეშ თავზე ჩიხტი ედგათ ზედ ნაქარგი თავსაკრავით. ჩიხტის შიგნით ბამბით გატენილ მორკალულ კოპს ათავსებდნენ, რომ ზედ ქინძისთავებით თავსაფრები დაემაგრებინათ (შუბლის თვალმარგალიტიან ქინძისთავს არ იკეთებდნენ მოხუცებულები, ქვრივები და მგლოვიარე მანდილოსნები).

ასეთი თავსაბურავი თავისებურ ვარცხნილობას მოითხოვდა – წინ ორ კავს, რომლებიც საფეთქლიდან ლოყაზე ეშვებოდა და უკან ორ ნაწნავს. კავი ქალის აჭრილი თმისგან იქსოვებოდა.

თელეთობა

ერთ-ერთი ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც თბილისელები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, იყო თელეთობა. სოფელი თელეთი დედაქალაქის სამხრეთით მდებარეობს, მისგან დაახლოებით 10-12 კილომეტრის დაშორებით. დღეობა ამაღლებას – აღდგომის მეორმოცე დღეს იმართებოდა და, რადგან აღდგომაცა და ამაღლებაც მოძრავი დღესასწაულებია, თელეთობა გაზაფხულის სხვადასხვა თვეში აღინიშნებოდა. ამ დღეს თელეთში მდგარი წმ. გიორგის ეკლესიის კარზე ქალაქელებთან ერთად მომლოცველები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლიდანაც ჩამოდიოდნენ; უმეტესად ხეიბრები, დავრდომილნი, გლახაკნი, უშვილო ქალები და კაცები, თავად-აზნაურები თუ მდაბიონი, რომელთაც თელეთის წმიდა გიორგის საყოველთაოდ ცნობილი სასაწაულმოქმედი ძალის იმედი ჰქონდათ.

თელეთში მომლოცველები წინა დღით მიდიოდნენ და ღამეს იქ ათევდნენ. ამ დროს ორთაჭალისა და კრწანისის მისადგომები გაჭედილი იყო ქვეითად, ცხენით, ეტლითა თუ მოჩარდახებული ურმებით მიმავალი მლოცველებით. გამთენიისას ეკლესიის ეზო უჩვეულოდ ახმაურდებოდა: ზოგი მომლოცველი ქადაგად იყო დაცემული და ქვეყნიერებაზე ცოდვა-მადლის განკითხვას მოითხოვდა, ზოგი, წმინდა სანთლით ხელში, ჩოქვით უვლიდა ეკლესიას და ლოცვას ბუტბუტებდა, ზოგსაც კისერზე მსხვილი ჯაჭვი ჩამოეკიდებინა და ღმერთს ამქვეყნიური ცოდვების პატიებას შესთხოვდა. ახალგაზრდა უშვილო ცოლ-ქმარი ფეხშიშველა, ჩოქვით გარს უვლიდა ეკლესიას და შინ დართულ ბამბის ძაფს ახვევდა ტაძარს, იქნებ ღმერთმა შვილი გვაჩუქოსო. ზოგი მომლოცველი ცდილობდა, მსხვერპლად შეწირვამდე ეკლესიის გარშემო შემოეტარებინა შუბლზე ჯვარდასმული, რქებზე წმინდა სანთელანთებული გაურჩებული ცხვარი. წირვის

შემდეგ ეკლესიის ეზოში ლხინი იმართებოდა. მოქეიფენი ღვინით სავსე ჯამითა თუ ჭიქით ღმერთს შეწევნას შესთხოვდნენ.

ლხინის შემდეგ მომლოცველები ქალაქისაკენ მიემართებოდნენ. თელეთში დაწყებული ლხინი და ქეიფი თბილისის გარეუბანში, ხარფუხ-სეიდაბადის ახლოს, ორთაჭალის ბაღებში გრძელდებოდა. დღესასწაული მთავრდებოდა ორთაჭალაში გამართული ფიცარ-დი ჯირითით. ყარაბაღული ჯიშის ცხენებზე შემსხდარი ყმაწვილკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმკვირცხლესა და სისწრაფეში. ჯირითის გარდა, აქვე იმართებოდა ქართული სპორტული თამაშობა **ისინდი.**

ისინდი ძველი ქართული სპორტული თამაშობაა. მასში მონაწილეობს ცხენოსანთა თანაბარი (6-იდან 10-მდე) რაოდენობის ორი გუნდი. თითოეული მხედარი შეიარაღებულია 120–150 სანტიმეტრის სიგრძის შუბით – ისინდით, რომელსაც ბოლოზე დარტყმის შესასუსტებლად დამაგრებული აქვს საგანგებო ჩაჩი. კენჭისყრით არჩეული დამწყები გუნდის პირველი მოთამაშე („გამომწვევი“) მსაჯის ნიშანზე გადაკვეთს მოწინააღმდეგის საჯარიმო ხაზს და მიეჭრება მეტოქეს. თუ „გამომწვევმა“ შეძლო და მოწინააღმდეგეს მოახვედრა ისინდი, 2 ქულას მოიპოვებს, თუ შუბი ცხენს მოხვდა – 1 ქულას (2 ქულით ფასდება ნატყორცნი ისინდის ხელით დაჭერაც). ტყორცნის მერე მხედარი სწრაფად უბრუნდება თავის გუნდს. ახლა მეორე გუნდის პირველი მოთამაშის ჯერი დგება – მსაჯის ნიშანზე ცხენის ჭენებით გამოუდგება „გამომწვევს“, ცდილობს ისინდით დაჭრას ის ან მისი ცხენი. პირველი ბანაკის საჯარიმო ხაზთან მისულ მდევარს იქიდან ახლა სხვა მხედარი გამოუდგება...

გამარჯვებულად ითვლება გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰსეი-ვაჰსეი

ჩვენს დედაქალაქში და, საერთოდ, მთელ საქართველოში ოდითგანვე ერთმანეთის გვერდით მეგობრულად ცხოვრობდა სხვადასხვა რჯულისა და ეროვნების ხალხი. ყველაზე ნათლად ეს თბილისში ჩანდა. აქ მაჰმადიანი შიიტები ძველთაგანვე დღესასწაულობდნენ შაჰსეი-ვაჰსეის, რომელიც მთვარის კალენდრის პირველი თვის – მუჰარემის მეათე დღეს იმართებოდა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მაჰმადიანთა პირველი წამებული წმიდანის სახელთან:

მაჰმადიანური რელიგიის ფუძემდებლის – მუჰამედის სიკვდილის (632 წ.) შემდეგ მედინასა და მექას შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლას შეეწირა მუჰამედის სიძის, მისი პირველი მიმდევრისა და მემკვიდრის, ალის ვაჟი ჰუსეინი (ჰუსაინი). შიიტებმა (ალის მიმდევრებმა) ჰუსეინი წმინდანად შერაცხეს და მისი მოკვლის დღე საყოველთაო გლოვის დღედ (აშურის დღე) და დღესასწაულად გამოაცხადეს.

აშურის დღეს არც ერთი შიიტი მაჰმადიანი არ ვაჭრობდა, არც რაიმე საქმეს აკეთებდა, არც საკლავს კლავდა. თბილისის აბანოთუბანში და ძველ მეიდანზე მაჰმადიანი მოსახლეობა აივნებზე ფენდა წარწერებიან ჰაშიიესოთუნს – შავი ქსოვილის გრძელ ნაჭერს.

გლოვის ნიშნად სახეზე მურწასმული, თმაგაწეწილი, სამოსშემოგლეჯილი მაჰმადიანი ქალები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, მოთქვამდნენ და სახეს იხოკავდნენ.

ქუჩაში მომავალ სამგლოვიარო პროცესიას დესთე ეწოდებოდა. ეს იყო მრავალპლანიანი თეატრალიზებული სანახაობა.

პროცესიას წინ მიუძღოდნენ მორწმუნენი დიდი ანთებული ფარნებით. შემდეგ მოდიოდნენ მებაირაღენი ბაირაღით ხელში. მათ მკერდზე მუშტის ცემით მოსდევდა სინეზანების ჯგუფი; შემდეგ მოაბიჯებდნენ ზანჯორ ზანანები, რომლებიც ზურგზე მძიმე ჯაჭვებს ირტყამდნენ; დესთეს ამთავრებდა ჯგუფი, რომელიც პანტომიმური წარმოდგენით განასახიერებდა ჰუსეინის დაღუპვის სხვადასხვა სცენას.

ყოველივე ამას – ჯაჭვების, ხმლებისა და ხელების ქნევას – თან ახლდა შემზარავი შეძახილები: „შაჰსეი-ვაჰსეი!“ („შაჰ ჰუსეინ, ვაჰ, ჰუსეინ!“).

ვინც აშურას, გლოვის დღეს, სასიკვდილოდ დაშავდებოდა, წმინდანად შერაცხავდნენ.





გაზაფხულის დღესასწაული

თბილისში გაზაფხულის დადგომას საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით ხვდებოდნენ.

ძველ თბილისელებს ჩვევად ჰქონდათ აპრილში ქალაქგარეთ გასვლა და მინდვრად ანდა რომელიმე ბაღში, ხის ჩრდილში გაშლილ ლურჯ სუფრასთან მოლხენა. ხელიდან ხელში გადადიოდა ჯიხვის რქა, თიხის ჯამი და ფიალა. იქით დუდუკი კვნესოდა და მომღერალი გულში ჩამწვდომ სიმღერას მღეროდა, აქეთ საზანდარი, დაირა და არღანი ართობდა ხალხს. აყვავებული ნუშის რტოებით გაწყობილი წიწაკა-ქუდებით თავდამშვენებული მოქეიფენი ბუნების, სიცოცხლის განახლების და გაზაფხულის სადღეგრძელოებს გრძნობით წარმოთქვამდნენ. აყვავებული ნუშის ტოტებით იყო მოფენილი მიწაზე გაფენილი ჭრელ-ჭრელი ნოხები და ფარდაგები.

ამ დღესასწაულს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაემატა რუსების მიერ ევროპიდან გადმოღებული გვირილების დღე, რომელიც აპრილ-მაისში იმართებოდა. ეს იყო ყვავილების ზეიმი. ქალაქის ქუჩებში დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს მკერდზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული. მთავარ ქუჩებში, ბაზრებში თუ მოედნებზე, ყველგან ყვავილები, უმეტესად გვირილები იყიდებოდა. გოგონები ქუჩა-ქუჩა კალათებით დაატარებდნენ გვირილებს, „ნავაჭრ“ ფულს კი პატარა თუნუქის კოლოფებში აგროვებდნენ. ეს იყო საქველმოქმედო ღონისძიება – შეგროვებული ფული ჭლექით დაავადებულ, უპატრონო ავადმყოფებს ხმარდებოდა.

ისტორიულად გვირილა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლასთან ასოცირდება. წლების წინ, ვიდრე მედიცინა განვითარდებოდა, ჭლექით დაავადებულებს მხოლოდ გვირილის ნაყენით მკურნალობდნენ.

„თეთრი გვირილის“ დღე თბილისში.

ჯერი XV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის გეგმა. 1800 წ.

საზოგადოებრივი, საძეძრო და საკულტო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლების მითითებით.



სამთავრობო შენობები და სასახლეები

II. 1. მეფე როსტომის სასახლის ნანგრევები.
2. მეფე სიმონის სასახლე (მეფე გიორგი XII დროებითი რეზიდენცია).
3. ბაგრატიონ მუხრანსკის სასახლე.
4. სამეფო ტიპოგრაფია.
5. სასახლის აბანო.
6. კათოლიკოსის სასახლე.

III. 7. საჩინო – დარეჯან დედოფლის სახლი.
8. ქართველ მეფეთა უძველესი სასახლის ნანგრევები.

IV. 9. დავით ბატონიშვილის სასახლე.

II. 10. სალაყბო, სასამართლო შენობა.
11. ზარაფხანა.
12. ზარბაზნის ქარხანა.
13. არსენალი.
14. ქალაქის ციხე.
15. ნარიყალა.
16. შაჰ-ტახტი.
17. მაღალი კოშკი საშიში დამნაშავეებისთვის.

III. 18. მეტეხის ციტადელი.

I. 19. სეიდებადის სათვალთვალო კოშკი.
20. საბაეო.

ბაზრები, ქარავასლები და სავაჭრო-სამრეწველო რიგები

21...40.

აბანოები

41...46.

ხიდები

I. 47. მეტეხის ხიდი.
48. აბანოს ხიდი.

ქალაქის კარები

II. 49. წყლის კარი.
50. დიღმის კარი.
51. კოჯრის კარი.

I. 52. განჯის კარი.
53. აბანოს კარი.
54. მეტეხის კარი.

III. 55. ავლაბრის კარი.

ბაღები

I. 56. მარიამ დედოფლის ბაღი.

IV. 57. მეფე გიორგი XII ბაღი.
58. დარეჯან დედოფლის ბაღი.
59. ერეკლე მეფის ბაღი.
60. კათოლიკოსის ბაღი.
61. სეიდებადის ბაღი.

საკულტო ნაგებობები

62...94.

თამაშობების ადგილები და სასაფლაოები

95...99.

სატრანზიტო გზები

IV. 100. დიღმის გზა.

III. 101. გზა კახეთისკენ.
102. გზა ავჭალისკენ.

I. 103. გზა განჯისკენ.

IV. 104. გზა კოჯრისკენ.

IV. 105. ავანაანთ ხევი.

1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლემ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და 18 დეკემბერს ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას, ათი დღის შემდეგ კი თბილისში გარდაიცვალა მეფე გიორგი XII, რომელსაც ბედმა არგუნა ზედსახელი „უკანასკნელი“. ასე დასრულდა ბაგრატიონთა გვარის მრავალსაუკუნოვანი ზეობა.

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიაში შემავალი ერთ-ერთი გუბერნია, ხოლო თბილისი საგუბერნიო ქალაქი გახდა. საქართველოს მთავარმართებლად დანიშნული გენერალი კნორინგი 1802 წლის 9 აპრილს ჯარის თანხლებით თბილისში შემოვიდა. 12 აპრილს მან დედაქალაქის „დიდკაცობა“ სიონის ტაძარში შეკრიბა და რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტი გააცნო.

პირველი ანტირუსული აჯანყება საქართველოში 1802 წლის ივლის-აგვისტოში მოხდა, მაგრამ იმპერატორის მოხელეებმა შეძლეს მეამბოხეთა დამარცხება. მთავარმართებელი კნორინგი შეცვალა გენერალმა პავლე ციციანოვმა (ციციშვილი). მისი ამოცანა თბილისში შეთქმულების ბუდის აღმოფხვრა იყო. მან პირველ ყოვლისა, ქალაქიდან სამეფო ოჯახი განდევნა, ზოგი ძალდატანებით რუსეთს გადაასახლა, სხვები კი აიძულა თბილისს გასცლოდნენ. ამ ამბავს შეეწირა რუსი გენერალი ლაზარევი: როცა მოძალადე გიორგი XII-ის ქვრივთან გამოცხადდა და თბილისის დატოვება უბრძანა, დედოფალყოფილმა იგი ხანჯლით განგმირა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში კიდევ რამდენიმე აჯანყება მოხდა, მაგრამ ყველა, მათ შორის 1832 წლის შეთქმულებაც, მარცხით დამთავრდა.

ქალაქის განაშენიანება

XIX საუკუნის 20-იან წლებში ქალაქისპირა სოფლების შემოერთების ხარჯზე იწყება თბილისის ტერიტორიის ზრდა. შესაბამისად, მატულობს მისი მოსახლეობაც. 1819 წელს ქალაქს შეუერთეს სამხრეთით მდებარე, წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული სოფელი ხარფუხი. ამავე წელს რუსეთის იმპერიიდან კავკასიაში გადმოასახლეს გერმანელი კოლონისტები, რომელთა დიდი ნაწილი თბილისში დასახლდა.



„კირხე“.

„თბილისის კოლონიად“ წოდებული ეს დასახლება, რომელიც ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორიას მოიცავდა, XIX ს-ის 40-იან წლებში ქალაქს მიაკუთვნეს. ამ დროს მთავარ ქუჩას კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის სახელი ერქვა. მიხეილისა და დღევანდელი მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე იდგა გერმანელთა ლუთერანული* ეკლესია – „კირხე“ (აქედან მოდის მარჯანიშვილის ქუჩის ძველი სახელწოდება „კირიჩნი“; 1947 წელს ეკლესია ქუჩის რეკონსტრუქციას შეეწირა).

გასაბჭოების შემდეგ მიხეილის პროსპექტს რუსი სოციალ-დემოკრატის გიორგი პლეხანოვის სახელი დაერქვა; 1988 წლიდან კი იგი დავით აღმაშენებლის გამზირად იწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1825–1826 წლებში საქართველოს დედაქალაქში მყოფი ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური **ედუარდ აიხვალდი** წერს: „ავლაბრის ქვემოთ, მტკვრის ნაპირზე, იმ მთის ძირში, რომელზეც ციხე დგას (დღევანდელი რიყე), დასახლდნენ გერმანელი კოლონისტები. ისინი უმთავრესად ხელოსნები არიან: ხაბაზები, ლუდის მხდელები, მეხორცეები. ამას გარდა, ტფილისიდან 4 ვერსზე ჩრდილოეთით, მტკვრის ნაპირზე არის გერმანული კოლონია კუკია, იქ, სადაც იმავე სახელის ქართული სოფელი იყო. ის შეიცავს 30-მდე ოჯახს და ამდენივე სახლს...“

გერმანელთა 23 ოჯახმა დაიკავა ისტორიული **დიდუბის** ტერიტორია რკინიგზის მაგისტრალს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირს, ვანის ქუჩასა და, დაახლოებით, ყოფილ მაუდ-კამვოლის კომბინატს შორის. დასახლებას რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის (1801–1825 წწ.) პატივსაცემად **ალექსანდერსდორფი** (გერმ. – ალექსანდრეს სოფელი) ეწოდა.

ახლანდელ წერეთლის პროსპექტს XX საუკუნის 20-იან წლებამდე ერქვა „გზა გერმანელთა კოლონიაში“.

კოლონია – ერთი ეროვნების ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთად ცხოვრობს უცხო ქვეყანაში. *კოლონისტი – კოლონიის წევრი.*

ლუთერანობა – ერთ-ერთი ქრისტიანული პროტესტანტული სარწმუნოება, რომელიც აღმოცენდა გერმანიაში XVI ს-ში მარტინ ლუთერის მოძღვრების საფუძველზე.

თბილისელი მოლოკნები.

1824 წელს ქალაქის ფარგლებში შემოვიდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე **კუკია** და **ჩუღურეთი**.

დღევანდელი ქართული სასაუბრო ლექსიკა ტოპონიმ „კუკიის“ ახსნის საშუალებას არ იძლევა. ქართულ ყოფით ეთნოგრაფიულ მასალაში შემორჩენილია სიტყვა „კუკი“ – „გონჯის“ მნიშვნელობით. ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი ასეთ ახსნას გვთავაზობს – „კუკია – დაკუკებული ანუ წამომჯდარი“.

სახელი „ჩუღურეთი“ ადგილის რელიეფს უკავშირდება. სიტყვა თურქული წარმოშობისაა (ჩუღურ-ჩუხურ) და ფოსოს, ღრმულს ნიშნავს.

XIX ს-ის 20-იან წლებში თბილისში ჩამოსახლდნენ რუსი დუხობორების ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის წევრები – მოლოკნები (მალაკნები). მათ თავდაპირველად საცხოვრებლად რიყე აირჩიეს და დამარილებული თევზით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, 1847-1849 წლებში კი ახალ კუკიაზე (დღევანდელი ნიკო ფიროსმანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე) გადასახლდნენ. ამ დროიდან გაჩნდა თბილისში ***„მალაკნების უბანი“*** *თავისი ბაზრით. რუსეთიდან გადმოსახლებულმა მოლოკნებმა შემოიტანეს თბილისში ფაეტონი და მეეტლეებიც უმეტესად ისინი იყვნენ. სხვა ეროვნების ქალაქელებისგან მათ ადვილად გამოარჩევდით კოლორიტული ჩაცმულობით: თავზე მაღალი, შავი ფერის ბაფთაშემოვლებული ცილინდრი, ტანთ გრძელი, ხალვათი „არმიაკი“, წელზე ფართო სარტყელი და ჩექმებში ჩატანებული ასეთივე ფართოტოტებიანი შარვალი მათს წარმომავლობაზე მიანიშნებდა.*

ბანებიდან აივნებზე

ქართული მმართველობის რუსული ადმინისტრაციული ხელისუფლებით შეცვლამ დიდი როლი ითამაშა თბილისის გადასხვაფერებაში, უფრო ზუსტად, მისი კოლორიტული სახის დაკარგვაში. თბილისი, ეს აზიური ქალაქი, ნელ-ნელა, თანდათანობით, ევროპულ იერს იძენდა. ფართოვდებოდა და ქვაფენილებით იფარებოდა ქუჩები, ბანიან სახლებს ცვლიდა ორ- და სამსართულიანი მრავალბინიანი შენობები, რომელებსაც მთელი ფასადის გასწვრივ მიშენებული ჰქონდა მოხარატებული ხის აივნები ან შუშაბანდები; შენდებოდა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები და კერძო, კაპიტალისტური ქალქისთვის დამახასიათებელი ე. წ. „შემოსავლიანი სახლები“...

ქალაქში პირველად (1862 წ.) მოიკირწყლა ძველი ქუჩა, რომელიც სიგრძით 1130 საჟენი იყო, იწყებოდა ვორონცოვის მოედნიდან და ბოლოდებოდა მუშთაიდის ბაღთან. შემდეგ მოკირწყლეს ალექსანდრეს ბაღის ახლომახლო ქუჩები: გოლოვინისა – ყველაზე განიერი ქუჩა იმდროინდელ თბილისში (20 საჟენი) და ბარიატინსკისა (ახლანდელი გია ჭანტურიას ქუჩა).

მელიკ აზარიანცის „შემოსავლიანი სახლი“.

ამგვარი შემოსავლიანი სახლის ბრწყინვალე ნიმუშია მრავალსადარბაზოიანი შენობა რუსთაველის გამზირზე, რომელსაც თბილისში დღესაც ყოფილი მეპატრონის, მელიკ აზარიანცის სახელით იხსენიებენ. მისი მშენებლობა დასრულდა 1900 წელს (არქიტექტორი ნ. ობოლენსკი). XX ს-ის დასაწყისში სახლს ჰქონდა საკუთარი ელექტრო- და წყალმომარაგება, გათბობის სისტემა, სატელეფონო ქსელი, კინოთეატრი, სამხატვრო გალერეა და ეგზოტიკური მცენარეების ბაღი შადრევნებით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კაპიტალისტ ალექსანდრე მელიკ აზარიანცს, სხვების მსგავსად, მთელი ქონება ჩამოართვეს, ყოფილ „შემოსავლიან სახლში“ კი რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა განათავსეს. თავად მელიკ აზარიანცი წლების შემდეგ უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა და ქალაქელებმა შეგროვებული ფულით დაკრძალეს ზემო ვერის სასაფლაოზე.

განსაკუთრებული ფენომენია თბილისური ეზოები, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ებრაელები, ქურთები, რუსები... ეს დიდი სამეზობლო ერთმანეთს ღია ფანჯრებიდან და აივნებიდან ეხმიანებოდა, ეზოში სიცოცხლე ჩქეფდა, ზოგი ბურთს თამაშობდა, ზოგი ქვეყნის ამბებს „მიმოიხილავდა“, ზოგი ჩხუბობდა, ზოგი იცინოდა... XX ს-ის ბოლოს თბილისურ ეზოებს სავსებით უმართებულოდ „იტალიური“ შეერქვა და ეს სახელი დღემდე შერჩა.

*ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში (1820–1824 წწ.), **ჟაკ ფრანსუა გამბა** წერს: „ზოგჯერ თბილისში ერთსა და იმავე დღეს ჩამოდიან სოვდაგრები პარიზიდან, შიკრიკები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინოპოლიდან, ინდოელები კალკუტიდან და მადრასიდან, და ბოლოს, სომხები სმირნიდან და იეზიდიდან, უზბეკები კი ბუხარიდან; ასე, რომ ეს ქალაქი ევროპასა და აზიას შორის საკვანძო ადგილად შეიძლება ჩაითვალოს“.*

თბილისის მოხერხებული, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა, მისი გავლით აღებმიცემობა გაებათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. 1872 წლამდე, ვიდრე თბილისსა და ფოთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა გაიხსენებოდა, აუარებელი საქონელი აქლემით, ცხენით, ჯორით, სახედრით, ტივით, ნავითა და ბორნით გადაჰქონდათ მტკვარზე. თბილისში უწყვეტ ნაკადად შემოდიოდა საქონელი თურქეთიდან, ირანიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, აქ ქარავასლებში* ინახებოდა და მერე ნაწილდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიაში.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თბილისს, როგორც ამიერკავკასიის საგაჭრო პუნქტს, სტატისტიკური მონაცემებიდანაც ჩანს: 1850 წელს ამიერკავკასიაში შემოიტანეს 3 741 211 მანეთისა და 29 კაპიკის ღირებულების საქონელი. აქედან თბილისის ქარავასლებში მოთავსდა 1 188 000 მანეთის საქონელი, თითქმის მესამედი, 525 000 მანეთის ღირებულებისა სხვადასხვა მხარეში გაიზიდა, დანარჩენი კი ადგილობრივი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

საჟენი – ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; უდრის 3 არშინს (2 მეტრსა და 13 სმ-ს); იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ქარავასლა (სპარს. ქარავანსარა, ქარავანსარაი) – ქარავნის გასაჩერებელი სასტუმრო შენობა, ასევე სავაჭრო სახლი საქონლის საწყობებითა და მაღაზიებით.

არწრუნის ქარვასლა

ქარვასლაში გაჩერებული ვაჭარი იხდიდა ბაჟს – თავისი საქონლის ფასის 1/4-ს. ბაჟის აკრეფა 1850 წლის 20 მაისამდე ევალებოდა თბილისის საქალაქო მმართველობას, რომელიც ამ გადასახადის სახით წლიურად საშუალოდ, 3 300 მანეთს იღებდა. 1850 წლის 20 მაისს ეს უფლება ქალაქის მმართველობისაგან ერთ-ერთმა კერძო პირმა წელიწადში 6 000 მანეთად (ვერცხლად) შეისყიდა.

ქარვასლაში საქონლის შესყიდვის შემთხვევაში შემსყიდველს ქარვასლის პატრონის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა **ავაია** – ყოველ ათ მანეთზე 20 კაპიკის (ვერცხლით) ოდენობით. ავაიას არ იხდიდნენ იმ შემთხვევაში, თუ საქონელს სახელმწიფო დაწესებულება შეისყიდდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში 13 დიდი ქარვასლა იდგა, რომლებშიც 100 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი ინახებოდა: ე. წ. იარაღის რიგში, სიონის ტაძრის ახლოს, იდგა **არწრუნის ქარვასლა**, რომელიც ჯერ კიდევ 1650 წელს როსტომ მეფის მიერ აგებული ქარვასლის ნანგრევებზე აშენდა (1984 წლიდან აქ იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმია).

მის პირდაპირ იყო **ბატონიშვილის ქარვასლა**, რომელიც ერეკლე II-ის ქალიშვილს – თეკლა ბატონიშვილს ეკუთვნოდა (1988 წლიდან ამ შენობაში სასულიერო აკადემიამ დაიდო ბინა).



შადინოვისა და ზუბალაშვილის ქარვასლები.

მტკვრის ორივე მხარეს, ავლაბრის ძველ ხიდთან, იდგა ორი ქარვასლა, მდინარის ფსკერიდან ამოყვანილი მყარი საძირკვლით. მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქარვასლა **გაბრიელ შადინოვს** აუშენებია 1841 წელს, მარცხენა ნაპირზე მდგარი, **იაკობ ზუბალაშვილის ქარვასლა** კი 1845 წელსაა აგებული.

ბევრი ქარვასლა მტკვრის სანაპიროების, ახალი ხიდებისა და მაგისტრალების მშენებლობას შეეწირა. რაც დანგრევას გადაურჩა, სხვადასხვა საუწყებო და სავაჭრო დაწესებულებად გადაკეთდა.

ქარვასლებთან – სავაჭრო-სასტუმრო სახლებთან ერთად თბილისში ევროპული ყაიდის სასტუმროებიც შენდებოდა. XIX ს-ის 30-იან წლებში ქალაქში პირველი „ევროპეიზებული“ სასტუმრო ჰქონდა გერმანელ კოლონისტს ზალცმანს. იგი რიყეზე, ავლაბრის ხიდის მახლობლად, დიდი სირაჯხანის ქვემოთ იდგა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც გარეთუბნის ინტენსიური განაშენიანება და გერმანელ კოლონისტთა მიერ კუკიის ტერიტორიის ათვისება დაიწყო, თბილისში გაჩნდა იმ დროისთვის ფეშენებელური სასტუმროებიც. მათი კლასიფიკაცია დამოკიდებული იყო მდებარეობაზე, ოთახების განლაგებაზე, ავეჯზე, სტუმართა მოთხოვნილებების დაკმა-ყოფილებაზე. პირველი კლასის სასტუმროები იყო: „ვეტცელი“ (ახლანდელი დაბით-აღმაშენებლის გამზირი), „ორიენტი“, „ბოიარსკაია“, „ევროპეისკაია“, „მაჟესტიკი“, „სევერნიე ნომერა“ (ყველა – გოლოვინის, ახლანდელი რუსთაველის გამზირზე), „კავკაზი“ (ერევანსკის, ახლანდელი თავისუფლების მოედანზე), „ლონდონი“ (ახლანდელი გიორგი ათონელის ქ.), „ბო-მონდი“ (ვორონცოვის, ახლანდელი ზაარბრიუკენის მოედანზე). მეორე კლასის სასტუმროები: „ერმიტაჟი“, „ფრანცია“, „ნიუ-იორკი“, „ვერსალი“, „მადერი“, „პეტერბურგი“.

ამ სასტუმროებში ნომრის ფასი დღე-ღამეში მანეთიდან 3 მანეთამდე მერყეობდა.

„სასტუმრო პურ-ღვინო.

გოლოვინის პროსპექტზე მანთაშევის სახლში, „მუხრან-ბატონის“ კლუბის ქვეშ (ყოფ. კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის ადგილას). მზადდება ყოველ დღე, როგორც ევროპული, აგრეთვე ადგილობრივი ყოველნაირი საჭმელები. გურული და იმერული საჭმელები, ღომით, ყოველ დღე. ფასები ყველაფერზე ზომიერია. სასმელები ყველანაირი საუკეთესო ფირმებისაგან, ღვინო 1 ბოთლი 40 კაპიკიდან... სასტუმროს გამართული აქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (კაბინეტები). ეზო (ტერასა) მშვენივრად მოწყობილია ყვავილებით და შადრევნებით... ცალკე დარბაზში გამართულია ფრეიბერგის ბილიარდები, საუკეთესო სპილოს ძვლის შარებით და კარგის კიებით. აგრეთვე გამართულია ცალკე დარბაზში ნარდებისა და ჭადრაკის სათამაშოთ... სასტუმროს პატრონი იაგორ გურგენის ძე მამინაიშვილი“...



ТИФЛИСЪ.

ПЕРВОКЛАССНАЯ ГОСТИННИЦА

„ЛОНДОНЪ“.

Роскошныя, чистыя и обширныя комнаты, электрическое освѣщеніе.

ВСѢ УДОБСТВА

Ванны, телефонъ и проч.

ЧИТАЛЬНЫЙ ЗАЛЪ.

Превосходная кухня, хорошій садъ съ видомъ на р. Куру; во время жары очень прохладно.

Цѣны умѣренныя.

Содержатель и Директоръ.

TIFLIS.

NOTEL de LONDRES.

Etablissement de premier ordre, bien connu par messieurs les touristes depuis des années, chambres excessivement propres.

RESTAURANT.

cuisine française et indijène. Journaux de tous les pays. Bains. Téléphone, éclairage électrique. Prix modérés.

მიხეილის მცირე ხიდი (ახლანდ. მშრალი ხიდი). მარჯვნივ სასტუმრო „ლონდონი“, მარცხნივ – „გრანდ-ოტელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქარვასლები ძირითადად 2-3 ან 4-სართულიანი ნაგებობები იყო სარდაფებით, საწყობებით, დუქნებით, სახელოსნოებით, სასტუმრო ოთახებითა და დარბაზებით, სადაც საპატიო სტუმრის საზეიმო მიღება იმართებოდა. ქარვასლებში გაჩერებული ვაჭრები თავიანთი საქონლით აქვე ვაჭრობდნენ.

პოეტი „ბიზნესმენები"

XIX საუკუნიდან გაჩნდნენ პროფესიონალი ქართველი ვაჭრები. მოზდოკისა და ნიჟნი ნოვგოროდის „მაკარიის იარმურკაზე" ხშირად შეხვდებოდით ჩვენებური ვაჭრების მიერ გამოტანილ „თბილისურ ჩითს".

გრიგოლ ორბელიანი.

ვაჭრობდნენ და სხვადასხვა საფაბრიკო წარმოებას უძღვებოდნენ ზარაფიშვილი, მიზანდარი, ზუბალაშვილი, სარაჯიშვილი, ფარეშაშვილი, ჯორჯაძე, ანდრონიკაშვილი და სხვები.

ბედს სცდიდნენ ქართველი არისტოკრატებიც. მოსკოვის ბაზარზე აბრეშუმის ძაფის გატანა დაიწყო ალექსანდრე ორბელიანმა. ამ კომერციული წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. ასევე მარცხით დამთავრდა გრიგოლ ორბელიანის კომერციული ნაბიჯიც: „მე შევიტყვე, – წერდა გრიგოლ ორბელიანი, – რომ რკინა ასტრახანში იაფად ისყიდება, გავგზავნე ასი თუმანი, – ის ნავი, რომელშიაც იდვა რკინა, მოიტაცა ქარიშხალმა და ყიზლარს იქით გადააგდო, და თამამშოვის გემები კი ატარა, ატარა და პეტროვსკში კი მიიყვანა, სწორედ პრისტანში. ტყუილია, მე ფულის ანგარიშში არ უნდა შევიდე".

იაკობ ზუბალაშვილი (1792–1864)

ქართველ მეწარმეთა, სოვდაგართა, ქველმოქმედთა და მეცენატთა ცნობილი გვარის წარმომადგენელი. ეს გვარი XVII საუკუნიდან იხსენიება – გიორგი და რომანოზ ზუბალაშვილები განთქმული მესტამბეები და მწიგნობრები იყვნენ ვახტანგ VI-ის და ერეკლე II-ის კარზე.

იაკობ ზუბალაშვილმა 1837 წელს თბილისში დააარსა პირველი შაქრის ქარხანა. პირველი საჩუქარი, რომელიც იაკობმა ქალაქს მიუძღვნა, იყო სასტუმრო „პალასი“, სადაც მოგვიანებით სასულიერო სემინარია გაიხსნა. (ამჟამად აქ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია მოთავსებული).

მამის საქმე ღირსეულად გააგრძელეს მისმა შვილმა კონსტანტინე ზუბალაშვილმა და შთამომავლებმა – ძმებმა ლევანმა, სტეფანემ, პეტრემ და იაკობმა. მათი შემწეობით აშენდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობა, ასევე „სახალხო სახლი“ და ბიბლიოთეკა-სამკითხველო (ეს შენობები 1908 წელს ქალაქის გამგეობამ საჩუქრად მიიღო და მათს ადგილზე ახლა მარჯანიშვილის თეატრია). ზუბალაშვილებმა ააშენეს თბილისის მუსიკალური სკოლის (ახლანდელი ნიჭიერ ბავშვთა სამუსიკო გიმნაზია) და "უპოვართა სახლის“ (დღევანდელი ბავშვთა პირველი მუნიციპალური საავადმყოფო) შენობები. მათი აშენებულია ხალხში „არამიანცის“ სახელით ცნობილი ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ძველი კორპუსიც *(ბაქოს ნავთობსაბადოების ერთ-ერთმა მსხვილმა მეპატრონემ და მრეწველმა მიქაელ არამიანცმა საავადმყოფოს მიაშენა მხოლოდ ერთი პატარა კორპუსი და ისიც მიჰყიდა ქალაქს).*

უპოვართა სახლი.

1912 წელს ძმებს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. თბილისში არის ძმები ზუბალაშვილების ქუჩა.

დავით სარაჯიშვილი (1848–1911)

ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ცნობილი მრეწველი, კონიაკის სამრეწველო წარმოების ფუძემდებელი საქართველოსა და რუსეთში.

დავით სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია უამრავ საზოგადოებრივ წამოწყებასთან: იგი აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სათავადაზნაურო ბანკის ჩამოყალიბებასა და შექმნაში, მისი ქველმოქმედების წყალობით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

დავითის წინაპრებიც ცნობილი დიდვაჭრები (სოვდაგრები) და ქველმოქმედები იყვნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-მ მათ „წარმომავლობით ტფილისის საპატიო მოქალაქეთა“ წოდება მიანიჭა. ამ ტიტულს ატარებდა დავით სარაჯიშვილიც.



دავით სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია ქაშვეთის ეკლესიის ეზოში, როგორც ტაძრის ქტიტორ-აღმშენებელი. მისი ქანდაკებები დგას კონიაკის ქარხნის ტერიტორიაზე და რიყეზე. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

1803 წელს რუსეთის ხელისუფლებამ მოაწყო თბილისის მოსახლეობისა და ქალაქში არსებული უძრავი ქონების აღწერა.

აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ თბილისში იყო სხვადასხვა სახისა და დარგის 500-მდე დუქანი. აქედან სახელოსნო დუქანი იყო 310, საბაყლო-სასურსათო – 76, საწვრილმანო – 63, ღვინის სარდაფი – 40.

ქალაქში რამდენიმე ბაზარი იყო: თათრის მოედანზე, ე. წ. შაითან ბაზარზე (ეშმაკის ბაზარი), იყიდებოდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, ტანსაცმელი, აღჭურვილობა; სარდარ-აბასის (დღევანდელი ლადო გუდიაშვილის) მოედანზე – ხილი, ხორბალი, ქერი, შვრია; რიყეზე – ცხენები, თევზი, მარილი; გარეთუბანში, ერევანსკის მოედანზე – შეშა და თივა; რუსის ბაზარზე, იმავე სალდათის ბაზარზე (დღევანდელი გრ. ორბელიანის მოედანი) რუსი ჯარისკაცები ძველმანებს – ფარაჯებს, ჩექმებსა და სხვადასხვა წვრილმანს ყიდდნენ. ბაზრობა აქ მხოლოდ კვირაობით იმართებოდა და ამიტომ „იარმუკას“* უწოდებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ჯარიდან გამოქცეული დეზერტირები რკინიგზის სადგურის სიახლოვეს ჩუმად ყიდდნენ თავიანთ ტანსაცმელს. ამიტომაც ამ ადგილს „დეზერტირების ბაზარი“ შეერქვა.

ყველაზე მთავარი და კოლორიტული მაინც შუა ბაზარი იყო: ვიწრო ქუჩა ორივე მხარეს ჩამწკრივებული დუქნებითა და სავაჭროებით ძველ ქალაქს ორ ნაწილად, ქვემო და ზემო უბნებად ყოფდა. ამბობენ, ქვემოუბნელი ვაჭარი ზემოუბნელ მუშტარს საქონელს არ მიჰყიდდაო.

იარმარკა (გერმ. Jarmarkt ყოველწლიური ბაზრობა) – დიდი ვაჭრობა, რომელიც რეგულარულად იმართება ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს.

ლექსიკონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეთრი – ქართულ-რუსული ვერცხლის ფული. ოფიციალურად გატოლებული იყო 1 რუსულ რუბლთან.

ლექსიკონი

თბილისი ნელნელა კარგავდა ფეოდალური ქალაქის იერსახეს და ბურჟუაზიულ ქალაქს ემსგავსებოდა. მსხვილი სამრეწველო წარმოება თანდათან დევნიდა წვრილ ხელოსნურ მეურნეობას. 60-იანი წლების ბოლოს ქალაქში 130-ზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა იყო, სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვმა კი 2000-ს მიაღწია. ქალაქის ეკონომიკაში ვითარდებოდა და მტკიცდებოდა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი.

1804 წელს აღდგა და ამუშავდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დანგრეული და გაპარტახებული ქართული ზარაფხანა, სადაც 1834 წლამდე იჭრებოდა ქართული თეთრი.*

თბილისში მუშაობა დაიწყო სხვადასხვა სახის ფაბრიკა-ქარხნებმა:

1826 წ. ფრანგმა მეწარმემ კასტელმა დააარსა აბრეშუმის ძაფსართავი ქარხანა;

1838 წ. დაარსდა სასოფლო და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოება;

1839 წ. გაიხსნა „ზუბალაშვილის და კომპანიის“ შაქრის ქარხანა;

1850 წ. გერმანელმა კოლონისტმა მაერმა გახსნა პირველი ლუდსახარში ქარხანა;

1852 წ. ამუშავდა ენფიანჯიანცის და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები;

1857 წ. დაარსდა სამანქანო წარმოების პირველი ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა;

1866 წ. გაიხსნა ამიერკავკასიის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება;

1870 წ. ამუშავდა ძმები მირზოევების ბამბის სართავი და საქსოვი ფაბრიკა;

1872 წ. მწყობრში ჩადგა დეზოლის საპნის მანქანიზებული ქარხანა.

1875 წ. ამუშავდა გრიგორ ადელხანოვის ტყავის მექანიზებული ქარხანა და ფეხსაცმლის ფაბრიკა.

1882 წ. მოეწყო ხიმშიაშვილის პირველი მსხვილი აგურის ქარხანა.

ადელხანოვის ქარხნის მუშები.

ხიმშიაშვილის აგურის ქარხანა.

სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის პავილიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის დამდეგს, მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა, თბილისის მართვა-გამგეობა პოლიციასა და მის შეფს დაეკისრა. ქართველმა ხალხმა ცარიზმის ბიუროკრატ მოხელეთა თვითნებობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით უპასუხა.

ანტირუსული აჯანყებები, მართალია, მარცხით დასრულდა, მაგრამ უკვალოდ არ ჩაუვლია – რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და საოკუპაციო რეჟიმი სამოქალაქო მმართველობით შეცვალა. საქართველოს მთავარმართებელ გოლოვინის (1838–1842 წწ.) განკარგულებით შემუშავდა „დებულება ქალაქ თბილისის საზოგადო საქალაქო მმართველობის შესახებ“ და შეიქმნა საქალაქო მმართველობა ქალაქისთავისა და ექვსი ხმოსნის სათათბიროს („უპრავა“) შემადგენლობით. მათ ევალებოდათ გადასახადების გაწერა-აკრეფა და მიღებული თანხის გამოყენება გარნიზონისა და პოლიციის საჭიროებისათვის. თბილისის პირველი ქალაქისთავი იყო ივანე იზმიროვი.

თბილისის საქალაქო პოლიციას სათავეში ედგა პოლიცმაისტერი, რომელიც ემორჩილებოდა ქალაქის კომენდანტს. საპოლიციო უბანს ხელმძღვანელობდა იასაული, მოგვიანებით ის გამომძიებელ-ბოქაულმა („პრისტავმა“) შეცვალა. 1837 წელს თბილისში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობასთან საბრძოლველად შეიქმნა პოლიტიკური პოლიცია – ჟანდარმერია.

Печать Тифлисскаго Полицеймейстера

ქალაქის სათათბიროს სხდომათა დარბაზი.

აჯანყებად ქცეული გაფიცვა

მეფის ხელისუფლება გამუდმებით ერეოდა ამქართა საქმიანობაში. 1865 წელს მთავრობამ ქალაქის კეთილმოსაწყობად ახალი გადასახადი დააწესა (ამ დროს მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1863–1865 წწ.). გადასახადი ძირითადად წვრილ ბურჟუაზიასა და ღარიბ ფენაზე მოდიოდა და 60 ათას მანეთს შეადგენდა. ამქრებმა მოლაპარაკების გზით გადასახადების გაუქმებას ან გადავადებას ვერ მიაღწიეს, 27 ივნისს კი დილიდან ყველა დუქანი დაიხურა. გამოსვლებში მონაწილეობდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ყველა ფენა, დაახლოებით 10 ათას კაცამდე. მათ გაანადგურეს ქალაქისთავის ბინა, მოკლეს გადასახადის ამკრეფი. მთავრობამ ძალის გამოყენებით შეძლო აჯანყების ჩახშობა. ამბოხებულებს მოუკლეს 14 კაცი, მრავალი დაიჭრა, 80 კაცი სასამართლოს გადასცეს, 10 ციმბირში გადაასახლეს, 32-ს პატიმრობა მიესაჯა სხვადასხვა ვადით. აჯანყებამ დააჩქარა ამქართა შესახებ ახალი კანონის მიღება.

ამქართა აჯანყებით შეშფოთებულმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა (1862–1881 წწ.) ანგარიში გაუწია თბილისელთა სურვილს, რომლებიც საზოგადოებრივი მმართველობის უფლებების გაფართოებას მოითხოვდნენ. მის მიერ გამოყოფილმა კომისიამ 1866 წელს შეადგინა მმართველობის ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც თბილისში უნდა ჩამოყალიბებულიყო ასხმოსნიანი საქალაქო საკრებულო და განმკარგულებელი სამმართველო ქალაქისთავის მეთაურობით. საარჩევნო უფლება ეძლეოდა ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდებოდა 21 წელი და რომლის წლიური შემოსავალიც 100 მანეთს აღემატებოდა. შესაბამისად მას ქალაქის სალაროში შეჰქონდა გარკვეული თანხა. ცენზიანი მოქალაქეები ირჩევდნენ ხმოსნებს, ეს უკანასკნელნი კი – ქალაქისთავს, ისეთ თბილისელს, რომელიც ფლობდა მინიმუმ 10 ათას მანეთად შეფასებულ უძრავ-მოძრავ ქონებას.

ასხმოსნიანი საკრებულოს არჩევნები 1866 წლის მიწურულს ჩატარდა. საკრებულოში მოხვდნენ გრ. ორბელიანი, ე. გრუზინსკი, რ. ანდრონიკაშვილი, ნ. ღოღობერიძე, მ. თუმანიშვილი, ივ. ზუბალაშვილი... ქალაქისთავად აირჩიეს ე. არწრუნი. თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის რიცხობრივად ზრდა მხოლოდ ფორმალური რეფორმა იყო, რადგან მისი უფლებები და კომპეტენცია კვლავ შეზღუდული რჩებოდა. გუბერნატორს შეეძლო ქალაქისთავისა და განმკარგულებელი სამმართველოს დადგენილებათა შეჩერება და გაუქმებაც კი.

1870 წლის 16 სექტემბერს ალექსანდრე II-მ დამტკიცა ახალი საქალაქო დებულება, რომლის მიხედვითაც, საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელი ორგანო სათათბირო გახდა. სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა თანამდებობის პირთა არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საქალაქო საქმეთა განხილვა და სხვა.

დიმიტრი ყიფიანი.

1875 წლიდან ქალაქის თვითმმართველობას სათავეში ჩაუდგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი **დიმიტრი ყიფიანი**. მისი მოღვაწეობის დროს დაიწყო თბილისის წყალსადენის პროექტის დამუშავება, ერევანსკის მოედნის კეთილმოწყობა, ქალაქის ქუჩების გაზის ნათურებით განათება...

1880–1890 წლებში თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა და მისი პრაქტიკული საქმიანობაც გაფართოვდა. დაიწყო სახაზინო თეატრის მშენებლობა, გაიხსნა შვიდი დაწყებითი სკოლა, მდინარე მტკვარზე გაიდო ლითონის კონსტრუქციის ახალი ხიდი (ვერის ხიდი), ამოქმედდა ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზის ხაზი. 1878 წელს ამუშავდა პირველი თბოსადგური...

1874 წელს დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი – პირველი ქართული სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, რომლის მიზანიც იყო ქართველი მემამულე-მიწათმფლობელებისათვის დახმარების გაწევა, მიწის რესურსების დაცვა განიავებისა და გასხვისებისაგან.

1913-1916 წლებში არქიტექტორ ანატოლი კალგინისა და მხატვარ ჰენრიხ ჰრინევსკის პროექტით აშენდა შენობა ბანკისთვის. დღემდე შემონახული ფასადის დეკორი ქვის მხატვრულად დამუშავების ქართველი ოსტატების, ნეოფიტე, ვლადიმერ და ლავრენტი აგლაძეების მიერაა შესრულებული. 1929 წლიდან ამ შენობაში საჯარო ბიბლიოთეკა განთავსდა (ამჟამად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი; ლ. გუდიაშვილის ქ. №3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერის ხიდი.

1884 წლის დეკემბერში მტკვარზე დასრულდა ინჟინერ უმანსკის პროექტით დაწყებული ქვითკირის ბურჯებზე მდგარი სამმალიანი რკინის კონსტრუქციებით შეკრული ხიდის მშენებლობა. ***ვერის ხიდმა*** *ჩრდილოეთისკენ მზარდი ქალაქის ძველი და ახალი უბნები მტკვრის მარცხენა ნაპირზე ახლად განაშენიანებულ „გერმანელთა კოლონიას“, ახალ კუკიას, დიდუბესა და რკინიგზის სადგურს დაუკავშირა. ხიდზე ტრანსპორტის გატარებისთვის დაწესებული იყო გადასახადი 5 კაპიკის ოდენობით (გაუქმდა 1915 წელს). 1999 წელს ხიდს გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეწოდა.*

1872 წელს ფოთიდან თბილისში პირველი მატარებელი ჩამოვიდა. ეს თარიღი საქართველოს რკინიგზის დაბადების თარიღად ითვლება. რკინიგზის მშენებლობის მეორე ეტაპს განეკუთვნება თბილის-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1883 წელს. ამ ხაზის გახსნამ საფუძველი ჩაუყარა შავი ზღვის საშუალებით, კერძოდ ბათუმის პორტიდან აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტს მსოფლიო ბაზარზე.

პირველი ცენტრალური სარკინიგზო სადგური და ვაგზალი თბილისში 1872 წელს აშენდა. 1940 წელს ნაგებობა დაანგრიეს და მის ადგილას სრულიად განსხვავებული, არქიტექტურული სტილით გადაწყვეტილი შენობა ააგეს. 1980 წელს სადგური კვლავ დაინგრა და ახალი, ამჯერად ბრუტალისტური* არქიტექტურული სტილის ნაგებობა აშენდა. დღეს აქ სარკინიგზო სადგური და სავაჭრო ცენტრია.

თბილისი-ფოთის რკინიგზის გახსნას მოჰყვა ძველი დიდუბის ტერიტორიის უგეგმო დასახლება-ათვისება. რკინიგზის მუშახელი უნებართვოდ, ძალით იკავებდა დაუსახლებელ ადგილებს. ამის გამო ახალშენს **„ნაძალადევი“** (რუსულად „ნახალოვკა“) ეწოდა.



ბრუტალიზმი (ფრანგ. beton brut *უმი ბეტონი*) – არქიტექტურული სტილი, რომელიც 1959–70-იან წლებში გავრცელდა. ბრუტალისტური შენობისთვის დამახასიათებელია განმეორებადი კუთხური გეომეტრიები.

ლექსიკონი

წყალდიდობები თბილისში

მთაწმინდის კალთები, ჩუღურეთის, კუკიის, დიდუბის, ავლაბრის, ნავთლუღისა და სეიდაბადი-ხარფუხის ტერიტორიები დასერილი იყო ხევებითა და ღრანტეებით, საიდანაც დიდი წვიმების დროს ღვარცოფად მოვარდნილი წყალი ყველაფერს ავერანებდა, რაც კი გზად შეხვდებოდა. ხშირი იყო უბედური შემთხვევებიც.

1897 წლის № 23

„მაისის ოც და ცხრას საღამოს მეცხრე საათზე დაჯარა თფილისში საშინელმა ელვა-გრგვინვამ. წამოვიდა ხეტყვა და შემდეგ დაასხა კოკური წვიმა. ავჭალისა და მთაწმინდის ქუჩებზე წამოსკდნენ დიდი ხევები, რომელითაც მრავალი ზარალი ჰქნეს და კაცები იმსხვერპლეს.

ნავთლუღის რკინის გზის სადგურის მახლობლად ხევმა მოიტაცა სათიბებიდან მომავალი ფურგუნი სამი ცხენით. ფურგუნში მსხდარან ცხრამეტი სალდათი დრაგუნის პოლკისა. ეს ფურგუნი ცხენებიან-კაცებიანა ხევმა ჩაიტანა მიწის არხში და გაიტანა მტკვარში. დამხრჩვალთაგან აქამდის მხოლოდ ერთი კაცი გაუგდია მტკვარს კიდეზე თფილისიდან ქვემოთ რვა ვერსის სიშორეზე“.

ასეთი წყალდიდობები უცხო არ იყო თბილისისათვის. ამიტომ გადაწყდა, მოეგვარებინათ ქალაქის კანალიზაციის საქმე. ქალაქის კეთილმოწყობისა და მისი ჰავის გაჯანსაღების მიზნით, XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისში გაიყვანეს საკანალიზაციო ქსელი.

1861 წელს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ვერის ხიდის მიდამოებში, „სატიოს“ შორიახლოს, გენერალმა ყორღანოვმა დადგა ორთქლის მანქანით მომუშავე პირველი წყალსაქაჩი (სიგრძე 5,5 კმ), რომლითაც ქალაქი წლიურად მილიონ ვედრო წყალს იღებდა. მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში 240-მდე თულუხჩი იყო.

1887 წლის სექტემბერში ქალაქში ამუშავდა ავჭალის წყალსაქაჩი.

საქალაქო ტრანსპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვრის მარჯვენა მხარეს, ჩრდილო-დასავლეთით, გარეთუბნის მზარდმა განაშენიანებამ და მდინარის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლების – ჩუღურეთისა და კუკიის ქალაქთან მიერთებამ (1824 წ.) საქალაქო ტრანსპორტის განვითარება მოითხოვა. 1848 წელს მტკვრის ორი სანაპიროს დასაკავშირებლად მუხრანის ხიდთან ამუშავდა პირველი ბორანი, რომელსაც „მუხრანის ხიდის ბორანს“ ეძახდნენ.

1911 წელს ამ ადგილას ევგენი პატონის პროექტით რკინის ერთმალიანი ხიდის აგების შემდეგ ეს ბორანი მოიშალა.

XIX საუკუნეში მტკვარზე რამდენიმე ბორანი იყო გამართული.

1884 წლამდე ბორანი მოძრაობდა ვერის ხიდთან. XX საუკუნის 30–40-იან წლებში მტკვარზე გამართული იყო კიდევ ორი ბორანი: ერთი, ე. წ. „საბურთალოს ბორანი“, აკავშირებდა დიდუბესა და საბურთალოს იქ, სადაც დღეს ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა და ვახუშტის სახელობის ხიდია, მეორე, ე. წ. „დიღმის ბორანი“ კი იქ, სადაც ამჟამად დიდუბის ხიდია. ეს უკანასკნელი მოქმედებდა ამჟამინდელი დიდუბის ხიდის აგებამდე – 1953 წლამდე (ხიდის ინჟინერი ვ. დიდიძე, არქიტექტორი ა. ქურდიანი).

ბორანი *ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავია, ზედ დაგებული ფიცრებით. ბორნის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად მდინარეზე გარდიგარდმო გაბმული იყო ჭოჭონაქზე, მბრუნავ ღარიან რგოლზე მოძრავი ბაგირი. ნავები იმართებოდა ორთაყვირით.*

კარეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში პირველი უცხოური ტრანსპორტის მფლობელი იყო მეფე ერეკლე II-ის მიერ რუსეთის კარზე ელჩად წარგზავნილი გარსევან ჭავჭავაძე – 1790 წელს მან თბილისში ჩამოიტანა **კარეტა** (ლათ. carus – დახურული, სარკმლებიანი ოთხთვალა ეტლი).

XIX ს-ის 30-იან წლებში თბილისის ქუჩებში ათამდე კარეტა და „კალიასკა" (ეტლი) დადიოდა. „პირველი კალიასკა, – *წერს დიმიტრი ყიფიანი,* – თბილისის პირველი სამხედრო გუბერნატორისა, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ მარტვიანისძე სიპიაგინისა, თბილისის ქუჩებში გამოჩნდა სპარსეთთან ომის დროს 1826–1828 წლებში."

XIX ს-ის მიწურულს წყნეთის (ახლანდელი მელიქიშვილის) და ოლღას (ახლანდელი მერაბ კოსტავას) ქუჩების შესაყარზე კარეტების დამამზადებელი ფაბრიკა გაუხსნიათ. დღეს აქ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი დგას.

გაჩნდა „დროშკები" და „ეკიპაჟებიც". თბილისში პირველი **„დროშკა"** – მსუბუქი ოთხთვალა ეტლი – მეფე ერეკლე II-ის ასულის თეკლა ბატონიშვილის საკუთრება იყო.

„ეკიპაჟი" (ფრანგ. equipage – მსუბუქი სამგზავრო და საზიდარი ეტლი) ორცხენიანი იყო და ოთხ მგზავრს იტევდა. პირველ ეკიპაჟს თვლებზე რკინის სალტეები ჰქონდა და ქალაქის მოკირწყლულ ქუჩებზე გამაყრუებელი ხმაურით მოძრაობდა, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. XIX საუკუნის შუახანებიდან „ეკიპაჟის" თვლებზე რკინის სალტეები რეზინის საბურავებით შეცვალეს.

*კარეტებს, „კალიასკებსა" და „დროშკებს" **„ადინაჩკები"** (ოდინოჩკები) – ერთცხენიანი ეტლები მოჰყვა. სწორედ ასეთი ეტლით მგზავრობისას დაიღუპა გამოჩენილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.*

1846 წლის 6 ნოემბერს, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან სადარბაზოდ მიმავალი პოეტის „ადინოჩკა" დილით დაეშვა დღევანდელ ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე. ეტლი გოლოვინის ქუჩას რომ მიუახლოვდა, ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან იქ მცხოვრებმა ქალმა წყალი გადმოასხა. ხმაურზე ცხენი დაფრთხა და მეეტლეს სადავეები წაართვა. ალექსანდრე ჭავჭავაძე მეეტლის საშველად წამოიწია, მაგრამ მისი გრძელი შინელის კალთა ბორბალმა ჩაიხვია. პოეტი ეტლიდან გადმოვარდა და, უგონოდ მყოფი, რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ქალაქის ტრანსპორტს შეემატა „ბირჟის“ ეტლებიც. პირველად თავისი „დროშკა“ ქალაქში ცნობილმა მეეტლემ ცაკანამ გამოიყვანა და მგზავრობისთვის გარკვეული საფასური დააწესა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცაკანას სხვა მეეტლეებმაც მიჰბაძეს და ქალაქში გაჩნდა **„ბირჟა“** (გერმ. Borse) – „ქირის ეტლების“ სადგომი. თბილისში რამდენიმე ასეთი ადგილი იყო: ვორონცოვის მოედანზე, მიხეილის (ვორონცოვის) ხიდთან, ვაგზლის მოედანზე, ერევანსკის მოედანზე ქალაქის სათათბიროსთან. დროშკითა და ეტლით მგზავრობა საკმაოდ ძვირი ღირდა. თბილისში ჩამოსული ალექსანდრე პუშკინი წერდა: *„ეტლით ორ ქუჩას გადავედი და ნახევარი საათის შემდეგ გავათავისუფლე მეეტლე: მაინც იძულებული გავხდი მიმეცა ორი მანეთი ოქროთი. პირველ ხანს გავიფიქრე, ახლად მოსულის გამოუცდელობით ისარგებლა-მეთქი, მაგრამ მითხრეს, ფასი სწორედ ასეთიაო.“*

XIX ს-ის მეორე ნახევარში შემოსულმა **ფაეტონმა** თბილისის ქუჩებიდან განდევნა დროშკები.

„ფაეტონი“ (phaethon) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცეცხლოვანს, მხურვალეს. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ასე ერქვა ჰელიოსის – მზის ღმერთის შვილს. თქმულების თანახმად, ერთხელ შვილმა მამას ეტლით გასეირნების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ცეცხლისმფრქვეველი ცხენები ჭაბუკს არ დაემორჩილნენ და ეტლი გაიტაცეს. დედამიწას რომ ჩაუქროლეს, ტყეებსა და ქალაქებს ცეცხლი მოედო. კატასტროფის (მსოფლიო ხანძრის) თავიდან ასაცილებლად ზევსმა ეტლს ელვა დაჰკრა და დაამსხვრია, ფაეტონი მდინარე ერიდანოსში ჩავარდა და დაიღუპა.

„ფაეტონს“ ეძახდნენ გადასახსნელსახურავიან, ოთხბორბლიან მსუბუქ ეტლს, რომელშიც შებმული იყო ორი (ან ოთხი) ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1883 წლის მარტში ამუშავდა პირველი საქალაქო ვიწროლიანდაგიანი „ცხენის რკინიგზა“ – **კონკა** (რუს. „конь“ – ცხენი).

კონკის ვაგონში ცხენები იყო შებმული. ვაგონი, რომელიც ყველა მხარეს ღია იყო, დაახლოებით ოცამდე მგზავრს იტევდა. მისი სახურავი რკინის ბოძებს ეყრდნობოდა. რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული სკამების საზურგეები მოძრავი იყო (კონკის მოძრაობის მიხედვით). კონკაში შებმული იყო წყვილი ცხენი. აღმართში მათ ემატებოდა სამარქაფოდ (სათადარიგოდ) გამოყოფილი კიდევ ორი გამწევი ცხენი. აღმართზე კონკის გაჩერება აკრძალული იყო.

ბილეთებს ყიდდა ვაგონის გრძელ საფეხურზე მდგომი კონდუქტორი. თავდაპირველად კონკის 2410-მეტრიანი ტრასა-მარშრუტი გადიოდა ვაგზლის მოედნიდან ვორონცოვის მოედნამდე; მოგვიანებით კონკის ტრასის სიგრძემ 23 კმ-ს მიაღწია.

თბილისში კონკა 1910 წლამდე შემორჩა ავჭალის (ამჟამინდელი არნოლდ ჩიქობავას) ქუჩაზე.

მარცხნივ – ვასილ ჯორჯაძე. 1901 წ.

XIX ს-ის ოთხმოციან წლებში თბილისის ქუჩებში გამოჩნდა პირველი **ველოსიპედი** (ფრანგ. *velocipede*; ლათ. *velox* – ჩქარი და *pes* – ფეხი). ამავე საუკუნის მიწურულს დიდი მთავრის (ახლანდ. დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე პირველი ველოტრეკი აიგო. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი იყო ცნობილი სამხედრო ინჟინერი, თავადი ვასილ ჯორჯაძე (1856–1927 წწ.), რომელმაც 1883 წელს მოწყობილ ექვსთა ტურნირში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. საქართველოს პირველ ველოსიპედისტად ვასილ ჯორჯაძეა აღიარებული.

მგზავრობა იაპონურად

თბილისს ჰყავდა „კურტნიანი მუშების“ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომლის მთავარი შესაკრები ადგილი თათრის მოედანი იყო.

ტვირთმზიდავთა სიმრავლის გამო ქალაქში სამუშაოს შოვნა მეტად ძნელი იყო და მუშები ხშირად მთელი დღის განმავლობაში უსაქმოდ იდგნენ. ყველაზე მძიმე ტვირთის გადატანის საფასური ოთხ შაურს, აბაზს არ აღემატებოდა.

სულხან-საბას განმარტებით, „კურტანი სატვირთავი მაღალი ჰალანი“ იყო. მას ქედზე ადგამდნენ ცხენს ან სახედარს. XIX ს-ში კურტანს იყენებდნენ თბილისელი ტვირთმზიდავი მუშები.

კურტანი იკერებოდა მაგარი, უხეში ქსოვილისაგან. ზედაპირი, როგორც წესი, ლამაზი ჭრელი ფარდაგისა ჰქონდა, ზურგის მხარე კი შედარებით რბილი და სადა ქსოვილისაგან კეთდებოდა. მის ქვედა, სქელ ნაწილს ნამჯით ტენიდნენ. ზურგის მხარეს ხელის გასაყრელად მიკერებული ჰქონდა ქსოვილისაგან დაგრეხილი მსხვილი სამკლაურები.

განთქმული ყოფილა თბილისელი მეკურტნეების პატიოსნება. აი, რას წერს რუსი მწერალი ევგენი მარკოვი, რომელიც თბილისს XIX ს-ის 80-იან წლებში ესტუმრა: *„თბილისის კურტნიანი მუშები ატარებენ უპატიოსნეს ადამიანთა სახელს. ჩამოსულები სრულიად უშიშრად ანდობდნენ თავიანთ ბარგს და საჭიროდ არ სთვლიდნენ უკან გაჰყოლოდნენ“ (ე. მარკოვი, „ნარკვევები კავკასიაზე“, 1887 წ.).*

ზაფხულის გადაუღებელი კოკისპირული წვიმების შემდეგ, ღვარცოფების დროს, თბილისის ქუჩებში სიარული ძნელი იყო. ჭირდა ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა. ასეთ დროს მაშველების როლში გამოდიოდნენ კურტნიანი მუშები, რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად ემსახურებოდნენ გასაჭირში ჩავარდნილ ქალაქელებს. დიმიტრი ყიფიანი გვიამბობს: *„არა ერთხელ მინახავს მე, როგორ მოიყვანდნენ ხოლმე მანდილოსნებს იმგვარადვე ორიგინალურად, როგორც შორეულ იაპონიაში იყო შემოღებული, მისი განახლების წინა ხანებში: ქოლგის ქვეშ შეფარებულს, ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს“ (მემუარები, ტფ. 1930 წ.).*

XIX ს-ის 80-იან წლებში თბილისში 2000 კურტნიანი მუშა იყო, ძირითადად ქართველები. მოგვიანებით მათი ადგილი თანდათან შემოსულმა ქურთმა იეზიდებმა დაიკავეს.

„ზეპირი გაზეთები“ ძველ თბილისში

ძველ თბილისში „ქვეყნის ამბების“ გასაგებ და გამავრცელებელ ადგილს, რომელიც „ზეპირი გაზეთის“ როლს ასრულებდა, სალაყბო ერქვა. XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან სალაყბო ეგზარხოსის მოედნიდან ერევანსკის მოედანზე გადავიდა. აქ შეგეძლოთ მოგესმინათ დღიურ ჭირ-ვარამზე გამოთქმული ლექსები, პამფლეტები, ზმები თუ შაირები. მერე ერევანსკის მოედნის სალაყბოც მოიშალა და თბილისელებს მხოლოდ ტკბილი მოგონება დარჩათ მასზე. ახალი ამბების გამავრცელებელ პუნქტად მალე „თბილისის ტროტუარი“ იქცა. მოსახლეობას სხვა შესაკრები ადგილებიც ჰქონდა, სადაც „მოდიოდა“ და საიდანაც „იფინებოდა“ ახალი ამბები: თბილისის არისტოკრატიის ასეთი თავშესაყარი საფაროვის მაღაზია იყო; ქალაქის ხელოსნებს სალაყბოდ „ბერუა ნალბანდის“ დუქანი აერჩიათ; ყოფილი ერევანსკის მოედნის მახლობლად, ორბელიანთა უბანში, თბილისის წარჩინებულ მანდილოსნებს თავიანთი სალაყბო ჰქონდათ.

ნახატი ოსკარ შმერლინგის.



პრესის პირველი ორგანო, რომელიც თბილისში გამოვიდა, იყო ყოველკვირეული „საქართველოს გაზეთი“ (1819 წ., 1820 წლიდან „ქართული გაზეთი“ ერქვა). 1828 წელს დაარსდა „ტიფლისსკიე ვედომოსტი“ და მისი პარალელური გამოცემა „ტფილისის უწყებანი“ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით. იმავე წელს გამოვიდა „ვედომოსტის“ სალიტერატურო დამატებაც, რომელსაც უფრო ჟურნალის სახე ჰქონდა. დაიბეჭდა მისი სულ ხუთი ნომერი. მას შემდეგ რამდენიმე წელი თბილისი უგაზეთოდ იყო.

1838 წელს გამოსვლა დაიწყო „ზაკავკაზსკი ვესტნიკმა“. მალევე გამოჩნდა რუსულ ოფიციალურ გამოცემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბეჭდვითი ორგანო „კავკაზი“ (1848–1876 წწ.) 1845 წლიდან პლატონ იოსელიანის რედაქტორობით დაარსდა ყოველკვირეული ქართული გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი“.

1852 წლიდან გამოდის ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიწყო „მამათა და შვილთა ბრძოლის“ სახელით ცნობილი დიდი პაექრობა.

1863 წლიდან იბეჭდება „საქართველოს მოამბე“, 1866 წლიდან – „დროება“; 1869 წელს დაარსდა სალიტერატურო და სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი“, 1877 წელს – გაზეთი „ივერია“.

პანსიონები და გიმნაზიები

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თბილისში რამდენიმე სკოლა დაარსდა. 1804 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი (ახლანდელი პირველი კლასიკური გიმნაზია), რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა; ორი ათეული წლის განმავლობაში ეს გიმნაზია იყო ერთადერთი საერო სასწავლებელი საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიაში. 1817 წელს კი გაიხსნა სასულიერო სემინარია და მასთან – სასულიერო სასწავლებელი. 20-40-იან წლებში ქალაქში უკვე 18 კერძო სკოლა იყო, უმთავრესად ქალთა და ვაჟთა პანსიონები. 1859 წელს მუშაობა დაიწყო პირველმა კერძო საბავშვო ბაღმა; უღარიბესი მშობლების შვილებისთვის ოთხი უფასო სკოლა არსებობდა; ქალაქში იყო ორი ფრაგნული სკოლაც. 1879 წელს „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ ინიციატივით დაარსდა „სათავადაზნაურო ქართული სკოლა“ პანსიონით, რომელიც შემდეგ „სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა“. 80-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობა 1878 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თაოსნობით.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზი.

თბილისისა და მთელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანა 1879 წელს დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. მის პირველ თავმჯდომარედ გამგეობამ აირჩია დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ კი – ილია ჭავჭავაძე. გამგეობის წევრები იყვნენ ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე... არსებობის მანძილზე საზოგადოებამ დააარსა 33 სკოლა. ახალგახსნილი სკოლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემას; დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“, ასევე სხვა ავტორების ბუნებისმეტყველების, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და არითმეტიკის სახელმძღვანელოები.

1922 წელს საზოგადოებას ეწოდა „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“, 1926 წელს – „მწიგნობარი“, 1927 წელს კი მან არსებობა შეწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სალონური ცხოვრება

თბილისში პირველი ლიტერატურული სალონი* XIX ს-ის დასაწყისში შეიქმნა და მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. სალონში იკრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები და უცხოელი სტუმრები. აქ კითხულობდნენ და იხილავდნენ ახალ ნაწარმოებებს, მართავდნენ კულტურულ-ლიტერატურულ ღონისძიებებს, წარმოდგენებს. ცნობილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, მამია გურიელის, მელიტონ ბარათაშვილის, მანანა ორბელიანისა და სხვათა სალონები.

ლიტერატურულ სალონებში მუსიკის საღამოებიც იმართებოდა. ოცდაათიან წლებში ელისაბედ როზენის განთქმულ სალონში კვირაში ორჯერ – ხუთშაბათობით და კვირაობით – დიასახლისისა და მისი ქალიშვილების მონაწილეობით გამართულ მუსიკალურ წარმოდგენებზე თავისი ნიჭის გამოვლენის საშუალება ეძლეოდა დამსწრე საზოგადოებასაც.

იმავე ხანებში რომან ივანეს ძე ბაგრატიონის ოჯახში (მის სალონს თანამედროვენი „თეატრალურ სახელოსნოს“ უწოდებდნენ) ეწყობოდა მუსიკალური კვარტეტის კონცერტები და სრულდებოდა როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული სიმღერები, ისმოდა კლარნეტის, ფლეიტის, გიტარის, ვიოლინოსა და ფორტეპიანოს ჰანგები.

სალონი (ფრანგ. salon) – მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთაგან შემდგარი წრე, რომელიც სისტემატურად იკრიბება ვისიმე სახლში.

ლექსიკონი

მნიშვნელოვანი რელიკვია შემოგვინახა მაკინე ამირეჯიბის სალონმა: მისაღებ ოთახში მდგარა დიდი, გასაშლელი მაგიდა, რომელზეც გადაფარებული ყოფილა თეთრი სუფრა. სტუმრები ამ მაგიდის გარშემო იყრიდნენ თავს, ილხენდნენ, შაირობდნენ, მსჯელობდნენ. მათ შორის იმართებოდა ლიტერატურული პაექრობა. მაკინეს მიერ შემოღებული წესის თანახმად, თითოეული სტუმარი მოვალე იყო სუფრაზე თავისი ხელმოწერა დაეტოვებინა. შემდეგ ავტოგრაფებს დიასახლისი და მისი ქალიშვილები აბრეშუმის ფერადი ძაფით ქარგავდნენ. შვიდმეტრიან სუფრაზე, რომელიც ახლა გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმში ინახება, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა 1060 ავტოგრაფია შემორჩენილი.

რუსული სამოვრის ოინები

ერთხელ თბილისის მთავარმართებელს, მიხეილ ვორონცოვს განუცხადებია: კავკასიაში მშვიდობიანობა მაშინ ჩამოვარდება, როცა მთებში ჩვენი სამოვარი გაჩნდებაო. მართალია, ჩაის სმის კულტურა „ბარში“ დაიწყო, მაგრამ თბილისში პირველი სამოვარი რომ მთიელმა აადუღა, მართლაც ღიმილის მომგვრელია. იმპერატრიცა ეკატერინეს მეფე ერეკლესთვის ჩაის ჭურჭელი, სამოვარი და სხვა ნივთები გამოუგზავნია საჩუქრად. ნივთები საქართველოს საზღვარზე მოუტანიათ და ყაზბეგელებისთვის გადაუციათ, მათ კი თბილისში, სამეფო სასახლეში ჩამოუტანიათ. მეფეს ძღვენი დაუთვალიერებია და სამოვრის დადგმა უბრძანებია, მაგრამ სასახლის მოსამსახურეთაგან არავის სცოდნია მისი მოხმარება. ბოლოს ისევ ყაზბეგიდან ნივთების მომტან მთიელს გაუმართავს სამოვარი, რაზეც მეფე ერეკლეს გულიანად უცინია და უთქვამს: ბარში რომ ჭკუა დაიკარგა, მთაში იპოვესო.

მოგვიანებით, რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შემდეგ, „ჩაით ლხინის“ ტრადიცია მთელ თბილისს მოედო. ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია მოგვითხრობს: „მოდა იყო, ჩაის სმას რომ გაათავებდნენ, თუ არ უნდოდათ მეტის დალევა, ჭიქა პირქვე უნდა დაემხოთ. ერთხელ, როდესაც ზურაბი (მამა გრ. ორბელიანისა) ნარდს თამაშობდა, გართულმა, უნებლიედ ჭიქა გადმოაბრუნა და ბიჭმაც მეტი ჩაი არ მოუტანა. თამაში რომ გათავდა, ბიჭს ჰკითხა: ჩაი რატომ არ მომიტანეო?

– ბატონო, თქვენ აკი ჭიქა პირქვე დაამხეთ.

– ბიჭო, და, რა უღელი ხარი იმის გადაბრუნებას უნდოდა, რით ვერ მოერიეო, უპასუხა სიცილით ჩაის მწყურვალმა თავადმა.“

თუ უწინ მეგობრები ოჯახში „ჭიქა ღვინოზე“ პატიჟებდნენ ერთმანთს, ახლა უკვე „ჭიქა ჩაის“ დასალევად იწვევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბები და „კრუჟოკები" თბილისში

თბილისში XIX საუკუნეში თანდათან იმატა კლუბების – „კრუჟოკების" რიცხვმა. პირველი კლუბი 1819 წელს კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ ერმოლოვს მოუწყვია კერძო ბინაზე. კლუბს დათმობილი ჰქონდა რამდენიმე ოთახი, ერთში იყო პატარა ბიბლიოთეკა, სადაც შეიძლებოდა ფრანგული, გერმანული და რუსული ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა, სხვა ოთახებში კი იმართებოდა ბალ-მასკარადები, სამეჯლისო ცეკვები.

XIX ს-ის 90-იან წლებში თბილისში მყოფი ირანელი მოგზაური მაჯდ-ოს-სალტანე მოგვითხრობს: „...კლუბი სპეციალურად წარჩინებულთათვის არის გახსნილი. თბილისში ორი კლუბია: ერთი არის ოფიცრებისა, რუსი და ქართველი ვაჭრებისათვის, მეორე – სომეხი ვაჭრებისათვის. კლუბის შენობა შედგება რამდენიმე დიდი დარბაზისაგან. ერთი დარბაზი განკუთვნილია ვახშმისა და სხვა საჭიროებისათვის და სხვები ბალის ცეკვებისათვის და თეატრისათვის. აქვე აგროვებენ ყველა ენაზე მასალებს გაზეთებისათვის – სამეცნიერო ახალ ამბებს. სამხედრო იარაღებსა და სავაჭრო წოდებას სანიმუშოდ იცავენ ამ კლუბში. ინახება გარკვეული რაოდენობა ძველი და ახალი მხატვრების ნამუშევრებისა, წიგნები, ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი, ლატარეის ბილეთები. პატივცემული და კეთილშობილი მანდილოსნები დროის უმეტეს ნაწილს კლუბში ატარებენ. ავანტურისტებს იქ შესვლა არ შეუძლიათ. აქ იმართება ბალ-მასკარადი... სამეჯლისო ცეკვები..."



1900 წ. № 3 ივერია

„6 იანვარს 1900 წელს ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში გამართული იქნება

ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთების ფასი 2 მ. 10 კ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის სასურველია საპარადო ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის" შვეიცართან."

თბილისის „კრუჟოკებში" ყოველდღე შეიძლებოდა მისვლა და თავის შექცევა ლოტოთი, ბანქოთი და სხვა თამაშობებით. ცნობილი კლუბი იყო „საარტისტო საზოგადოება" (ახლანდ. რუსთაველის თეატრი); ქართული კლუბი, რომელსაც „ახალ კლუბსაც" ეძახდნენ (ყოფილი ა. გრიბოედოევის თეატრის ადგილას); „ტფილისის კრუჟოკი" (ყოფილი ოფიცერთა სახლი) და ა. შ.

ნახატი გრ. გაგარინის.

აზარტული თამაშები

თბილისში არც ერთი აზარტული თამაში ისე ფართოდ არ გავრცელებულა, როგორც ლოტო. ლოტოთი გატაცებული ქალები საათობით უსხდნენ სათამაშო მაგიდას. მას, ვის სახლშიც თამაში იმართებოდა, ძვირად უჯდებოდა ამგვარი გართობა: ერთად შეკრებილი 30-40 ქალისთვის ჩაი, შაქარი, ხილი, სანთელი... ეს კიდევ არაფერი, ხშირად მშვიდად დაწყებული ლოტოს თამაში ჩხუბით მთავრდებოდა. ქალების ჩხუბს ჟურნალი „ცისკარი“ ასე აღწერს: „მეტად ძალიანი მუშტები იციან. იცით, იმათი მუშტით ცემა რომელია? როცა ქალი ხედავს აგებს, ასტეხს შარს – შენ მომპარეო, არა შენი დვადცატ-პეტი არ იყოვო... იმ საათშივე კავებში მივარდება...“

ხშირად ჩხუბი და დავიდარაბა ისე მწვავდებოდა, რომ საქმე სასამართლომდე მიდიოდა.

თბილისელ ქალბატონებს ნარდის თამაშიც არანაკლებ ჰყვარებიათ.

თბლისის სამხატვრო აკადემია მდებარეობს დღევანდელი ალ. გრიბოედოვის ქუჩის №22-ში, ყოფილ ქობულაშვილების სახლში.

სასახლე XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით. 1869-1886 წლებში აქ „საარტისტო წრე“ („კრუჟოკი“) იყო მოთავსებული. სამხატვრო აკადემია ამ შენობაში 1922 წლიდან გადმოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკები და წიგნსაცავები

საუკუნეთა მანძილზე თბილისში არაერთი მდიდარი წიგნსაცავი იყო, მაგრამ სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა დარბევებს ვერც ერთი ვერ გადაურჩა, ბოლო კატასტროფა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას მოჰყვა. XIX საუკუნის დამდეგს თბილისში არც ერთი ბიბლიოთეკა არ იყო.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ტრადიცია ქალაქის კლუბებში აღდგა. 1830 წლის ივლისში ეკატერინე კოტოვამ დააარსა თბილისში პირველი კერძო ბიბლიოთეკა. წიგნთსაცავის დამაარსებლის განცხადებით, ბიბლიოთეკაში დაცული იყო 1575 სახელწოდების ორიგინალური და ნათარგმნი წიგნი. ხელის მომწერები წლიურად იხდიდნენ „13 მანეთს ვერცხლით, ნახევარი წლით ხელისმომწერნი – 8 მან., სამი თვით – 5 მან., ხოლო ერთი თვით – 2 მანეთს ვერცხლით.“ ხელის მომწერებს წიგნების კატალოგიც ურიგდებოდათ. ბიბლიოთეკა ღია იყო კვირა-უქმეს გარდა, ყოველდღე დილის 9-იდან საღამოს 7 საათამდე.

კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ თბილისის არისტოკრატიულ ოჯახებსაც. მწერალ ალექსანდრე ორბელიანის ბიბლიოთეკაში ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრების გასაცნობად დადიოდნენ მისი მეგობარ-ნაცნობები. დიმიტრი ყიფიანის საოჯახო ბიბლიოთეკა შუადღის შემდეგ სავსე იყო ლიტერატურით დაინტერესებული პირებით. ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრების გადათვალიერება, წიგნების გაცვლა, წაკითხულზე მსჯელობა და კამათი გვიანობამდე არ წყდებოდა.

გაჩნდნენ წიგნით ხელზე მოვაჭრე ბუკინისტებიც. გაიხსნა წიგნების მაღაზიები. 1846 წელს ოდესიდან ჩამოსულმა პელეტიმ თბილისში გახსნა ფრანგული წიგნების პირველი მაღაზია. მყიდველთა მისაზიდად მაღაზიებთან საჯარო სამკითხველოებიც იყო მოწყობილი.

1846 წელს მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“ (დღევანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბიოთეკა). მას გადაეცა 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გახსნილი „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ფონდი. 1852 წელს ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ორბელიანმა საჯარო ბიბლიოთეკას საკუთარი სახსრებით აგებული შენობა გადასცა.

ქარვასლის თეატრი

კავკასიის მთავარმართებლად დანიშნული გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი მიხეილ ვორონცოვი (1782–1856 წწ.) თბილისში 1845 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა. გრაფს იგივე რუსიფიკატორული მიზნები ამოძრავებდა, რაც მის წინამორბედ მეფის რუსეთის მოხელეებს, ოღონდ, მათგან განსხვავებით, მისი პოლიტიკა უფრო მოქნილი იყო. ვორონცოვი თბილისში არაერთი კულტურული წამოწყების მოთავე იყო, რითაც ადგილობრივთა გული მოიგო და მათი კეთილგანწყობა დაიმსახურა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედაქალაქში თეატრის მშენებლობაზე დაიწყო ზრუნვა. ამ საქმისათვის ვორონცოვმა თავდაპირველად თბილისელი ვაჭრები, ბაზაზები შეარჩია – მათს ხარჯზე უნდოდა შენობის აგება. გეგმის მიხედვით, შენობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. პირველ სართულზე – ბაზაზებს ექნებოდათ სავაჭრო დუქნები, მეორე სართული კი თეატრს დაეთმობოდა. ბაზაზებმა მიხეილ ვორონცოვს უარი შემოუთვალეს: ზედმეტი ფული არ გაგვაჩნია; რაცა გვაქვს, ისიც აღებმიცემობასა და საქონელშია დაბანდებული, თანაც, ძველი თბილისიდან ზევით ამოსვლა ჩვენი საქმე არ არის, აქ შეჩვეული მუშტრები გვყავს და სხვაგან გაკოტრებისა გვეშინიაო.

თეატრის აგების საქმე ვაჭარმა გაბრიელ თამამშევმა ითავა. მან ქარვასლისათვის ავანაანთ ხევზე, დღევანდელი თავისუფლების მოედნის ადგილას, ქართველი თავადიშვილისგან, ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი „ორ დოშათ* და ორი კაცის საკაბეთ“. („საქართველო“, 1915 წ. № 81). საკმაოდ ღრმა ხევი გადახურეს და ქარვასლის ოთხსართულიანი შენობა ააგეს. ქარვასლაში ორასზე მეტი მაღაზია, სარდაფი-საწყობი, ფულის გადასახურდავებელი დუქანი და საცხოვრებელი ოთახი იყო.

მეორე-მესამე სართულები ეკავა თეატრს, რომლის მშენებლობის პროექტი შეადგინა მიხეილ ვორონცოვის მოწვევით თბილისში საგანგებოდ ჩამოსულმა იტალიელმა არქიტექტორმა ჯოანი სკუდიერიმ, სამხატვრო სამუშაოების შესრულება კი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, თავადმა გრიგოლ გაგარინმა ითავა.



დოში – ზუთხის ლორად გამოყვანილი გვერდი.

ამიერკავკასიის მასშტაბით პირველი ოპერის თეატრი, რომელიც 700 (800) მაყურებელს იტევდა, ევროპულ თეატრებს შორისაც გამოირჩეოდა არქიტექტურითა და დახვეწილი დიზაინით. თეატრისთვის სადეკორაციო მასალა პარიზიდან გამოიწერეს, პარიზიდანვე მოიწვიეს ცნობილი დეკორატორი დერბეზი. 1851 წლის 8 ნოემბერს თეატრში გრანდიოზული ბალ-მასკარადი გაიმართა, 9 ნოემბერს კი საოპერო სეზონი გახსნა თბილისში მოწვევით ჩამოსულმა იტალიურმა დასმა დირიჟორ ბარბიერის ხელმძღვანელობით. წარმოადგინეს გაეტანო დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. აღფრთოვანებული მაყურებელი წარმოდგენის შემდეგ იტალიურ დასთან ერთად მტკვრის მარცხენა სანაპიროსკენ გაემართა და სახალხო დღესასწაულად ქცეული სანახაობა პირდაპირ მდინარის ტალღებზე გაგრძელდა: ტივებზე მოქეიფე ხალხი მთელი ღამე ზეიმობდა თბილისის თეატრის გახსნას, საოპერო არიებს ქალაქური ჰანგები ენაცვლებოდა...

თეატრმა სულ 23 წელიწადს იარსება. 1874 წლის 11 ოქტომბერს, იტალიელი კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის ოპერის „ნორმას“ წარმოდგენისას, ქარვასლაში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა თეატრიცა და ქარვასლის მშვენიერი ნაგებობაც. თბილისის ცეცხლისმქრობელი რაზმი, რომელსაც ორი კასრისა და ორი მილის გარდა არავითარი ხელსაწყო-იარაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გააჩნდა, უშედეგოდ ებრძოდა აგიზგიზებულ ცეცხლს. ქალაქის მეთულუხეებმა თურმე ცოცხალი ჯაჭვი გააბეს მტკვრიდან ერევნის მოედნამდე და 16 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ზიდეს წყალი ცეცხლის ჩასაქრობად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გრიგოლ ორბელიანი წერდა: *„დაიწვა თამამშევის ქარვასლა და მასთან ჩვენი თეატრი... მხოლოდ იმ ღამეს შევიტყვეთ, რომ თბილისში არა ყოფილა პაჟარნი კამანდა. შეგროვდა მრავალი ხალხი და მწუხარებით შეჰყურებდა, როგორ ადიოდა ალი ვარსკვლავებამდის...“*

როგორც შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, ქარვასლის ვაჭრებს მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდათ სავაჭრო სახლის შუაგულში თეატრის არსებობა და ხანძარიც განგებ გააჩინეს. გაზეთი „დროება“ წერდა: „გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცეცხლი თამამშევის ქარვასლას თავისით ან შემთხვევით არ გასჩენია, ზოგიერთმა გარემოებამ და მოწმეების ჩვენებამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ ამ საქმეში ვაჭარი ი. ლაზარევი უნდა ყოფილიყო დამნაშავე“. სასამართლომ ლაზარევს (სხვა წყაროს მიხედვით, ყაზაროვს) ცხრა წელიწადი კატორღაში მუშაობა და შემდეგ ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

1879 წელს ქარვასლის შენობა თეატრალური სათავსის გარეშე აღადგინეს. სხვა მაღაზიებთან ერთად იქ განთავსებული იყო განთქმული მეყვავილის, მიხეილ მამულაშვილის „სოლეიდორი“ („ოქროს მზე“).

1934 წელს მოედნის გაფართოების მიზნით ქარვასლა მთლიანად დაანგრიეს. რკინის გრიფონები, რომლებიც თეატრ-ქარვასლის შენობას „სდარაჯობდნენ“ ახლა სიონის ცენტრალური შესასვლელის მახლობლად, თბილისის ისტორიული მუზეუმის წინ დგას.

14 იანვარი ქართული თეატრის დაბადების დღეა

1850 წლის 14 იანვარს ქართულმა თეატრალურმა დასმა თბილისის არისტოკრატიის მხარდაჭერითა და მიხეილ ვორონცოვის ხელშეწყობით, კლასიკური გიმნაზიის დარბაზში წარმოადგინა გიორგი ერისთავის „გაყრა“. (მოგვიანებით ამავე სცენაზე ითამაშა ილია ჭავავაძემ მეფე ლირი). ეს იყო პროფესიული ქართული თეატრის პირველი დადგმა. მიუხედავად წარმატებებისა, თეატრალურ დასს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. რუსეთის მეფის ადმინისტრაციამ მას უმკაცრესი ცენზურა დაუწესა რეპერტუარზე და, საბოლოოდ, შენობაც წაართვა. 1856 წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესებს მხოლოდ მოყვარული თეატრალები დგამდნენ.

ქართული სასცენო ხელოვნების ახალი პერიოდი დაიწყო 1879 წელს, როდესაც თბილისის მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ავალიშვილისა და სხვათა თაოსნობით მუდმივი დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. სპექტაკლების გასამართავად გამოინახა მუდმივი შენობა. ეს იყო თეატრად გადაკეთებული ქარვასლის ნაწილი ყოფილ სასახლის ქუჩაზე (ახლა აქ მეტროს სადგური „თავისუფლებაა“). თეატრალურ სარბიელზე გამოვიდნენ ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები – ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კოტე მესხი და სხვები.

პროფესიული თეატრის გვერდით არსებობდა თვითმოქმედი დრამატული წრეები, რომლებიც კერძო ბინებში ან დროებით შენობებში მართავდნენ წარმოდგენებსა და ე. წ. „ცოცხალ სურათებს“. ასეთი იყო ვერის სახალხო თეატრი, ნაძალადევის მუშათა თეატრი (წარმოდგენებიდან შემოსული ფულით დასმა ნაძალადევში ქართული სკოლა დააარსა), „სიფხიზლის საზოგადოების“ რკინიგზელთა თეატრი, ავლაბრის მურაშკოს თეატრი (უბინაო წრეს ავლაბარში მცხოვრებმა შტაბს-კაპიტანმა ნიკოლოზ მურაშკომ თავის მამულში აუშენა თეატრი 200-ადგილიანი დარბაზით), ავჭალის აუდიტორია, რომელსაც რკინიგზის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნიკოლოზ ხუდადოვმა 187-ადგილიანი დარბაზი აუგო (ნიკოლოზ ხუდადოვის სახელს უკავშირდება ნაძალადევის მთიან ფერდობზე პირველი ხელოვნური ტყე-პარკის გაშენება).

სახალხო თეატრებში წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთები 5-იდან 15 კაპიკამდე ღირდა და ხელმისაწვდომი იყო უბრალო ხალხისთვის.

„სადაცა იმყოფებოდეს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს საქართველოში იმდენი პირადი ბარათი არ უწერიათ, რამდენიც XIX საუკუნეში და უფრო ამ საუკუნის პირველ ნახევარში. იმდროინდელ თბილისშიც ორგვარი კორესპონდენციები იყო მიღებული: ადგილობრივი და საქალაქგარეთო. ვიდრე რეგულარული ფოსტა დაიწყებდა მუშაობას, წერილების დამტარებლად ფეხმარდ შათირებს* ირჩევდნენ.

მაშინ კონვერტი არ იცოდნენ: ოთხად დაკეცილ, ლუქით დაბეჭდილ ბარათს ჩააბარებდნენ ახლანდელი ფოსტალიონის მოვალეობის შემსრულებელს და შათირსაც უნდა მოენახა წერილის ადრესატი, რათა ბარათი პირადად ჩაებარებინა. ამიტომაა, რომ ხშირად იმდროინდელ ბარათებზე ადრესატის კონკრეტული მისამართი არ არის მინიშნებული. ერთ-ერთ ბარათზე ასეთი წარწერაა: „ეს წიგნი მიერთოს მდაბლად, კნეინას ქეთევანს, დიმიტრის ასულს, ორბელიანისას მთაში, ბარში, ბათუმში, ახალციხეს, პარიჟ-ვენაში, ანუ სადაცა იმყოფებოდეს.“ თბილისიდან სხვადასხვა მიზეზით შორს მყოფთათვის დიდი სიხარული იყო ქალაქის ამბების მაუწყებელი წერილების მიღება, მით უმეტეს, თუ ეს ბარათი „დალაგებული“ და ამბებით სავსე იყო. თბილისს ასეთი წერილების ვირტუოზებიც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო დავით ყორღანაშვილი. რიგაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი მას სწერდა: „ჩემო საყვარელო დავითჯან, შენი დიდი თაბახი წიგნი, დიდმარხვის ორშაბათს დაწერილი, მომივიდა სწორედ აღდგომა დღეს. შენ თითონ იფიქრე, რა მხიარულად წავიდა ჩემთვის დღე იგი. იმის ეშხით სამჯერ ვაკოცე პისერსა კუპრიან ულვაშებში, შენის წიგნის მომტანსა...

ახ! დავითჯან, რამდენს სიამოვნებას მაძლევენ შენნი წიგნები მარილიანად დაწერილები...“

ბარათების გაგზავნის საქმე საგრძნობლად გაიოლდა მას შემდეგ, რაც თბილისში მუშაობა დაიწყო რეგულარულმა ფოსტამ. მისი მთავარი განყოფილება სიონის ქუჩაზე იყო. პეტერბურგიდან და ოდესიდან თბილისში წერილი 25 დღის შემდეგ მოდიოდა; პარიზიდან – 50-55 დღის მერე.

შათირი (არაბ. „შატირ“ *მალემსრბოლელი*) – იგივეა, რაც შიკრიკი.

ლექსიკონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის უნიკა

თბილისური მარკა. 1857 წ.

1856 წელს, მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის თაოსნობით თბილისში დაარსდა საქალაქო ფოსტა, ერთი წლის შემდეგ კი მიმოქცევაში გამოვიდა პირველი საფოსტო მარკა თბილისისა და კოჯრის საფოსტო გზავნილებისთვის. მარკის ნომინალი* 6 კაპიკი იყო (5 კაპიკი საფოსტო გზავნილის ფასი და 1 კაპიკი – მარკის ბეჭდვის ღირებულება). ეს იყო პირველი საფოსტო მარკა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში, ასევე პირველი საფოსტო მარკა მსოფლიოში, რომელიც დაიბეჭდა წნეხით და ჰქონდა რელიეფური გამოსახულება. მიმოქცევაში იყო სულ რამდენიმე თვე, 1858 წლის 1 მარტამდე, რადგან მალევე შეცვალეს საერთო-იმპერიული რუსული მარკებით. ასეთი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, „ტფილისის უნიკად“ წოდებული ეს ფილატელისტური იშვიათობა მსოფლიოს 10 ყველაზე ძვირფასი საფოსტო მარკის რიცხვში შედის. მისი დასაკუთრება ყველა ფილატელისტის ოცნებაა, მაგრამ შანსი მხოლოდ ერთეულებს აქვთ, რადგან აუქციონებზე მარკის ფასი უკვე მილიონ დოლარს აღწევს.



ფოსტის სახლი, აგებული 1846 წელს.

ნომინალი (ლათ. nominalis *სახელობითი*) – ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდებზე, ქაღალდის ფულის ნიშნებზე, საქონელზე.

ლექსიკონი

Telegraphen Bau-Anstalt von SIEMENS & HALSKE in BERLIN.

1858 წლის ზაფხულში თბილისმა პირველი სატელეგრაფო კავშირი დაამყარა კოჯორთან. ტელეგრაფის აპარატები ბერლინში გერმანულმა ფირმამ „სიმენს & ჰალსკემ“ (ახლანდელი „სიმენსი“) დაამზადა. 1863 წლის ივლისიდან თბილისის ტელეგრაფის სადგურმა დეპეშები გაცვალა პეტერბურგთან, ერთ წელიწადში კი ევროპის ქვეყნებთან.

1863 წ. №67 КАВКАЗЪ

„გაზეთი „კავკაზის“ რედაქცია სიამოვნებით ატყობინებს თავის მუდმივ მკითხველებს, რომ ამ ნომრიდან ჩვენს გაზეთში დაიწყება ბეჭდვა ყველა მნიშვნელოვანი სიახლისა, რომელსაც ტელეგრაფით მივიღებთ პეტერბურგიდან. ამგვარად, ჩვენს მკითხველებს ეს სიახლეები ეცოდინებათ 8 ან 9 დღით ადრე, ვიდრე ექსტრა ფოსტით გაზეთებს მივიღებთ.“

1861 წლის 25 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტში გერმანელმა ფილიპ რეისმა მსოფლიოში პირველი ტელეფონის მუშაობის დემონსტრირება მოახდინა. თბილისს ტექნიკის ეს სიახლე არ გამოჰპარვია. გაზეთი „კავკაზი“ რეისის გამოგონებაზე წერდა: „დღეს დეპეშების გადაცემა ისეთივე ჩვეულებრივი გახდა, როგორც წერილი ან რკინიგზაზე მიმოსვლა. მაგრამ შესაძლებელი იქნება თუ არა, როდესმე ჩვენთვის ერთმანეთთან ლაპარაკი ზღვებისა და ხმელეთის გავლით ისე, რომ ჩვენმა ყურმა მოისმინოს? პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა ბატონმა რეისმა. მან მოაწყო განსაკუთრებული აპარატი, რომელსაც ტელეფონი უწოდა და მისი დახმარებით ის აპირებს შორეულ მანძილზე ბგერების გადაცემას, ისევე, როგორც ახლა იგზავნება ტელეგრაფის ნიშნები.“

თბილისში პირველი სატელეფონო ზარი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, 1882 წელს გაისმა – სატელეფონო ხაზი ჯერ გაზეთ „კავკაზსა“ და სტამბას შორის ამუშავდა, შემდეგ თავადმა ჯორჯაძემ მოისურვა რკინიგზის სადგურთან მდებარე ღვინის საწყობს გოლოვინის პროსპექტიდან, საკუთარი ღვინის კანტორიდან დაჰკავშირებოდა... სატელეფონო ქსლის მოწყობა ქალაქში 1893 წელს დაიწყო. ბინებსა და საწარმო-დაწესებულებებში აბონენტებს ერთმანეთთან აკავშირებდნენ ტელეფონისტი ქალები. გამოქვეყნდა ტელეფონით სარგებლობის წესებიც.

პირველი ტელეფონი, რომელსაც „მოლაპარაკე ტელეგრაფს“ ეძახდნენ, 1876 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დააპატენტა ალექსანდრ გრეჰამ ბელმა.



თბილისის „მესურათხატენი"

1845 წელს თბილისში ჩამოვიდა დაგეროტიპისტი, ვინმე ბარტი.

პირველი ფოტოსტუდია ქალაქში XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს გაჩნდა: 1848 წელს გაიხსნა პ. პაუსტისა და ი. ალექსანდროვსკის „მესურათხატეთა" სტუდიები.

XIX საუკუნის 60-იან წლებში თბილისში მუშაობდნენ ცნობილი „მესურათხატეები" – ს. მორიცი, ე. ბარკანოვი, მ. ლევიტესი, ე. ვესტელი, ვ. ხლამოვი. სწორედ ამ უკანასკნელის სტუდიაში დაეუფლა ფოტოხელოვნებას ცნობილი ქართველი „მესურათხატე" ალექსანდრე როინაშვილი (1846–1896 წწ.). მისი თანამედროვე იყო დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი (1846-1916 წწ.), წარმოშობით იტალიელი, გვარად კამბიაჯო), ცნობილი „მესურათხატე", რომლის მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს XIX-XX სს. თბილისის ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ქალაქურ ტიპაჟებს.

დაგეროტიპია ფოტოგრაფიის წინაპრად ითვლება. სიტყვა „დაგეროტიპია" ნაწარმოებია ფრანგული დაგერის გვარისგან. დაგერმა 1839 წელს იოდოვანი ვერცხლით დაფარულ ლითონის ფირფიტაზე ქიმიური რეაქტივებისა და სხივების ზემოქმედებით მიიღო პირველი დაგეროტიპური სურათი. ამ ხერხით მხოლოდ ერთი სურათის მიღება შეიძლებოდა.

როინაშვილის ფოტოატელიეზე გამოკრული იყო აბრა, რომელიც საზოგადოებას აუწყებდა:

„ტფილისი. ერევნის მოედანი №3., ფოტოგრაფია. ა.ს. როინაშვილისა

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე ახლად გადაღებული სურათები საქართველოს არქეოლოგიური ნიმუშებისა. ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას...

გადაღებულის სურათების გადიდება 3 მანეთიდან 20 მანეთამდე.

კავკასიის ბუნების სურათები და ტიპები 20 კაპიკად.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი შოთა რუსთაველისა... და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლობისა და არტისტებისა.

შოთა რუსთაველის დიდი ჩვეულებრივ ქაღალდზე ღირს 50 კაპ., საუკეთესო ქაღალდზე 1 მან. მწერლების და არტისტების საკაბინეტო სურათები თითო 30 კაპ.

სურათების გამოწერა შეიძლება ფასდაკლებითაც."

„გადადექი გზიდან!..“

XIX საუკუნეში თბილისში ევროპული წესჩვევების შემოსვლას მოჰყვა ტანსაცმლის სახეცვლა. ეს პროცესი თავდაპირველად მხოლოდ ქალაქის არისტოკრატიას შეეხო. ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი წერდა: „ქართველ ქალთაგან ძალიან ცოტა თუ შედის ევროპელთა საზოგადოებაში, კიდევ უფრო ცოტა იცვამს ევროპულ ტანსაცმელს“ („მოგზაურობა საქართველოში“).

თანდათანობით გაქრა შეიდიში, ახალუხი. ლეჩაქი შლაპამ შეცვალა, ქოშები – ბაშმაკებმა. „უი, სირცხვილო! შვილო გაგონილა? ოთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს... დღეს რომ ქოშები გაიხადა, ხვალ სხვასაც გაიხდის“. (გრიგოლ ორბელიანი, წერილები...). ჩადრი და ბაღდადი შეიცვალა მოსასხამით – პელერინით. 60-იან წლებში შემოვიდა ყოვლად უცნაური კაბა – ხაბარდა*.

„ხაბარდაც, – წერდა ჟურნალ „ცისკარში“ ანონიმი ავტორი „მოლაყბის“ ფსევდონიმით, – მოდად გახლავსთ შემოღებული. არა, რა მოდაა თქვენი ჭირიმე... ქალს, რომელიცა ისრე რომ დავაყენოთ, სწორედ ერთი ციდა ადგილი უჭირავს, და ხაბარდით იმდენი ალაგი უპყრია და იმდენი დედამიწის სივრცე, რომელზედაც შეიძლება ათი კაცი მოთავსდეს.

მამა ვაცხონე იმისი, ვისაც თავდაპირველად დაურქმევია ხაბარდა. მოდი და გზას ნუ დაუგდებ! მე გავზომე ერთს მაღაზიაში ეს ხაბარდა, რომელსაც გამოუვიდა გარშემო რვა ადლი.

მოდას ზიანიც მოაქვს და თითქმის სიკვდილიც. წარსულს ყველიერში, პეტერბურღში ერთი დიდი კაცის ბალში, გასათხოვარი ქალი როგორღაც სანთელს მიჰკარებია, წაჰკიდებია იმის ხაბარდას ცეცხლი და მიმშველებელნი ქალებიც იმასთან ერთად დამწვარან რამდენიმე.“

*1837 წელს თბილისში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური, სამხედრო პირი **რიჩარდ უილბრაჰამი** რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის პატივსაცემად ზუბალაშვილის სახლში (ახლანდელი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) გამართულ მეჯლისზე საპატიო სტუმრად მიუწვევიათ. მოგზაური ქართველი თავადების ტანსაცმლის აღწერისას აღტაცებას ვერ მალავს: „თავიანთ შესანიშნავ და მოხდენილ ტანსაცმელში გამოწყობილებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ნამდვილად ულამაზესი ერია.“*

ხაბარდა (არაბ.-სპარს. „ხაბარდარ“ გადადექი გზიდან!) – ძველებური კაბა, რომელსაც განივრად იჭერდა შიგ დატანებული ფოლადის სარტყლები.

ქართული კაბა ნელ-ნელა გადადიოდა მოდიდან. გრიგოლ ორბელიანი აღშფოთებული სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს: „მოვიდა გამოჩენილი მხატვარი ზიჩი, რომელსაც ჰსურდა დაეხატა კარტინისათვის „Демон“ ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერავინ ვიპოვეთ.

ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობჟიოს, ამან მისცა თავისი საქორწილო ტანისამოსი ყამჩითა, ჯიღითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნივთებითა და ამით დიდად გაახარა ზიჩი. ასე განათლდა, ასე წახდა საქართველო, რომ თავისი აღარა უნდათ რა და დიდად ჰრცხვენიანთ ქართულად ჩაცმა!“

ქართული კაბა თანდათან შეიცვალა ფრანგული და გერმანული ნაწარმით. ევროპული მზა ტანსაცმლის შეძენა ქალაქის მოდურ მაღაზიებში შეიძლებოდა. გაზეთ „კავკაზის“ 1846 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ თბილისში პირველი უნივერსალური მაღაზიის მფლობელ ბატონ ბლოტს პარიზიდან ჩამოუტანია საუკეთესო ფრანგული ნაწარმი; „სრულიად ზომიერ ფასებში მასთან შეიძლება შეიძინოთ: სხვადასხვანაირი აბრეშუმის ქსოვილები, მაუდი, ფლანელი, ავეჯის გადასაკრავი მატერია, ბაბთი, სალეჩაქე, ხავერდი, ბატისტი, ქალის შეკერილი ტანსაცმელი, ხელოვნური ყვავილები, შლაპების გასაწყობი ფრთები, ზონარები, აბრეშუმის ჩულქები, ჰოლანდიის ტილო, ქალის და მამაკაცის ხელთათმანები, ნელსაცხებელი, საპონი, პომადა...“

თბილისში მოდურად ჩაცმის მოყვარულთათვის მუშაობდნენ ევროპელი მკერავები. ცნობილი იყო კორსეტის მკეთებელი როკაპ ვილჰელმი, ხელთათმნის ხელოსანი ლერუ კარლი და სხვა ევროპელი მკერავები – ვალინგ რუარი, კიუნე და ფერჰი, ბუჩაცკი...



1900 წ. № 57 ივერია

სამკერვალო, ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსის შესაკერავად ყველასთვის ხელ-მისაწვდომ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი, გიორგიევის (ქაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, 2-12 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მკერვალიძისა.

ქალებს არც მამაკაცები ჩამორჩებოდნენ სიკოხტავესა და „მოდურად“ ჩაცმაში. ქალაქის არისტოკრატია ჩოხა-ახალუხს აღარ ატარებდა. მის ნაცვლად შემოვიდა მუნდირი, სერთუკი, პალტო, შლაპა და ა. შ.

ნახატი ოსკარ შმერლინგის.

წვერის პარსვა და თმის დაბლა დაყენება ქართველებმა რუსებისგან გადმოიღეს. საბარათიანოს სარდალი ივანე დავითის ძე ორბელიანი იყო პირველი ქართველი, რომელმაც „რუსულად გაიკეთა“ წვერ-ულვაში და თმა. გრიგოლ ორბელიანი წერს: *„ივანე სარდალმა ორბელიანმა ნიშნად ერთგულებისა რუსეთისადმი მოიპარსა წვერი და მრავალთა თავადიშვილთა მოაპარსვინა წვერი თავისთანავე, ასე რომ ტომრები ბალნით გატენილი გადაყარეს მტკვარში.“*

1837 წელს, როდესაც ნიკოლოზ I ჩამოვიდა თბილისში, ზოგიერთ ქართველ თავადსა და აზნაურს იძულებით გაჰპარსეს წვერი. „როცა ხელმწიფე მოვიდა საქართველოში, – წერს ქართველი ლიტერატორი და პუბლიცისტი იონა მეუნარგია (1852–1919 წწ.), – იმათაც კი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანით მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფლან ორბელიანს ჩამოაცალეს წვერ-ულვაში. გაგეგონებათ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: *„ღმერთო, ეს რა დღეს მოვესწარით, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურავს, თუ ეს ულვაშები მასხია და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცაო.“*

პლატონ იოსელიანი.

წვერის გაპარსვასთან ერთად საქართველოში ქილვაშების ტარებაც დაიწყეს. ზოგი ხელოვნურ ქილვაშებს იკეთებდა. პლატონ იოსელიანი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქილვაშები დაიყენა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ირონიულად სწერდა გრიგოლ ორბელიანს: *„ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდებზედ* და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ ვერ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფიურს სახეს.“*

თბილისის მკვიდრი დალაქებიდან ცნობილი იყო ვინმე გრიქულა, რომელიც მერე თეატრის „მოპარიკე“ გამხდარა. უცხოეთიდან ჩამოსული პარიკმახერებიდან კარგი ოსტატის სახელი ჰქონდა გავარდნილი ფრანგ ბერლემონს.

დალაქ-პარიკმახერები ქალებსაც ჰყავდათ. ისინი მანდილოსნებს კავებს უკულულებდნენ, თმასა და ფრჩხილებს ულებავდნენ.

ბაკენბარდი – ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე გაპარსული წვერი. *იგივე ქილვაში.*

ყარაჩოხელი (ყარაჩოღელი)

ყარაჩოხელი ქალაქელი ხელოსანი იყო. ეს სახელი მან ჩაცმულობიდან მიიღო, რაც შავჩოხიანს ნიშნავდა (თურქ. ყარა – შავი). მას ეცვა განიერი შარვალი ხონჯრითა და ჩარჩუბაღებით*, ატლასის ახალუხი და ლეკის შავი შალისაგან გამონაკვალი ჩოხა, უღილკილებოდ, რომ ახალუხის ნაოჭქვეშ სარტყლის ფოჩი თვალნათლივ გამოჩენილიყო; წელზე ერტყა ვერცხლის გობაკებიანი ქამარი*, ყელზე გადადებული ჰქონდა აბრეშუმის სახიანი მერდინი. ფეხთ ემოსა პუჭპუჭებიანი წაღები, თავზე კი „წიწაკა“ ქუდი ეხურა.

ყარაჩოხელი რომელიმე ამქრის წევრი უნდა ყოფილიყო, სხვათაგან გამორჩეული თავისი ცხოვრების წესითა და მორალური კოდექსით. ის ქალაქის საყვარელი ფალავანი იყო, უსამართლობის მოძულე, მოყვასის მოყვარე, სუსტების მფარველი, ქვრივ-ობლების ქომაგი...

ყარაჩოხელის საყვარელი საკრავი იყო დუდუკი, ზურნა, საზანდარი, ქამანჩა. საყვარელი სიმღერები: „ორთავ თვალის სინათლევ“, „მუხამბაზი“, „მთვარიან ღამეს“...

ძველ თბილისში ყარაჩოხელი ქალებიც ყოფილან. ყარაჩოხელი იყო „ქამრიანი სონაც“. მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, უცნობია სონას გვარიც. ამბობენ, რომ სონას სიყმაწვილიდან ჰყვარებია ერთი ვაჟკაცი ყარაჩოხელი, რომელიც მძიმე სენით გარდაცვლილა. სონას გარდაცვლილი საცოლის ქამარი თვითონ შემოურტყამს წელზე და გამოუცხადებია, ჩემს ქალობას ამ ქამრისა და შავი კაბის ქვეშ ვმარხავო. მერე მამისეული არღანი აუღია და ყარაჩოხელთა ამქარს შეერთებია. იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ამ ყარაჩოხელ ქალს ქალაქში ყველაზე კარგი არღანი ჰქონია, რომელიც ვიღაც შურიანს მოუპარავს და მტკვარში გადაუგდია. სასოწარკვეთილ სონას თბილისი მიუტოვებია და ფოთში გაუხსნია დუქანი.

დუდუკი სალამურის მსგავსი ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავია, აქვს ცხრა თვალი (ავილი) – ნასვრეტი, რვა ზემოდან, ერთი კი ქვემოდან. დუდუკს უკრავდნენ ლხინშიც და გლოვის დროსაც. დუდუკზე სრულდებოდა ცისკრის ჰანგი – დილის საარი*, რომელსაც ძველ თბილისში მხოლოდ ეზოში ან ქუჩაში და მხოლოდ გათენებისას უკრავდნენ.

ყარაჩოხლის ქამარი.

ჩარჩუბაღები – პაჭიჭებზე შემოსაკრავი ბრტყელფოჩებიანი ზონარი; წვივსაკრავი.

გობაკებიანი ქამარი – ქამარი, რომელსაც წინ მუშტისოდენა, გუმბათისებური ვერცხლის ბირთვები აქვს. გობაკი ზოგჯერ ისეთი მოზრდილი იყო, რომ შიგ ნახევარი ხელადა ღვინო ჩადიოდა. ის ყულაბის როლსაც ასრულებდა – ყარაჩოხელი გობაკში აგროვებდა თავის დასამარხ ფულს.

დილის საარი (სპარს. „საჰარ“ დილა) – ცისკრის, დილის ჰიმნი.

კინტო

ძველი თბილისის ფოლორცებისა და შუკების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო თავზე ხილით სავსე თაბახშემოდგმული*, ან ქუჩაში ვირშებმული პატარა „ტაჩკით“ მიმავალი კინტო. იოსებ გრიშაშვილის განმარტებით, კინტო ჰქვია იმ დახვეულ ტილოს, რომელსაც კინტოები თავზე თაბახქვეშ იდებდნენ (კინტო-კინკრიხო, კინწი). აქედან მოდის კინტოს სახელიც.

თაბახი (არაბ. „ტაბაკ“ *თეფში, ფურცელი*) – ხის დიდი ლანგარი, გობის მსგავსი.
კვარტი (ლათ. quarta – მეოთხედი, ნაწილი) – ფხვიერი და თხევადი ნივთიერების საწყაო. ჩვეულებრივ, ლიტრზე ცოტა მეტი.

ხელზე მოვაჭრე კინტო ყარაჩოხელის ანტიპოდია როგორც ჩაცმულობით და მიხრა-მოხრით, ისე სიტყვა-პასუხითა და ცხოვრების წესით. მას ოხუნჯის, ოინბაზისა და ყალთაბანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ნახატი ოსკარ შმერლინგის.

დამშვენებულ ჩითის ხალათზე მოკლე, შავი, ნაოჭიანი ახალუხი ემოსა, ფართო შარვალს წინდებში იტანებდა, ფეხზე წუღები ეცვა, თავზე კი „კარტუზი“ ეხურა. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრავი, „ლოთიანი“ ქეიფის მოყვარული, ღვინით სავსე კვარტიანი* ბოთლით თავზე (ხშირად ბოთლზე ღვინით სავსე „ქამრიანი“ – წელში გამოყვანილი ჭიქაც იდგა) არღნის ხმაზე ბაღდადით ხელში „კინტოურს“ ცეკვავდა (*კინტოური (კინტაური) სრულდებოდა ბაღდადის გათამაშებით, რის გამოც მას ბაღდადურსაც უწოდებენ).*

არღნის სამშობლო საფრანგეთია (რუსეთში ის „შარმანკის“ სახელწოდებით გავრცელდა). საკრავში, რომელსაც ყუთის ფორმა აქვს, მუსიკალური მექანიზმია მოთავსებული. სახელურის დატრიალებისთანავე ჟღერას იწყებს მასში ჩადებული ესა თუ ის მუსიკალური პიესა.

თბილისის პირველი მეარღნეები კინტოები იყვნენ. რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო – ქალაქური ფოლკლორი თუ ნაწყვეტები იმხანად თბილისში დადგმული და ფართოდ გავრცელებული იტალიური ოპერებიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისური ქეიფი

ქალაქის სამხრეთით, ვიწრო კალაპოტიდან განთავისუფლებული მტკვარი ორად იტოტებოდა და წარმოქმნიდა კუნძულს, რომელსაც ვახუშტი „ჭალის ბაღს“ უწოდებს. მოგვიანებით მას ორთაჭალა (თურქ. „ორთა“ შუა და ჭალა) დაერქვა. კუნძულზე გაშენებული ბაღები ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა და მსხვილი ვაჭრების საკუთრება იყო. ბაღების დიდი ნაწილი გიორგი XII-ს ეკუთვნოდა. მეფის სიკვდილისა და მისი ვაჟის – დავით ბატონიშვილის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ ეს მიწები დოსითეოს ფირცხალაურის ხელში გადავიდა, მერე კი თბილისელმა სომეხმა ტერ-შიმოვანოვმა შეისყიდა. მოგვიანებით ბაღები კერძო მესაკუთრეთა შორის დანაწილდა და დაქუცმაცდა.

მცენარეთა სამეფოდ წოდებული ორთაჭალის ბაღები ქალაქელთა გართობა-დასვენების ადგილი იყო. ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა ქალაქის ქუჩებში თაკარა სიცხე ჩამოწვებოდა, ამფსონებთან* ერთად, ვინ ფაეტონით, ვინ კიდევ ფეხით, ბაღებს მიაშურებდა.

ორთაჭალის ბაღებისა და, საერთოდ, თბილისური ნადიმები მტკვრის თევზეულის გარეშე არ ტარდებოდა. ბადით, ფაცრით, ნემსკავითა თუ ოჩხით დაჭერილი სხვადასხვა სახის თევზი მუდამ იყო თბილისელთა სუფრაზე. თევზის საჭერად არისტოკრატიას საგანგებოდ ჰყავდა შერჩეული კაცები. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს თევზეულით ამარაგებდა ცნობილი ორთაჭალელი მეთევზე და მოკრივე ლოპიანა.

ამფსონი – ამხანაგი, ტოლი, თანამესუფრე, თანამეინახე.
მუტრიბი – მემუსიკე-მომღერალი. სულხან-საბას მიხედვით, მეჩონგურე ქალი.

ლექსიკონი

თბილისში ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად ნადიმები ხშირად ორთაჭალის ბაღებში იმართებოდა. 1829 წლის 27 მაისს საქართველოში ჩამოსულ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს თბილისში მყოფმა მისმა ლიცეუმის ამხანაგებმა ორთაჭალის ბაღში მოუწყვეს შეხვედრა და დიდებული სადილი გაუმართეს. „აქ იყვნენ შეკრებილნი სხვადასხვანაირი მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი და აზიელი მუტრიბნი, რომელნიც მაშინ საქართველოში იყვნენ. მთელი ბაღი იყო განათებული მრავალფეროვანი ლიფლიფებით და ცვილის სანთლებით ხის ტოტებზე. შუა ბაღში კი იყო აღმართული ხვეულწერილად იმისი სახელი, ვის საპატივსაცემოდ გამართული იყო ეს ნადიმი.“*

ბაღის ტერიტორიაზე აშენდა საზაფხულო ღია სადგომები. გაიხსნა რესტორნები, რომელთაგან ყველაზე პოპულარული იყო მოკრივე ნიკალა ცაცაშვილის „ელდორადო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგისპური

ზაფხულობით ორთაჭალისა და კრწანისის ბაღებში ხშირად იმართებოდა „რიგისპური“ – სადილები, რომლებსაც ქალაქელები უქმე დღეებში მორიგეობით აწყობდნენ. ეს იყო ოცი, ოცდაათი კაცის ნადიმი. ამ ტრადიციული პურისჭამის ეშხი ის იყო, რომ მასპინძელს კერძების რაოდენობით და ღვინის ხარისხით უნდა დაეჩრდილა „მოქიშპე“ – წინა რიგისპურის მომწყობი. პურობა შუადღის ორი საათისთვის იწყებოდა. სუფრასთან დასხდომისთანავე ირჩევდნენ თამადას. პირველი სასმისი მისი იყო, ვისთანაც შემდეგი რიგისპური უნდა გამართულიყო. მერე კი იწყებოდა სადღეგრძელოების წარმოთქმა მორიგეობით, ისმოდა ოხუნჯობა, მახვილსიტყვაობა, ცეკვავდნენ ლეკურს.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეებმა „რიგისპური“ კონსპირაციული შეკრებების შესანიღბად გამოიყენეს.

XIX საუკუნის თბილისში ქართული ცეკვებიდან ყველაზე გავრცელებული ყოფილა ლეკური. ამ ცეკვას არაფერი აქვს საერთო ლეკების „ლეკურთან“.

იმ დროის ლეკურის შემსრულებელთაგან ცნობილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. მას საგანგებო „ტანცკლასი“ ჰქონდა გავლილი და დაკოჭლების შემდეგაც დღეობებსა და წვეულებებზე საყოველთაო ყურადღებასა და აღფრთოვანებას იმსახურებდა თავისი ლეკურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქნები

ორთაჭალის ბაღების გარდა, ძველ თბილისში მრავლად იყო დროის სატარებელი, საქეიფო ადგილები: კრწანისის ბაღები, თბილისური სარდაფები და დუქნები. განთქმული იყო „ქოსების დუქანი“, „ჭინკების დუქანი“, „ბაბაჭუას დუქანი“... მეპატრონე მუშტრის თვალის მისატაცებლად დუქანს რაიმე ეგზოტიკურ სახელს არქმევდა და მხატვრულად გაფორმებულ აბრას უკეთებდა. ასეთები იყო: „ტილიპუჭური“, „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი“, „სანდრო, ნალეი პივა, თორემ თავი მტკივა“, „ზოლოტიე გოსტი“, „ზოლოტოე ვრემია“, „სამ პრიშოლ“, „ედემი“, „თუმნით ვქეიფობ“, „პივნაია აზია, გვერდზე მიზის ლამაზია“ და სხვ.

ფიროსმანი (1862–1918)

ქართველი მხატვარი. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია; 1990-იან წლებში თბილისში თვითნასწავლ მხატვარ გ. ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო, სადაც დუქნის აბრების შეკვეთებს იღებდა, მედუქნეებისა და მიკიტნების შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. ფიროსმანაშვილი მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც უცნობი დარჩა; ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი სურათების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ძმებს, კირილ და ილია ზდანევიჩებს, მხატვრებს ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძეს. თბილისში დგას ფიროსმანის ძეგლი. არის მისი სახელობის მოედანი და ქუჩა.

ქალაქში განლაგებული პირველი კლასის რესტორნები კლიენტებს, თბილისის მაღალი წრის წარმომადგენლებს, პრესაში გამოქვეყნებული რეკლამის საშუალებით იწვევდნენ:

„ბანკის ბაღი. ტფილისის, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო მამულში, ყოველ დღე მუსიკალური საღამოები მუდმივ იწვევენ ახალ არტისტებს დებიუტებს: მომღერლებს, მოთამაშეებს, მკითხველებს, მოცეკვავეებს და სხვათა. მშვენიერი ორკესტრი, რომელიც შესდგება, ცნობილი ლოტბარის გამგეობით. სადილ-ვახშმები ყოველთვის ახალის ხორცისაგან, სამზარეულოს განაგებს გამოცდილი მზარეული, რომელიც მრავალგვარ საჭმელებს ამზადებს, როგორც ადგილობრივ გემოზე, ისე ევროპულებსაც.

სადილი ორი კერძი, არაყი და სტაქანი ღვინო ღირს 50 კაპ., 4 კერძი, არაყი და 1 ბოთლი ღვინო ღირს 1 მან. სადილები შუადღიდან 6 საათამდე. სადილების დროს უკრავს მუსიკა. საღამოს გასართობები იწყება 9 საათიდან. პატივისცემით გიორგი სხირტლაძე“.

მუშთაიდი

1828 წელს თბილისს შეემატა კიდევ ერთი ბაღი – მუშთაიდი (მას მუშტაიდსაც უწოდებდნენ). მისი ისტორია ირანელ მირ-ფეთე-აღა სეიდის სახელს უკავშირდება. წარმოშობით აზერბაიჯანელი დიდგვაროვნის შვილს, ისლამის მსახურსა და სასულიერო წოდებით მუჯთაჰიდ (შიიტების რელიგიური ლიდერი; აქედან მოდის ბაღის სახელწოდებაც) მირ-ფეთე-აღას რუსეთ-ირანის ომის დროს თავრიზის რუსებისთვის გადაცემის საქმეში მიუღია მონაწილეობა. დაზავების შემდეგ, შაჰის რისხვა რომ არ დასტყდომოდა თავს, რუსებს გაჰყოლია და თბილისში დასახლებულა.

როგორც ირკვევა, მირ-ფეთეს ცოლად ჰყავდა სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ნაყიდი ულამაზესი ქართველი ქალი – ნინო. სწორედ მეუღლის თხოვნით აირჩია ირანელმა საცხოვრებლად თბილისი და გადაწყვიტა აქ დამკვიდრებულიყო.

თავის დროზე რუსეთისთვის გაწეული სამსახურისთვის მთავრობამ მას დიდუბეში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, 50 დესეტინა* მიწა უბოძა.

ერთ-ერთი გადმოცემით, სამშობლოში დაბრუნებულ ნინოს დიდხანს არ უცოცხლია, ექვს თვეში გარდაცვლილა. დამწუხრებულ ქმარს საყვარელი მეუღლე სახლის წინ დაუკრძალავს და მის პატივსაცემად საფლავის ირგვლივ წითელი ვარდების ხეივანი გაუშენებია. ვარდებს თანდათან სხვა ყვავილები, ბუჩქები და ხე-მცენარეები შემატებია. ასე დაიწყო შესანიშნავი ბაღის გაშენება, რომლისთვისაც ირანელ მუჯთაჰიდს მტკვრიდან 12-კილომეტრიანი სარწყავი არხი გამოუყვანია.

დესეტინა – მიწის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. უდრის 1,09 ჰექტარს.

ლექსიკონი

პავილიონი (ბუფეტი) მუშთაიდის ბაღში.

„დირექცია მ. ა. გორგიჯანოვისა
მიხეილის პრ., მუშტაიდის ბაღის შესასვლელთან, ტელეფ. № 152.
ბაღი და თეატრი გორგიჯანოვისა
ყოველდღე „ვარიეტე“.
საზღვარგარეთელი და რუსი პირველი კლასის მსახიობები, გუნდის და კაპელას რუსული დიდი ქორო.
საღამოს 9 საათიდან საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი,
„ვარიეტეს“ დასაწყისი ზუსტად 10 საათზე.
პირველი კლასის სამზარეულო. ბრწყინვალე ბუფეტი, როტონდა, კაბინეტი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირ-ფეთე-აღა აქ ცხოვრობდა, ვიდრე შაჰმა არ შეიწყალა, მერე კი თავრიზში დაბრუნდა. თბილისში დარჩენილი მიწები, ბაღი, უნიკალური სარწყავი არხითა და საცხოვრებელი შენობით მან თავრიზში ვაჭარ ავან-ხან-მელიქ-მეღრიბოვს მიჰყიდა, მაგრამ ახალი მეპატრონე მალე გაკოტრდა და ბაღი საჯარო აუქციონზე გაიყიდა. ის ქალაქის ხაზინამ 29500 რუსულ რუბლად შეიძინა. ამ დროიდან ბაღი თბილისელთა დასვენებისა და გართობის უსაყვარლეს ადგილად იქცა – აქ იმართებოდა სახალხო სეირნობები, კარნავალები, კონცერტები; ქალბატონებისთვის შესვლა უფასო იყო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბაღს „ორჯონიკიძის სახ. დასვენებისა და კულტურის პარკი“ ეწოდა, 1989 წელს კი ისევ ძველი სახელი დაუბრუნდა.



ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ მუშთაიდის ბაღის სცენაზე ნახა პირველად ფიროსმანმა ფრანგი მომღერალი – აქტრისა მარგარიტა.

1935 წელს მუშთაიდის ბაღში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა სამი სადგურით.



პირველი თბილისელი აერონავტი

1864 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: *„კვირას, 24 მაისს, გ. ფ. გალიანის იტალიური დასი მუშტაიდის ბაღში, მდინარე მტკვრის თავზე, 300 არშინის სიმაღლეზე, საქვეყნოდ აჩვენებს დიდ საჰაერო „ASSANSION“-ს.“*

1882 წლის 10 ნოემბერს მუშთაიდის ბაღიდან კიდევ ერთი უცხოელი – ფრანგი პილოტი, კავალერი ბედე მონგოლფერით (ცხელი კვამლით გავსებული საჰაერო ბურთი) ჰაერში 200-300 მეტრზე ავიდა და შორიახლოს დაეშვა.

ერთი თვის შემდეგ გაზეთი „კავკაზი“ მკითხველს ატყობინებდა: *„კვირას, 5 დეკემბერს, მუშთაიდის ბაღის ახლოს, ცნობილი ფრანგი აერონავტი ბატონი ბედე, რომელმაც უკვე მოიპოვა პოპულარობა თავისი ფრენებით, განახორციელებს მესამე ფრენას ცოცხალ ვირთან ერთად. კავალერი ბედე სრულიად დარწმუნებულია, რომ თბილისის პუბლიკა არ დატოვებს მას უყურადღებოდ. დასწრების ფასი 50 კაპიკი. ბურთის აფრენა დაიწყება შუადღის 2 საათზე.“*



ჰაერში ვირთან ერთად 1892 წელს საქართველოში ჩამოსული ჰაერნაოსნობის ოსტატი ოგიუსტ გორდონიც აფრენილა. ვირი იმ დროისთვის თბილისში საყოველთაოდ ცნობილ მედუქნეს აბრაგუნეს ეკუთვნოდა.

ოგიუსტის გამგზავრების შემდეგ თბილისელმა მეწარმეებმა პალადოვმა, გუმიაშვილმა და ბაქრაძემ გადაწყვიტეს, ქალაქში კომერციული ჰაერნაოსნობისთვის დაედოთ სათავე. ერთ დღეს, სახალხო სეირნობის დროს, ალექსანდრეს ბაღში მათ, ფრანგების მსგავსად, საჰაერო ბურთში ვირი ჩასვეს და ასაფრენად მოამზადეს, მაგრამ ქართველთაგან არავინ ისურვა ფრენა, მით უფრო, ვირთან ერთად და ცხოველსაც მარტო მოუხდა ჰაერში ასვლა. ბურთი ავლაბარში, მეტეხის ციხის შორიახლოს დაეშვა. როდესაც ბიზნესმენები იქამდე მივიდნენ, ვირი კალათში აღარ იჯდა, ვიღაცას ემარჯვა და პირუტყვი მოეპარა. გაფრენის იდეის ავტორები იძულებული გახდნენ ვირის მფლობელისთვის ზარალი აენაზღაურებინათ.

ალექსანდრეს ბაღი

1859 წელს მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარატინსკის თაოსნობით ყაბახის ადგილას შვედი არქიტექტორის ოტო სიმონსონის პროექტით გაშენდა დასასვენებელი ბაღი, რომელსაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის პატივსაცემად „ალექსანდრეს ბაღი“ უწოდეს. ბაღს ეკავა 9.044 საჟენი, დაახლოებით 10.000 მეტრი.

„ალექსანდრეს ბაღში“ სპორტული ყიჟინისა და მაყურებელთა აღტაცებული შეძახილების ნაცვლად ახლა უკვე რუსული და ევროპული მუსიკის ხმები ისმოდა, უცხოეთიდან ჩამოსული აკრობატები საცირკო ნომრებს ასრულებდნენ... ყაბახზე მომხდარი „ფერისცვალება“ ბევრისთვის მიუღებელი იყო.

ერთ-ერთი თბილისელი ჟურნალ „ცისკარში“ წერდა: „*საღამოს ხანს ჩაველ ყაბახზე, მუზიკა იკვროდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენდნენ თავიანთს უნარებს ჯამბაზები და გვიჩვენებდნენ თავიანთს ცხენოსნობას.*

დაიწყეს ჯერ გაჭიმულ თოკზე ხტომა ქალებმა და კაცებმა. მერე ატყდა ცხენების ჭენება, ვუყურე, ვუყურე, თუ როგორ ტიტველა დედაკაცები უბელო ცხენებს გავაზე ახტებოდნენ. აი, თქვენც შეგარცხვინათ მეთქი და ამის იქით თქვენთან მომსვლელიც. წამოვდექ საჩქაროდ და გამოვვარდი გარეთ... მომაგონდა ძველი დროის შექცევები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჯირითობა ყაბახზე“.

XIX საუკუნის თბილისში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა დიდ ქალაქებში, (მაგალითად, პეტერბურგში), ყოველდღე 12 საათზე ისროდნენ ზარბაზანს. ძველი თბილისელები ხუმრობით ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ზარბაზანი იყო?“, ე. ი. შაბაშის (შესვენების) დრო არისო?

„საათი ზარბაზანი“ თბილისში თავდაპირველად ძველი არსენალის (ახლანდელი 9 აპრილისა და ზ. ჟვანიას ქუჩების გადაკვეთაზე) მახლობლად იდგა, შემდეგ კი, XIX საუკნის 60-იან წლებში, ალექსანდრეს ბაღში, ქაშვეთის ეკლესიასთან გადაიტანეს. ზარბაზნის ყოველი გასროლა ზიანს აყენებდა ტაძარს, კედლებიდან ცვიოდა ბათქაში, გაჩნდა ბზარები, რის გამოც ეკლესიის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის ხელისუფლებას, „საათი ზარბაზანი“ სხვაგან გადაეტანათ. XIX ს-ის 80-იან წლებში ის მტკვრის მარცხენა მხარეს, ჩუღურეთში, რკინიგზის გადაღმა, არსენალის (ახლანდელი შ. გამცემლიძის) ქუჩის მახლობლად დაიდგა. XIX საუკუნის დასასრულს გაჩნდა „ზარბაზნის შესახვევიც“, რომელიც საათის ტრადიციის მოშლის შემდეგაც კარგა ხანს შემორჩა თბილისის ტოპონიმიკას.*

არსენალი (ფრანგ. arsenal) – სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი.



XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ბაღი ორად გაიყო – ქვედა ბაქანზე (ძველი ყაბახი, შემდგომში – ალექსანდრეს მოედანი) იდგა წმ. ნიკოლოზის სახელობის სამხედრო კორპუსის მცირე ზომის ეკლესია, წმ. ალექსანდრეს სალოცავი (ბაღის სამხრეთით); ზედა ნაწილში კი მოწყობილი იყო წყლის აუზი შადრევნით, რომელიც 24 000 ვედრო წყალს იტევდა. შადრევანი მტკვრის წყლით მარაგდებოდა. აქვე იყო კაფე-რესტორანი. 1885 წელს გოლოვინის პროსპექტის მხრიდან კავკასიაში წარმოებულ ომებში რუსეთის არმიის წარმატებების აღსანიშნავად აიგო „დიდების ტაძარი“ (ახლანდ. სამხატვრო გალერეა).

ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში დაკრძალული არიან ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი კადეტელები (ძმათა სასაფლაო). 1981 წელს ამ ნაწილს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და 2000 წლიდან გიორგი ლეონიძის სახელი ეწოდა.

ალექსანდრეს (მოგვიანებით – კომუნარების) ბაღს XX საუკუნის 90-იან წლებში სახელი შეეცვალა და „9 აპრილის“ ბაღი ეწოდა.

ბოტანიკური ბაღი

თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლისთანავე ქალაქის მმართველობის ყურადღების ცენტრში მოექცა სოლოლაკის სამხრეთით, მდინარე წავკისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში – ლელვთახევში გაშენებული დეკორატიული და სამკურნალო მცენარეების ბაღი, რომლის ისტორია XVII საუკუნიდან, უფრო ზუსტად კი 1636 წლიდან იწყება. მაშინ „სამეფო ბაღად“ (ვახუშტის მიხედვით, „ციხის ბაღი“) წოდებული წალკოტი დასასვენებელი პარკის ფუნქციას ასრულებდა. მოგვიანებით იქ სამი ბაღი გაშენდა – ცალკე სამკურნალო მცენარეების, ცალკე ბოსტნეულისა და ცალკე ხეხილისა. 1845 წლის 1 მაისიდან გრაფ ვორონცოვის განკარგულებით ბაღები, რომლებიც უკვე სახელმწიფო საკუთრება იყო და სააფთიაქო ბაღებად იწოდებოდა, გაერთიანდა და ოფიციალურად „თბილისის ბოტანიკური ბაღი“ დაერქვა.

საყველიერო დღესასწაულები

გაზაფხული ყველაზე მდიდარი იყო დღესასწაულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საყველიერო დღესასწაულები, რომლებიც აღდგომის წინა მოსამზადებელ პერიოდს – დიდმარხვას უძღოდა წინ.

ყველიერის კვირა სინანულისა და ყოველგვარი ამქვეყნიური ადამიანური ცოდვებისაგან განწმენდის დრო იყო. ამ დღეებში ეკლესია კრძალავდა ხორცეულის ჭამას და მორწმუნეთაგან მოითხოვდა ზომიერ ქცევას, მოთმინებას, რათა თანდათან შესჩვეოდნენ მომავალ დიდმარხვას.

ყველიერის მოახლოებისას ყველა ოჯახი იმარაგებდა ფქვილს, რათა ყველიერის ორშაბათს ნაზუქები და ქადები გამოეცხოთ.

XIX საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლებული რუსების გავლენით ქართველებმაც დაიწყეს საყველიერო „ბლინების“ გამოცხობა.

ყველიერის კვირაში ძველი თბილისის ნებისმიერი სახლის ეზოში შეგეძლოთ დაგენახათ საზეიმოდ გამოწყობილი გოგონები, რომლებიც ხეზე, ანდა ბანიანი სახლის ქვეშ, სახელდახელოდ მოწყობილ საქანელაზე შემომსხდარნი მღეროდნენ: „ყველიერში ყველი ვჭამე, აღდგომას კი კვერცხები...“

მოსაღამოვდებოდა თუ არა, ძველი თბილისის სახლების ბანებზე თუ ეზოებში ლხინი იწყებოდა. ისმოდა დაირის ხმა, სიმღერა, ძველ უბნებში შეიძლებოდა შეხვედროდით მესტვირე-იმპროვიზატორსაც, რომელიც გუდა-სტვირზე მღეროდა ამა თუ იმ საგმირო ამბავს.

„თაგვო, თაგვო, გამოდი!“

ყველიერში თბილისის ოჯახებში „სახლიდან თაგვების განსადევნად“ სრულდებოდა ერთი მეტად საინტერესო რიტუალი: ხუთშაბათს, წმინდა შიოს დღეს, დიასახლისი ცალ ხელში ახალგამომცხვარ პურს დაიკავებდა, მეორეში – ასკილის ტოტს და იწყებდა სახლის გარშემო სიარულს, თან ასკილის ტოტს შენობის ყოველ კუთხე-კუნჭულს ურტყამდა და გაიძახოდა: „თაგვო, თაგვო, გამოდი!“ ახე შემოივლიდა მთელ სახლს და შემდეგ პურსა და ასკილის ტოტს სწრაფად გადასცემდა კართან მდგარ პატარა ბიჭს. ეს უკანასკნელი, მიიღებდა თუ არა „მარათონს“, უკანმოუხედავად გარბოდა რაც შეიძლება შორს, თაგვები უკან არ დაბრუნდნენო, და იქ იწყებდა გადაცემული პურის ჭამას. შემდეგ საგანგებოდ მოტოვებულ პურის ქერქს ასკილის ტოტზე წარმოაცვამდა, შორს გადააგდებდა და გამარჯვებული სახით ბრუნდებოდა შინ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ ფანდით ოჯახიდან თაგვებს გაიტყუებდნენ.

სანამ მუშტი-ჯრივი „საიშჯილბაზო და სამაზალო" საქმედ იქცეოდა

ყველიერში იმართებოდა მუშტი-კრივიც.

ძველ თბილისში სხვადასხვანაირი კრივი იცოდნენ: **ხრიდოლი** – კრივი ცალი ხელით, **სალდასტი** – კრივი ქვითა და ხის ხმლებით და **მუშტი-კრივი**. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ეს უკანასკნელი სახეობა. კრივი იმართებოდა ავლაბარში, სიონის ქუჩაზე, აბას-აბადისა და პურის მოედანზე. შეჯიბრების სანახავად უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ჩხუბობდნენ უქუდოდ, გულგაღეღილნი, ჩოხის კალთააკრეფილნი, ახალუხისამარანი, წინდებით. მოკრივეთა ორივე მხარეს თავისი არბიტრი ჰყავდა, რომელიც ცხენზე მჯდომი ხელმძღვანელობდა კრივს.

მოკრივეთა რიცხვი განუსაზღვრელი იყო. მონაწილეობის მსურველნი რიგად იდგნენ. მცირეწლოვნები წინა რიგს იკავებდნენ. ხშირად ფალავნები ამ საერთო რიგში არ დგებოდნენ, ქუჩის კუთხეს იყვნენ მოფარებული.

„კრივი იწყებოდა მოზარდი ყმაწვილკაცებით და იგინი რომ გახურებაში შევიდოდნენ, ხან ერთი და ან მეორე უკან დაიწევდა, მაშინ დაჯაბნილს და დაწეულს მისი უბნის დიდრონები ჩაეშველებოდნენ; ეხლა ისინი დასწევდნენ უკან მოპირდაპირე უბანს და მათაც დიდრონები ჩაეშველებოდნენ, და ასე თანდათანი დიდრონების ჩაშველებით კრივის ასპარეზს დიდრონები იჭერდნენ და მაშინ მოზარდი ახალგაზრდობა დაქანცული და დაბეგვილი სტოვებდა ასპარეზს...

სახელგანთქმული მოკრივენი ორივე უბანს რამდენიმე ჰყვანდა; იგინი მარქაფა რაზმს შეადგენდნენ და მარტო გაჭირვების დროს ჩაერეოდნენ ხოლმე კრივში. ამ მარქაფა მოკრივეთა სახელი მარტო სამისა მახსოვს: ლოპიანა, გიჟუა და ღორკოლა. მათში ყველაზე განთქმული ლოპიანა იყო. ის რომ ჩაერეოდა კრივში, მოპირდაპირეს ისე აწვებოდა, როგორც ძლიერი რამ მანქანა და ბევრჯელ ყოფილა, რომ ხევში ჩაურეკნია მოწინააღმდეგე უბანი" (ნიკო ავალიშვილი, „ივერია", 1885 წ.).

კრივის შემდეგ მიდიოდნენ აბანოში და ქისით ლაზათიანად იზელდნენ დაჟეჟილ და დაბეგვილ ტანს.

მაგრამ ხშირად ბრძოლა ასე მშვიდობიანად არ მთავრდებოდა. საქმეში ერეოდა ქვები, აგურები, ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

განთქმული ფალავანი კულა გლდანელი.

სწორედ ასეთი ამბავი დატრიალდა 1856 წლის 2 თებერვალს სიონის ქუჩაზე გამართული მუშტი-კრივის დროს. მოკრივეებს ქვებიც უხმარიათ, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაშავებულა, ახლომახლო სახლებისა და დუქნების მინები კი ჩამსხვრეულა. შედეგად მეფის მთავრობამ აკრძალა მუშტი-კრივის გამართვა. ამის თაობაზე მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა პეტერბურგში გაგზავნა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც წერდა: „აქ ძველთაგან იყო ცნობილი მუშტი-კრივი, რომელშიც მონაწილეობდა განურჩევლად ყველა... როგორც ქართველ მეფეთა დროს, ისე მათ შემდეგაც, ჩვენი მფლობელობის დროს ის იყო გასართობი და სამხიარულო ყველასათვის, დაწყებული სამეფო გვარეულობით და თავადაზნაურობით, დამთავრებული უბრალო ხალხით. რუსული მმართველობის პირველ წლებში თამაში აკრძალული იყო, მაგრამ თბილისში ციციანოვის ჩამოსვლისთანავე ქალაქის მთელი მოსახლეობის თხოვნით მან ნება დართო ამ თამაშის გამართვისა. ციციანოვი თავადაც ესწრებოდა ხოლმე კრივს, არა იმიტომ, რომ მასში ჩქეფდა ქართული სისხლი, არამედ იმიტომ, რომ ის ამ თამაშს აქაური ხალხის მებრძოლი ხასიათით ხსნიდა.

მუშტი-კრივის მთლიანად აკრძალვა არა მარტო ქალაქის შიგნით, არამედ მის გარეთაც დააღონებს აქაურ მოსახლეობას, რომელზედაც შვილიდან შვილზე გადმოდიოდა ეს მათი საყვარელი გასართობი, ასე მჭიდრო კავშირში რომ არის ხალხის ხასიათთან, მათ გმირობასთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველთათვის, და აქცევს მათ ბრძოლისუნარიანად თავიანთი საზღვრების დასაცავად“.

ასეთი ახსნა-განმარტებითი ბარათის წარდგენის შემდეგ მთავრობამ მუშტი-კრივი დაუშვა, ოღონდ ქალაქგარეთ.

ქართველთათვის მუშტი-კრივი არა მარტო გასართობი სანახაობა იყო, არამედ სამხედრო ვარჯიშიც. მოკრივე ეჩვეოდა თვალის სისწრაფეს, სიმარჯვეს, ავარჯიშებდა ხელის კუნთებს. ჟამთა სვლა ამ ვარჯიშსაც უკარგავდა თავის პირვანდელ მნიშვნელობას; ბოლოს იგი უბრალო სანახაობად – „საიშკილბაზო და სამაზალო“ საქმედ იქცა.

„ჭიდაობას რა უნდა...“

ყველა დღესასწაულს, მუშტი-კრივის მსგავსად, თან ახლდა ქართული ჭიდაობაც. შეჯიბრებები იმართებოდა ღია ცის ქვეშ: ავლაბარში, ჩუღურეთში – კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში, ელიაზე, ახალ კუკიაში, მუშთაიდის ბაღის მოპირდაპირე მხარეს, სადაც იტალიელებს იჯარით ჰქონდათ აღებული მიწის ნაკვეთი (ე.წ. „იტალიელების ბაღი“), მიხეილის გამზირზე, ვერაზე, ფიქრის გორაზე ჭიდაობას მიკიტანი ბაჭაჭუა და წვერიანი ალექსა მოთავეობდნენ.

დიდუბეში, ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად, ძველი იპოდრომის პირდაპირ, თავად ციციშვილს თავის მამულში მოწყობილი ჰქონდა საჭიდაო მოედანი, რომელსაც „კნიაზების კრუგს“ უწოდებდნენ.

ჭიდაობა ასე იწყებოდა: დღესასწაულზე, სადაც ხალხმრავლობა იყო, უცბად, მოულოდნელად, ზურნა „აჭყვიტინდებოდა“. უკრავდნენ რომელიმე საცეკვაოს. ეს იყო თავისებური ხერხი ხალხის ყურადღების მისაპყრობად. დამკვრელების გარშემო თანდათან შეიკვრებოდა ხალხის წრე. სად იყო და სად არა, გამოჩნდებოდა „არბიტრი“ – მსაჯი, ხელში სახრით და მაყურებლებს სთხოვდა, წრე გაეფართოებინათ. ზურნა საცეკვაოდან საჭიდაო ჰანგზე გადადიოდა. და აი, გაირღვეოდა მაყურებელთა წრე და მის შუაგულში გამოჩნდებოდა საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი მოჭიდავე; მას მეორეც მოჰყვებოდა და მისალმების შემდეგ იწყებოდა შერკინება.

სარბიელზე გამოდიოდნენ ცნობილი მოჭიდავეები. თითოეულ მოჭიდავეს თავისი მომხრეები (გულშემატკივრები) ჰყავდა, რომლებიც სანაძლეოს დებდნენ ერთმანეთში; ისინი თავიანთ ფალავნებს შეძახილებითა და ყიჟინით ამხნევებდნენ. ჭიდაობის შემდეგ შერკინებისაგან გახურებულ კუნთებს ჩაცივებული ღვინით იგრილებდნენ, ეტლით მიეშურებოდნენ ქალაქის რომელიმე დუქანში და იქ აგრძელებდნენ ლხინს.

ძველ თბილისში ქართული ჭიდაობის განთქმული ფალავნები იყვნენ: მეტივე დათა ხიზამბარელი, მედროგე ურეხა, კულა გლდანელი (ივანე ყირიმელაშვილი), შაშო ვერელი (კახნიაშვილი), ლევან დიღმელი, დათა ავლაბრელი, კოლა იარმუკელი, ვანო გლდანელი (წამალაშვილი) და ბევრი სხვა.

თბილისში ყოჩები, აქლემები და მამლებიც ჯი ჭიდაობდნენ

ძველ თბილისში ერთ-ერთი საინტერესო სანახაობა იყო ყოჩების ჭიდილი, რომელიც ბაზრის მოედანზე იმართებოდა. საჭიდაოდ ყარაჩოხელი წინასწარ ყიდულობდა კარგ ერკემალს (სამი წლის ცხვარს), სახლში ჰყავდა დაბმული და ასუქებდა, თან „ყოჩაობას“ ასწავლიდა. როცა კარგად გაწვრთნიდა, რქებს გადაუხერხავდა, ქერით „დაათრობდა“, ყელზე ფერად ბაფთას შეაბამდა, შუბლს ენდროთი შეულებავდა და მოედანზე დასაჭიდებლად წაიყვანდა. მოედნის შუაგულში ყოჩის პატრონი მეზობელი დუქნიდან საასპარეზოდ იწვევდა მეორე ყოჩის პატრონს.

ყოჩებს ერთმანეთისაგან დაშორებით აყენებდნენ. ისინი ერთხანს თავდახრილები ათვალიერებდნენ ერთმანეთს, მაყურებლები კი ყიჟინით აქეზებდნენ. ხალხის ღრიანცელზე „მეტოქეები“ ელვასავით მოსწყდებოდნენ ადგილს და ერთმანეთს შუბლით შეასკდებოდნენ.

ჭიდილის დამთავრების მერე სანახაობის მონაწილეები დუქანში მიდიოდნენ გამარჯვებული და დამარცხებული ყოჩების პატრონების „შესარიგებლად“.

ძველ თბილისში გავრცელებული ყოფილა აქლემების ჭიდაობა და მამლების ძიძგილაობა. „საკინკლაო მამალს“ საგანგებოდ არჩევდნენ. მამლების ჩხუბი ეწყობოდა ბაზარში, ქუჩაში, სახლის ბანზე. მამლების პატრონები ერთმანეთს ენიძლავებოდნენ, სანაძლეოს მაყურებლებიც დებდნენ.

ყეენობა

სანახაობათა თვალსაზრისით, ყველიერი კულმინაციას, უმაღლეს წერტილს სახალხო კარნავალის – ყეენობის გამართვით აღწევდა.

დიდმარხვის ორშაბათის წინა დღეებში მთელი ქალაქის ხელოსნები, თითქოს სხვა საქმე არ ჰქონდათ, ამზადებდნენ ხის ხმლებს, ხანჯლებს, შურდულებს... იწყებოდა დიდი მზადება ყეენობისთვის.

...და აი, დადგებოდა ნანატრი დიდი ორშაბათი. ქალაქი ორ ბანაკად იყოფოდა – ისნელებად და ნარიყალას უბნელებად. ისნელებს ემხრობოდნენ ავლაბრელები, ჩუღურეთელები და კუკიელები, ნარიყალას უბნელებს – გარეთუბანი.

„... ყეენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და შემოსეოდა ქალაქს, დაეპყრო დილით მთელი ქალაქი და გზების გზაჯვარედინზე ჩაეყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამვლელ-გამომვლელებისთვის ხარჯი გამოერთმიათ. ამ დროს ნარიყალის მომხრენიც საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს... ყეენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურ ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია; მისი მოხელენი იჭერდნენ გამვლელ-გამომვლელებს და მიჰყავდათ ყეენთან თაყვანის საცემლად. ამ სახით განაგრძო ყეენმა თავისი უფლება მთელ ტფილისს ქალაქზედ შუადღემდის. ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, რომ ერი განუდგა მას და ქართველები სოლოლაკის მაღლობს გადმოდგაო. მაშინვე ყეენი გაემგზავრა საომრად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყეენი საქართველოს ჯარებს ტყვედ ჩაუვარდა ხელში“ (გაზ. „კვალი“, 1893 წ., №6).

თავისი არსებობის მანძილზე ყეენობამ მრავალჯერ იცვალა სახე. თუ XIX საუკუნის დასაწყისში ამ სანახაობის მონაწილე ქალაქის მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი, საუკუნის შუა ხანებში თითქმის ყველა უბანს თავისი ყეენი ჰყავდა. ერთი უბნის ყეენს მეორე უბანში გადასვლის უფლება არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში აატყდებოდა აყალმაყალი და ხშირად წესრიგის ასეთ „დარღვევას“ ხელკეტებით ჩხუბიც მოჰყვებოდა ხოლმე.

ყეენის როლის შემსრულებელს საგანგებოდ არჩევდნენ. ყეენი ჰყავდათ ავლაბრელებს, კუკიელებს, სოლოლაკელებს, ხარფუხელებს და შუაქალაქელებს. მას ხელოსნები ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან. ამორჩეული უარს ვერ იტყოდა. ყეენს იმ ამქრის დროშა მიუძღოდა წინ, რომლის წევრიც თავად იყო. ყეენი გამორჩეული უნდა ყოფილიყო კომიკურობითა და იუმორით. ასეთი იყო გარეგნობითაც: თავზე ქაღალდის წოწოლა ქუდი ეხურა, ცალ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში – ჟანგიანი შამფური, რომელზეც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. ტანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისპანახობის“ მონაწილეები.

გადმობრუნებული ტყაპუჭი ეცვა, წელზე თივისგან დაგრეხილი მსხვილი თულო (თოკი) ერტყა, სახე კი გამურული ჰქონდა. ამგვარად გამოწყობილ ყეენს აქლემზე ან სახედარზე შესვამდნენ (ზოგჯერ უკუღმა) და ამალის თანხლებით, რომელსაც რამდენიმე ხელჯოხიანი მეთაურობდა, ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ. ხელჯოხიანების უფროსი – **ეტიკი** – გამვლელ-გამომვლელს გზას უღობავდა და „ყეენის სალამს“ მიართმევდა, რაც ზანზალაკების ჟღარუნით გამოიხატებოდა. ეს იმას ნიშნავდა, ფული გადაიხადეო. ხაზინადარი ფულს ქისაში ყრიდა, ყეენი კი დავთარში იწერდა შემოსავალს. ნაშუადღევს წაიყვანდნენ ყეენს და მტკვარში ისეთ ადგილას გადააგდებდნენ, რომ არ დამხრჩვალიყო (ხალხური გადმოცემით, ამით განასახიერებდნენ ირანელი მოხელის ქალაქიდან განდევნას). ყეენობისას შეგროვილი ფულით სანახაობის მონაწილენი მთელი ერთი კვირა ქეიფობდნენ.

დროთა განმავლობაში ყეენობამ პოლიტიკური იერი შეიძინა – გასული საუკუნის ბოლოს ყეენი ტყაპუჭის ნაცვლად კიტელს იცვამდა და სამსახურიდან გადამდგარ ლოთ ოფიცერს განასახიერებდა, მისი „მოხელეებიც“ ჩინოვნიკების ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. XIX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს თეატრალური სანახაობა აკრძალა. მიუხედავად ამისა, ყეენობა შეცვლილი სახით მაინც განაგრძობდა არსებობას. მის ნაცვლად გაჩნდა „ყეენობის კუდი“, ანუ „ისპანახობა“. ამ დღესასწაულმა ყეენობის მხოლოდ ბოლო ნაწილი – ქეიფი შემოინახა. ამიტომაც უწოდეს მას „ყეენობის კუდი“. მეორე სახელი, „ისპანახობა“, იმიტომ დაარქვეს, რომ საქეიფო სუფრაზე მხოლოდ სამარხვო საჭმელი ჰქონდათ: ისპანახი, ჯონჯოლი, ღანძილი და სხვა, თუმცა ეს ნადიმს ხელს არ უშლიდა.

დღესასწაულის მონაწილეთ, გარდა იმისა, რომ ქეიფობდნენ და ლხინობდნენ, ერთი კარგი წესიც ჰქონდათ: ქეიფის დროს ფულს აგროვებდნენ, შემდეგ კი იმ ფულით რომელიმე ქალაქელის ღარიბ, გასათხოვარ ქალს მზითევს უმზადებდნენ და ათხოვებდნენ კიდევაც.

„ყეენობის კუდში“, ეტყობა, ამ მიზნით სოვდაგრები, ვაჭრები და გამოჩენილი პირებიც მონაწილეობდნენ. „წელს, – წერდა გაზეთი „კვალი“ 1894 წელს, – „ყეენობის კუდზე“ ჩვეულებრივად დიდი ვაჭრები და სოვდაგრები აღარ დასწრებიან... მათ ნაცვლად სხვაგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შესანიშნავ-პირებმა მიიღეს მონაწილეობა და უფრო ბანკების წარმომადგენლებმა... ფოტოგრაფს გადაუღია იმათი სურათი და საუცხოვო სანახავიც არიან მოქეიფენი ქაღალდის გვირგვინებით თავზე, ანუ ჩაჩებით!.. რომ წესიერება დაცული ყოფილა, ამას ის ამტკიცებს, რომ იქვე თავზე ადგათ მათ პოლიციის ბოქაული, რასაკვირველია, უგვირგვინოდ“.

თავზე ქაღალდის გვირგვინების, „ჩაჩების“ დადგმა და ტანზე „პამპულას“ ტანისამოსის ჩაცმა „ყეენობის კუდის“ ერთ-ერთი აუცილებელი წესი ყოფილა.

ერთ-ერთ „ისპანახობაში“ მონაწილეობა მიუღია დიდ ილიასაც. ეს უნდა მომხდარიყო 1894 წელს, სწორედ იმ „ყეენობის კუდზე“, რომელზეც გაზეთი „კვალი“ მოგვითხრობდა.

ხალხის მოთხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყეენობა, პირვანდელი სახით, დაუშვა 1914 წელს. მას შემდეგ ეს დღესასწაული იმართებოდა არა ყველიერის ორშაბათ დღეს, არამედ შაბათს, და არა ქალაქში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, 1914 წელს ყეენობა ნავთლუღში გამართულა.

ბერიკაობა

აღდგომის წინა კვირას, „ყველიერის“ დასაწყისში, თბილისში მართავდნენ კიდევ ერთ სახალხო დღესასწაულს – ბერიკაობას, რომელიც გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში, დიდმარხვის დასაწყისამდე.

ბერიკაობა, ისევე როგორც ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული საგაზაფხულო დღესასწაული, განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებელი სანახაობაა. მისი სახელწოდება ნაწარმოებია საერთო ქართველური ძირიდან „ბერ“ (შვილი). სხვა მოსაზრებით, „ბერი“ ირანულიდან არის შემოსული და უფროსს ნიშნავს.

ბერიკაობაში ორი მთავარი მოქმედი პირი იყო: მექორწინე ვაჟი – მეფე (მთავარი ბერიკა) და მისი მეუღლე – დედოფალი. ამ როლისთვის მსახიობებს საგანგებოდ ირჩევდნენ. „ბერიკას“ ტყავის ქურქი ეცვა, ხოლო „დედოფალს“, რომელსაც ქალურად ჩაცმული უწვერულვაშო ყმაწვილი კაცი განასახიერებდა, თავზე ქათმის ბუდის მაგვარი ქუდი ედგა.

ვირზე პირუკუ შემჯდარ ბერიკას, რომელსაც ხელში ვირის კუდი ეჭირა და გვერდს დედოფალი უმშვენებდა, სხვა ნიღ-

ბოსანი მონაწილეები მისდევდნენ. სხვადასხვა ცხოველის (თხის, ტახის, კუროს...) ნიღბებს ამზადებდნენ გოგრის გამხმარი, გამომშრალი ქერქისაგან, ტყავისაგან, ფერად-ფერადი ქსოვილებისაგან.

დღესასწაულის დაწყებას ქალაქელებს ბუკისა და ნაღარის ხმაურიანი დაკვრით ამცნობდნენ. მორთულ-მოკაზმული ბერიკები „საყველიერო“ სიმღერებითა და ცეკვა-თამაშით დაივლიდნენ ქალაქის უბნებს და მოსახლეობისაგან საჩუქრებს იღებდნენ. ხალხში მიღებული წესის თანახმად, კარზე მისულ ბერიკებს გულუხვად უმასპინძლდებოდნენ, მერე კი ეწყობოდა ქორწინების ინსცენირება.

ბერიკაობის დროს ქალაქში (უბნებში, ეზოებში, ქუჩებში) ხეებზე ან ბოძებზე კიდებდნენ საქანელებს, რომლებზეც ქანაობდა და ბუქნაობდა ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

სახალხო სანახაობა ბერიკას „სიკვდილით“ სრულდებოდა. მის ცხედარს დასტიროდნენ გამწარებული, მგლოვიარე „დედოფალი“ და სხვა მონაწილენი. თუმცა ყოველივე ამას მაინც კეთილი დასასრული ჰქონდა: ბერიკა ცოცხლდებოდა და ჯავრს იყრიდა „მტერზე“ და „მოტაცებულ“ დედოფალს იბრუნებდა.

ქალაქში ეს დღესასაული საახალწლოდაც ეწყობოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯვარი XVI



1907 წ. ქალაქს შემოუერთდა ვაკე,
1917 წ. – საბურთალო.
1960-1970 წწ. გაშენდა დიღმის მასივი.
1970-80 წწ. გაშენდა გლდანის, შემდეგ
მუხიანისა და ვაშლიჯვრის მასივები.
1970-85 წწ. ვარკეთილის მასივი.
1980-85 წწ. – დიდი დიღომი.



1904 „კონკა“ შეცვალა ვიწროლიანდაგიანმა ტრამვაიმ.

1904 გამოვიდა ჟურნალ „ნაკადულის“ პირველი ნომერი. (1928 წელს დაერქვა „ოქტომბრელი“, 1947 წელს – „დილა“).

1905 თბილისში გაიხსნა „ფილარმონიული საზოგადოება“.

1905 გაიხსნა თბილისის ფუნიკულიორი – სამთო-საბაგირო რკინიგზა.

1906 ქართველმა მეწარმემ მიტროფანე ლაღიძემ უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გახსნა.

1907 აიგო ზუბალაშვილების სახელობის საცალხო სახლი (მარჯანიშვილის თეატრის ახლანდელი შენობა).

1908 თბილისის ქუჩებში გამოჩნდა პირველი კერძო მსუბუქი ავტომანქანა.

1909 დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირისა და კარგარეთელის ქუჩის შესაყარზე გაიხსნა თბილისში ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი „აპოლო“.

1917 დაარსდა თბილისის კონსერვატორია. 1924 წლიდან იგი ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს. კონსერვატორიის შენობა აიგო 1903 წელს არქიტექტორ ა. შიმკევიჩის პროექტით.

1917 თბილისში დაარსდა „ქართველ მწერალთა კავშირი“. 1921 წ. მას გადაეცა მეწარმისა და ქველმოქმედის, აკაკი ხოშტარიას სახლი, რომელიც კიდევ უფრო ადრე გამოჩენილ მრეწველსა და დიდ მეცენატს დავით სარაჯიშვილს ეკუთვნოდა.

1918 გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

1918 დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1919 თბილისში გაიხსნა ქართული საოპერო თეატრი.

1921 25 თებერვალს თბილისში მე-11 არმია შემოვიდა. საქართველო, მისი დედაქალაქი, ხელმეორედ მოექცა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

1921 დაარსდა კინოსტუდია „ქართული ფილმი."

1922 დაარსდა სამხატვრო აკადემია.

1925 თბილისში დაიწყო რადიომაუწყებლობა.

1927 ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დავით არსენიშვილმა დააარსა სათეატრო მუზეუმი (დღევანდელი ხელოვნების სასახლე), რომელიც კარგარეთელის ქუჩაზე, გრაფ ოლდენბურგისა და პრინცესა დადიანის ყოფილ სასახლეში განთავსდა (არქიტ. პ. შტერნი).

1927 გაიხსნა თბილისის ზოოპარკი.

1928 გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1928 დაარსდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

1928 გაიხსნა თბილისის აეროპორტი.

1929 მთაწმინდის ფერდობზე გაიხსნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

1932 დაარსდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.

1933 ვერის სასაფლაოს ტერიტორიაზე დაიწყო ვერის ბაღის მშენებლობა (ყოფილი კიროვის სახელობის პარკი).

1934 თბილისს შეემატა კიდევ ერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ავტობუსი.

1934 დაარსდა ხელოვნების მუზეუმი.

1934 დაარსდა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი.

1934 დაარსდა თბილისის თოჯინების თეატრი.

1935 გაიხსნა ჩელუსკინელების სახელობის ხიდი.

1935 გაიხსნა „დინამოს“ სტადიონი.

1935 გაიხსნა თბილისის ცენტრალური უნივერმაღი, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. დღეს აქ თი-ბი-სი ბანკის სათაო ოფისია.

1936 სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, ქალაქ ტფილისის სახელწოდება შეიცვალა თბილისით.

1937 თბილისში მოძრაობა დაიწყო ტროლეიბუსმა.

1937 ყოფილ ათარბეგოვის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის შენობაში, გაიხსნა საბავშვო სათამაშოების მუზეუმი. 1986 წ. მუზეუმმა ბინა დაიდო შავთელის ქუჩაზე მდებარე ნაგებობაში.

1938 აშენდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა – „იმელი“ (არქიტ. ა. შჩუსევი).

1939 დაარსდა თეატრალური ინსტიტუტი.

1939 გაიხსნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი.

1940 დამთავრდა ცირკის მშენებლობა.

1941 დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

1952 დაარსდა საქ. ეროვნული მუზეუმი (ახლანდელი სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი).

1953 აშენდა „საქქვანახშირის“ შენობა, სადაც 1970 წელს ბინა დაიდო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

1956 9 მარტს საბჭოთა ჯარებმა თბილისში სასტიკად დაარბიეს ქართველი ახალგაზრდობის მშვიდობიანი დემონსტრაცია.

1956 მწყობრში ჩადგა თბილისის სატელევიზიო ცენტრი.

1957 ვაკეში გაიხსნა კულტურისა და დასვენების პარკი (ყოფილი „გამარჯვების პარკი“).

1958 თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად სოლოლაკის ხეივანში აღიმართა საქართველოს სიმბოლური ფიგურა „ქართვლის დედა“ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

1958 ამოქმედდა რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პლატოს სადგურის დამაკავშირებელი დაკიდებული საბაგირო გზა.

1959 ბესიკის ქუჩაზე, სკვერში დაიდგა სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი (მოქანდაკე ტ. სიხარულიძე).

1959 გაიხსნა ორი დიდი საცხოვრებელი რაიონის – ვაკისა და საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი.

1961 დამთავრდა სპორტის სასახლის მშენებლობა (არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე, კონსტრუქტორი დ. ქაჯაია).

1966 საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი.

1966 დაარსდა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. იგი პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში.







1967 გაიხსნა ვახტანგ გორგასლის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

1967 დამთავრდა სასტ. „ივერიის“ მშენებლობა.

1971 გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ახალი საკონცერტო დარბაზი.

1975 დასრულდა ახალი სატელევიზიო ანტენებიანი ანძის (სიმაღლე 276 მ) მშენებლობა სამპროგრამიანი ტელემაუწებლობისა და ოთხპროგრამიანი ულტრამოკლე ტალღოვანი რადიომაუწყებლობისათვის.

1978 14 აპრილს თბილისში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შესანარჩუნებლად.

1978 რუსთაველის გამზირზე დამთავრდა ცენტრალური ტელეგრაფის ახალი შენობის აგება.

1978 დაარსდა ყოველწლიური დღესასწაული „თბილისობა“, რომელიც ოქტომბრის ბოლო კვირას იმართება.

1980 ი. ჭავჭავაძის გამზირზე გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი (მოქანდ. დ. მიქატაძე).

1981 მდ. ვერის ხეობაში დაიწყო საბავშვო ქალაქ „მზიურის“ მშენებლობა.

1988 დაარსდა თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი.

1988 22–29 ნოემბერი – მიმდინარეობდა საპროტესტო შიმშილობის აქციები მთავრობის სახლთან.

1989 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეები სასტიკად დაარბიეს საბჭოთა არმიის სადამსჯელო შენაერთებმა.

1991 შეიქმნა თბილისის მერია – ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

1991 31 მარტი – გაიმართა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის გადასაწყვეტად.

1991 9 აპრილი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I სესიაზე მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

1991 გაიხსნა პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასი“.

1991 1991 წ. 21 დეკემბერი – 1992 წლის 6 იანვარი – თბილისის ქუჩებში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი.

1993 25 მაისს საფუძველი ჩაეყარა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას (არქიტექტორი ა. მინდიაშვილი).

1994 მწყობრში ჩადგა პირველი ფიჭური რადიოსატელეფონო სისტემა.

1997 რესპუბლიკის (დღევანდელი ვარდების) მოედანზე დაიდგა დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

1998 საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“.

1998 აირჩიეს თბილისის საკრებულო – თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

სასულიერო სემინარია.

საქალაქო სახლი.

მეფისნაცვლის სასახლე.

ქამოანთ წმინდა
გიორგის ეკლესია.



ძველი ქუთაისი

„სობორო“.

ქაშვეთის ეკლესია.

ვაჟთა პირველი გიმნაზია.

დიდების ტაძარი.

ჰაუპტვახტი და კალოუბნის ეკლესია.

საარტისტო
საზოგადოების შენობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების მოედნის ისტორია XVIII საუკუნიდან იწყება. იმ ადგილზე, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე – „კოჯრის კარი“ იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ახლანდელი რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა (დღევანდელი ლეონიძის ქუჩის გაყოლებით).

ირან-რუსეთის ომის დროს რუსეთის ჯარებმა კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ პასკევიჩის მეთაურობით ერევნის ციხე აიღეს (1827 წ.). გამარჯვების აღსანიშნავად გენერალს ერევნის გრაფის ტიტული უბოძეს და „პასკევიჩ-ერევანსკი“ უწოდეს. ეს მოვლენა არც თბილისელებს დარჩენიათ უყურადღებოდ და ქალაქის მთავარ მოედანს წარმატებული სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელის პატივსაცემად პასკევიჩ-ერევანსკის სახელი დაარქვეს.

ერევანსკის მოედანზე იმართებოდა საკვირაო ბაზრობებიც, სადაც ძირითადად თივით და შეშით ვაჭრობდნენ (აქედან მოდის სახელწოდება „შეშის მოედანი“).

მოგვიანებით აქ ქარვასლისა და თეატრის შენობა აიგო. ამ დროიდან მოედანს „თეატრის მოედანს“ უწოდებდნენ.

დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთით, დაახლოებით იქ, სადაც ახლა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმია, XVII ს-ის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა (1724 წელს დაანგრიეს თურქებმა). 1825 წ. მსხვილმა მეწარმემ იაკობ ზუბალაშვილმა აქ სასტუმრო „პალასი“ ააგო (არქიტ. მ. ბერნარდაცი). შენობა 1838 წელს შეისყიდა საეკლესიო უწყებამ და იქ სასულიერო სემინარია გახსნა. 1952 წლიდან სემინარიის შენობაში მუზეუმმა დაიდო ბინა.

ერევანსკის–შეშის–თეატრის–თავისუფლების მ ო ე

XVIII ს-ში კოჯრის კარის სიახლოვეს, მისგან დასავლეთით, დაახლოებით ახლანდელი თბილისის საკრებულოს შენობის ადგილას, იდგა „ბეჟანას ქარვასლა“. 1830-იან წლებში მის ადგილზე ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების ორსართულიანი შენობა, პოლიცმაისტერის კანცელარიით. 1878-1879 წლებში ნაგებობა საფუძვლიანად გადაკეთდა და აქ გადმოვიდა „საქალაქო სახლი“. 1882-1886 წელს ხელახალი რეკონსტრუქციის შემდეგ (არქ. ა. ოზეროვი, პ. შტერნი) შენობაში ბინა დაიდო ქალაქის სათათბირომ და ბირჟამ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის დროს მოედანს სახელი შეუცვალეს და „თავისუფლების მოედანი“ უწოდეს. გასაბჭოების შემდეგ მას ჯერ „ზაკფედერაციის მოედანი“ ერქვა, 30-იან წლებში ლავრენტი ბერიას სახელი მიაკუთვნეს, XX ს-ის 50-იან წლებში კი „ლენინის მოედანი“ ეწოდა; 1990 წელს დაუბრუნდა ძველი სახელი – „თავისუფლების მოედანი“.

1956 წლის 21 აპრილს მოედნის შუაგულში საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც 1991 წელს ასევე საზეიმოდ აიღეს. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა. 2006 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა სვეტზე აღმართული წმინდა გიორგის ქანდაკება (მოქანდაკე ზურაბ წერეთელი).

ერევანსკის მოედნიდან იწყებოდა სასახლის პატარა და ვიწრო ქუჩა (16 მ.), რომელიც ერმოლოვის (დღევანდელი 9 აპრილის) ქუჩამდე აღწევდა. მის გაგრძელებაზე მდებარე გოლოვინის პროსპექტი (მან ეს სახელი კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის პატივსაცემად მიიღო), ქალაქის ყველაზე ფართო ქუჩად ითვლებოდა (40-50 მ.). 1918 წლიდან მას შოთა რუსთაველის გამზირი ეწოდა. გასაბჭოების (1921 წ.) შემდეგ სახელი შეეცვალა სასახლის ქუჩასაც და კომინტერნის ქუჩა დაერქვა.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს რეკონსტრუქციას შეეწირა სასახლის ქუჩის მარჯვენა მხარეს მდებარე სარაჯიშვილისა და ზუბალაშვილის ქარვასლები, სომხური ეკლესია და პატარ-პატარა დუქნები. მათ ადგილას ააგეს (1938 წ.) ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღესაც დგას. ყოველივე ამას მოჰყვა კომინტერნის ქუჩისა და გოლოვინის გამზირის გაერთიანება.

კავკასიის მუზეუმს (დღევანდელი ნატო ვაჩნაძის ქუჩა) და საჯარო ბიბლიოთეკას (ახლანდელი ა. ფურცელაძის ქუჩა) კრავდა დღევანდელი ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქალთა პირველი გიმნაზიის შენობა (ამჟამად, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; არქ. ზალცმანი, 1874 წ.). გოლოვინის გამზირის მხრიდან მუზეუმი ღია იყო. მის წინ დიდ მწვანენარგავებიან ეზოში გამზირიდან ჩასვლა კიბით შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს-ის დასაწყისიდან გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ნაგებობებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიკავა კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციამ (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე). ამჟამინდელი სახე სასახლემ 1865–1869 წლებში, შვედი ხუროთმოძღვრის ოტო იაკობ სიმონსონის პროექტით განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო.

გამზირის მარცხენა მხარეს, მეფისნაცვლის სასახლის გაყოლებაზე, სადაც დღეს პარლამენტის შენობაა, ცარიელი, აუთვისებელი ადგილი იყო. მის ზემოთ, შიო ჩიტაძისა და ძმები ზუბალაშვილების ქუჩების გადაკვეთაზე, იდგა არსენალი, რომელიც XIX საუკუნის 50-60-იან წლებში გადაიტანეს ჩუღურეთში, რკინიგზასთან. არსენალის ადგილზე მოეწყო მანეჟი – შენობა, სადაც ხედნიდნენ ცხენებს, ასწავლიდნენ ცხენოსნობას და აწყობდნენ შეჯიბრებებს. 1845 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით, მანეჟი დროებით სათეატრო ნაგებობად გადაკეთდა („მანეჟის თეატრი“).

მეფის რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობისა და მთიელთა დამორჩილების, ასევე 1859 წელს შამილის უკანასკნელი ციხესიმაგრის – ღუნიბის აღების აღსანიშნავად, მეფისნაცვლის სასახლეს, თბილისის ვაჟთა გიმნაზიასა და არსენალს შორის მდებარე ადგილს ღუნიბის მოედანი ეწოდა. მოგვიანებით, 1871-1897 წლებში ამ ადგილზე აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი, ე. წ. „სობორო“ (არქიტექტორი დ. გრიმი).

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში სამხედრო ტაძრის ადგილზე აიგო საქართველოს მთავრობის სახლი.

იმ ადგილზე, სადაც XIX საუკუნის 10-იან წლებში აგებული „ორდონანა-ჰაუსი“ (იგივე ჰაუპტვახტი – სპეციალური შენობა, სადაც დაპატიმრებულ სამხედრო მოსამსახურეს ათავსებენ) იდგა, 1939 წელს არქ. ნ. სევეროვის პროექტით კინოთეატრი „რუსთაველი“ აშენდა. ჰაუპტვახტის გაყოლებაზე, ბარონის (ახლ. ა. ფურცელაძის) ქუჩაზე მდგარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, კინოთეატრის მშენებლობის დროს აიღეს.

1886–1893 წლებში ჰაუპტვახტის გვერდით აშენდა სასტუმრო „ორიენტი“ (არქ. ა. ზალცმანი). XX საუკუნის 80-იან წლებში აქ განთავსდა საქართველოს „მხატვართა სახლი“. შენობა დაინგრა 1991-1992 წლებში თბილისის ცნობილი მოვლენების დროს.

XX საუკუნის 60-იან წლებში ქაშვეთის წინ მდებარე ერთსართულიანი შენობა, ე.წ. „ჰიგიენა“, სადაც განთავსებული იყო საპარიკმახერო და აბანო, აიღეს და ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარი რუსთაველის გამზირიდან მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა.

1888 წელს თბილისში კავკასიაში წარმოებულ ომებში რუსეთის არმიის წარმატებების უკვდავსაყოფად დაარსდა კავკასიის ოლქის შტაბთან არსებული სამხედრო-ისტორიული მუზეუმი – „დიდების ტაძარი“ (არქიტექტორი ვ. ზალცმანი). XX ს-ის დასაწყისში იგი ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას გადაეცა. 1920 წელს აქ გაიხსნა საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი – „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა“.

1911–1915 წლებში აშენდა სასტუმრო „მაჟესტიკი“ (არქ. ტერ-მიქელოვი), დღევანდელი „თბილისი მერიოტი“.

1898 წელს გენერალ-მაიორ რეიტერისაგან შესყიდულ მიწის ნაკვეთზე, ძველი ორსართულიანი შენობის ადგილზე, დაიწყო „ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ სახლის მშენებლობა (არქიტექტორები კ. ტატიშჩევი, ვ. ი. შიმკევიჩი). დღეს აქ რუსთაველის თეატრია.

1886 წელს დაიწყო „სახაზინო თეატრის“, დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობა (არქ. ვ. შრეტერი). 1973 წელს თეატრის შენობა ხანძარმა დააზარალა.

კავშირგაბმულობის სახლის გვერდით, დღესაც არსებულ ორსართულიან შენობაში, XIX საუკუნის 40-50-იან წლებში განთავსებული იყო სასტუმრო „ლონდონი“.

შენობა, რომელსაც თბილისელები დღესაც „ოფიცერთა სახლად“ მოიხსენიებენ (ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლი), „თბილისის საარტილერიო წრისთვის“ („ტფილისსკი კრუჟოკი“) აშენდა (არქ. დ. ჩისლიევი). გასაბჭოების შემდეგ შენობა დროებით პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაეთმო. მოგვიანებით ამიერკავკასიის სამხედრო უწყებას გადაეცა. ამჟამად აქ განთავსებულია სხვადასხვა კულტურული დაწესებულება, მათ შორის ანსამბლი „ერისიონი“.

1921 წელს გოლოვინის პროსპექტზე მიტროფანე ლაღიძემ უალკოჰოლო სასმელების მაღაზია გახსნა (ცნობილია, რომ მაღაზიის აბრაზე რუსული წარწერა ქართული წარწერის ქვეშ მოექცა, რის გამოც ლაღიძე დაპატიმრებას ძლივს გადაურჩა).

გამზირის მარცხენა მხარეს, მეფისნაცვლის სასახლის გაყოლებაზე, 1833 წელს აიგო ვაჟთა პირველი გიმნაზია (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია). შენობამ ამჟამინდელი სახე მიიღო 1869 წელს არქ. ჩიჟოვის პროექტით ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად.

ვაჟთა პირველ გიმნაზიას უშუალოდ ემიჯნებოდა მუხრანბატონების სახლი (აიგო 1877 წ., არქ. ფონ-სკოიანი). ძველი შენობა 1922 წელს ხანძარმა გაანადგურა. ამ ადგილზე 1930-1934 წწ. აიგო კავშირგაბმულობის სახლი.



XX საუკუნის 10-იან წლებში გამზირზე, ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ შენობაში (არქ. ჩისლიევი), ძმები ნიკიტინების „ცირკი“ იდგა.

გოლოვინის, გრიბოედოვისა და ეკლიანი ხევის (ახლანდ. ვ. სარაჯიშვილის) ქუჩების შესაყარზე იდგა წმინდა ფეოდოსი ჩერნიგოველის სახელობის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია (ააშენეს 1909-1910 წწ.). საბჭოთა პერიოდში ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა. მას დააშენეს მესამე სართული, შეიცვალა ინტერიერიც. წლების მანძილზე აქ განთავსებული იყო სხვადასხვა დაწესებულება – ჭადრაკის კლუბი, კომკავშირის რაიონული ორგანიზაცია... ამჟამად აქ „საქართველოს კულტურის ფონდი“ და სხვა დაწესებულებებია.

თბილისში შენობების ნუმერაცია 1891 წელს გოლოვინის გამზირით დაიწყო.

ხელოვნების მუზეუმი.

ქალაქის საკრებულოს შენობა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე.

საცხოვრებელი სახლი.

პარლამენტის შენობა.

ქაშვეთი.

თბილისის კლასიკური გიმნაზია.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა.

კინოთეატრი „რუსთაველი“.

რუსთაველის თეატრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელთა საძიებელი

ა

აბაზი 27
აბანოები 21–23
აბანოთუბანი 21
აბას-აბადის მოედანი 105
აბახანა 20
ადელხანოვი გ. 65
„ადინოჩკა“ 72
აერონავტი 101
აეროპორტი 116
ავაია 60
ავანაანთხევი 10, 83, 122
ავალიშვილი გიორგი 44
ავალიშვილი ნ. 86, 105
ავლაბარი 9, 14–17, 27
ავლაბრის ხიდი 14
ავტობუსი 116
ავტომანქანა 115
ავჭალის აუდიტორია 86
აიხვალდი ე. 56
ალავერდა საზანდარი 40
ალაფხანა 33
ალექსანდერსდორფი 56
ალექსანდრე I 55
ალექსანდრე II 68
ალექსანდრეს ბაღი 101, 102–103
ამილახვარი გივი 19
ამირეჯიბი მაკინე 79
ამფსონი 96
ამქართა აჯანყება 67
ამქარი 36-37
ანა ბატონიშვილი 21
ანდრონიკაშვილი თ. 44
ანდრონიკაშვილი რ. 67
ანთიმოზ ივერიელი 38
ანტონ კათოლიკოსი 38
ანჩისხატი 26, 39
„აპოლო“ 115
არამიანცი მ. 63
არმაღანი 43
არმიაკი 57
არსენალი 102, 125
არსენიშვილი დ. 116
არღანი 94, 95
არწრუნი ე. 67
არწრუნის ქარვასლა 60
ასლანი 31
ასნაფი 36
ასპარეზი 13
ასტროლაბი 38
ასხმოსნიანი სათათბირო 67
აქტრისა მარგარიტა 100
ალა-მაჰმად-ხანი 6, 19, 21, 30, 34, 38, 65
აღნიაშვილი პეტრე 12
აღსაყკალი 37
აშპაშხანა 33
აშურის დღე 50
აშუღი 23, 40-43
ახალი ბაზაზხანა 32
ახალი კუკია 107
ახალუხი 46, 91
ახპატი 41

ბ

„ბაბაჭუას დუქანი“ 98
ბაგრატიონი დავით 44
ბაგრატიონი რ. 78
ბაგრატიონი თეიმურაზ 57
ბაზაზები 32, 83
ბაიათი 40
ბაკენბარდი 93
ბამბის რიგი 32
ბარათაშვილი იესე 29
ბარათაშვილი ნიკოლოზი 13, 93, 97
ბარათაშვილი სიაოში 17
ბარათაშვილის ხიდი 10
ბარბიერი 84
ბარიატინსკი ალ. 88, 102
ბარკანოვი ე. 90
ბარტი 90
ბატონის მოედანი 10
„ბატონიშვილის აბანო“ 21
„ბატონიშვილის სახლი“ 19
ბაღდადი 37
ბელი ალ. 89
ბელინი ვ. 84
„ბეჟანას ქარვასლა“ 123
„ბერიას მოედანი“ 123
ბერი ეგნატაშვილი 38
ბერიკაობა 111
ბერნარდაცი მ. 122
ბესიკი 40, 44
ბეჩარა 40
ბზის მოედანი 16
„ბირჟის“ ეტლები 73
ბისტი 31
ბლოტი 92
ბნელი რიგი 32
„ბოიარსკაია“ *სასტ.* 61
ბორანი 71
ბოტანიკური ბაღი 103
ბოქაული 28
ბოშის უბანი 10
ბრუტალიზმი 69

გ

გაბაშვილი ზაქარია 40
გაბრიელ მაიორი 44
გაბუნია ნ. 86
გაგარინი გრ. 80, 83
გაზაფხულის
დღესასწაული 51
გალაკტიონ ტაბიძის
ძეგლი 119
გ. ტაბიძის ხიდი 68
გალიანი გ. 101
გამბა ჟაკ ფრანსუა 58
განჯის კარი 30
გარეთუბანი 10
გეორგიევსკის ტრაქტატი 6
გერმანელთა კოლონია 68
გივიშვილი 40
გიმნაზია 77
გიორგი XII 31, 55, 96
გობაკებიანი ქამარი 94
გოგებაშვილი ი. 77
გოლოვინი ე. 66, 124
გოლოვინის ქ. 58, 61, 124–127
გორდონი ო. 101
გორხანა 24
„გრანდ-ოტელი“ *სასტ.* 61
გრიმი დ. 125
გრიშაშვილი იოსები 25, 43, 94, 95
გრუზინსკი ე. 67
გუდა-სტვირი 43, 104
გუდიაშვილი ლ. 98
გურამიშვილი დ. 44

დ

დაბახანა 26, 33
დაბაღები 32
დაგეროტიპია 90
დავით აღმაშენებლის
გამზირი 56
დაირა 104
დამქაში 43
დარიალის გზა 30
დასტა 43
დასტურლამალი 28, 34
დარეჯან დედოფალი 14, 15, 18, 19
„დეზერტირების ბაზარი“ 64
დერბეზი 84
დერეიკი 36
დესეტინა 99
დესთე 50
„დიდების ტაძარი“ 103
დიდი სირაჩხანა 61
დიდიძე ვ. 71
დიდუბე 56
„დილა“ *ჟურნ* 115
დილის საარი 94
„დინამოს“ სტადიონი 117
დიღმის ბორანი 71
„დიღმის გზა“ 9
დონიცეტი გ. 84
დოში 83
„დოხტურის ქარხანა“ 33
„დროება“ *გაზ.* 43, 76
დროშკა 72
დუდუკი 43, 94
დუელი 17

ე

ეგზარქოსი 15
ევანგულა 40
„ევროპეისკაია“ *სასტ.* 61
ეკიპაჟი 72
ერევანსკის მოედანი 61, 122–123, 124
ერეკლე II 6, 18, 21, 27, 31, 44, 79
ერეკლე II-ის მოედანი 32
ერისთავი გიორგი 13, 86
ერმაკოვი დ. 90
ერმოლოვის ქ. 124
ეტიკი 111
ეშიკაღასბაში 28
ეჯიბი 25

ვ

ვაკის პარკი 118
ვანო გლდანელი 107
ვანქის ეკლესია 12, 26
ვანქის უბანი 10
ვარდის მოედანი 15
ვახტანგ VI 6, 18, 19, 38, 39, 44
ვ. გორგასლის ძეგლი 119
ვახუშტი ბატონიშვილი 8, 10, 11, 18, 96
ვენეციური დუკატი 31
ვერე 9
ვერის ბაღი 116
ვერის ხიდი 68
ვესტელი ე. 90
„ვეტცელი“ *სასტ.* 61
ვეძისი 9
ველოსიპედი 74
ვირის ხიდი 16
ვორონცოვი მიხეილი 56, 72, 79, 83, 103, 106
ვორონცოვის მოედანი 61

ზ

ზაარბრიუკენის მოედანი 61
ზაზიაშვილი გ. 98
„ზაკფედერაციის მოედანი“ 123
ზალცმანი ა. 61, 126
ზამბურაკები 30
ზანჯორ ზანანები 50
ზარაფხანა 31, 65
ზდანევიჩები 98
ზედგინიძე შიოში 19
ზინდრები 28
„ზირკინაანთ ეკლესია“ 12
ზიჩი მ. 92
ზოოპარკი 116
ზუბალაშვილები 63
ზუბალაშვილი იაკობ 60, 63, 67, 91, 122
ზურნა 37, 43, 94, 107

თ

თაბახი 95
თაბუნი 36
თავისუფლების მოედანი 61, 123
თავრიზი ქ. 99
თათრის მოედანი 10, 33
თამამშევი გ. 83
თარი 40, 42
თაყუაშვილი ისაია 30
თბილისის არქეოლოგიური
მუზეუმი 119
„თბილისის ვილაიეთის
დიდი დავთარი“ 26
თბილისის ისტორიის
მუზეუმი 60
თბილისის კლასიკური
გიმნაზია 77, 127
თბილისის საკრებულო 120
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი 116
„თბილისური ეზო“ 58
თბილისური მარკა 88
თბილისის მერია 120
თბილისის სატელევიზიო
ცენტრი 118
„თბილისობა“ 119
თეატრალური ინსტიტუტი 117
თეატრი 44, 83–86
„თეატრის მოედანი“ 122
თეკლა ბატონიშვილი 60
თელეთობა 48
თეიმურაზ II 6, 13, 18, 38
„თვის შაური“ 27
თოფხანა 26
თოჯინების თეატრი 117
თულუხი 24
თულუხჩი 24
თუმანიშვილი ბაიდური 17
თუმანიშვილი მ. 67
„თხემის ადგილი“ 15

ი

იარმარკა 64
იასაული 28, 29
იასაულების სახლი 29
იგთიბაში 37
იეთიმ-გურჯი 40
ივანოვი გრ. 81
„ივერია“ *სასტ.* 119
„ივერია“ *გაზ.* 76
იზმიროვი ი. 66
„იმელი“ 117
იოანე ნათლისმცემლის
ეკლესია 19
იოანე მიტროპოლიტი 15
ისინდი 49
„ისპანახობა“ 111
იშტვანოვიჩი მიხაი 38

კ

კავალერი ბედე 101
„კავკაზი“ *სასტ.* 61
„კავკაზი“ *გაზ.* 76, 89, 101
კავკასიის მუზეუმი 124

კავშირგაბმულობის სახლი 127
კათოლიკოსი დომენტი 19
კაკაბაძე დ. 98
კალა 10, 18
კალმასობა 32
კალოუბანი 10
კალოუბნის ეკლესია 12, 126
კანძოლი 47
კარეტა 72
კარმირ ავეტარანი 15
„კვალი“ გაზ. 70, 109
კვარტი 95
კვირაცხოვლის ეკლესია 107
კინოსტუდია „ქართული ფილმი“ 116
კინტაური 95
კინტო 95
„კირიჩნი“ 56
„კირხე“ 56
კოლა იარმუკელი 107
კოლონია 56
კომინტერნის ქ. 124
კომპოზიტორთა კავშირი 116
კონკა 74, 115
კონსერვატორია 115
„კოჟრის კარი“ 10
კოშობი 25
კოჟრის კარი 123
კუკია 56, 57
კულა გლდანელი 106, 107
კურტანი 75
კურტნიანი მუშა 75
კოსტავას ქ. 72
„კრუფოკები“ 80
კრწანისის ბაღები 9, 98
კრწანისის ბრძოლა 6

ლ

ლაღიძე მ. 127, 115
ლევან დიღმელი 107
ლევიტესი მ. 90
ლეკური 97
„ლენინის მოედანი“ 123
ლეღვთახევი 103
ლეჩაქი 47
ლილახანა 33
ლიონიძე სოლომონი 19
ლიტერატურული სალონი 78
ლუთერანობა 56
„ლონდონი“ *სასტ.* 61, 127
ლოპიანა 96
ლოტო 81

მ

მადათოვის კუნძული 11, 24
მადერი 65
მაზმანი 36
მალი 27
მამულაშვილი მიხეილი 85
მანეჟი 125
„მანეჟის თეატრი“ 125
„მაჟესტიკი“ *სასტ.* 61, 126
მარკოვი ე. 75
მარულა 13
მარქაფა 105
მარჯანიშვილის თეატრი 115
მაჩაბელი ივ. 77
მახტა 27
მაჯდ-ოს-სალტანე 80
მდადე 25
მდივანბეგი 29
მეთევზე 96
მეთულუხე 85
მელიკ აზარიანცი 58
მელიქის აბანო 21
მელიქიშვილის ქ. 72
მენახშირეები 35
მესტვირე 43
„მესურათხატე“ 90
მეტეხის ხიდი 14
მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია 15
მეტროპოლიტენი 118
მეუნარგია ი. 79, 93
მეფის აბანო 21
მეფის მოედანი 32
მეფისნაცვლის რეზიდენცია 125
მეხაშეების რიგი 33
„მზიური“ 119
მილახვარი 13
მინალთუნი 31
მირ-ფეთე-აღა სეიდი 99
მიხეილის მცირე ხიდი 61
მიხეილის ქუჩა 56, 58
მთავრობის სახლი 125
მკუპრავი 36
„მნათობი“ *ჟურნ.* 76
მოზარდ მაყურებელთა თეატრი 116
მოლოკნები 57
მონგოლფერი 101
მორდალი 28
მორიცი ს. 90
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე 125
მოურავი 28
მუნასიბი 41, 43
მურაშკო ნ. 86
„მურდაშირი“ 24
მუსიკალური კომედიის თეატრი 117
მუტრიბი 96
მუღამბაზი 43
მუშთაიდის ბაღი 58, 99–101
მუხამბაზი 40, 41
მუხრან-ბატონის სახლი 19, 127
მუხრანთუბანი 10
მუხრანის ხიდი 10
მუჯთაჰიდი 99
მუჰარემი 50
მღებავი 34
მშრალი ხიდი 61
მხატვართა სახლი 126

ნ

ნადირ-შაჰი 6, 26
ნავთლუღი 9
„ნაკადული“ *ჟურნ.* 115
ნალბანდი 36
ნაქვთიერი 25
ნაღლი 41
ნაძალადევი 69
ნაძალადევის მუშათა თეატრი 86
ნეგრი ალექსანდრე 20
ნემიროვიჩ-დანჩენკო 24
ნიკოლოზ I 93
ნიჭიერ ბავშვთა სამუსიკო გიმნაზია 63
ნომინალი 88

ო

ობოლენსკი ნ. 58
ობრიე 18
ოზეროვი ა. 123
ოლღას ქ. 72
ორბელიანების აბანო 21
ორბელიანების უბანი 10–11
ორბელიანი გრიგოლი 13, 40, 62, 67, 85, 87, 96
ორბელიანი პაპუნა 18
ორბელიანი მანანა 78
ორბელიანი ყაფლანი 93
ორთაყვირი 25
ორთაჭალა 9
ორთაჭალის ბაღები 37, 49, 96
„ორიენტი“ *სასტ.* 61, 126
ოპერისა და ბალეტის თეატრი 126
„ოფიცერთა სახლი“ 11, 127
„ოქტომბრელი“ *ჟურნ.* 115

პ

„პალასი“ *სასტ.* 122
პანთეონი 116, 117
პანსიონები 77
პასკევიჩ-ერევანსკი 122
პატონი ე. 10, 71
პაუსტი ჰ. 90
პელეტი 82
პეტრუსა საზანდარი 40
პლეხანოვის გამზირი 56
პრისტავი 66
პურის მოედანი 105
პუშკინი ალ. 22, 73, 96

ჟ

ჟანდარმერია 66

რ

რადიომაუწყებლობა 115
რასინი ჟან 44
რაყამი 9
რეგულარული ფოსტა 87
რეისი ფ. 89
რიგისპური 97
რიყე 16–17
როზენი ელ. 78
როინაშვილი ალ. 90
რომანოვი მიხეილი 67
როსტომ მეფე 17, 18, 40
„რუსთაველი“ *კინო* 12, 126
რუსთაველის თეატრი 126
რუსთაველის გამზირი 61, 124
რკინიგზა 69

ს

„საათი-ზარბაზანი“ 102
„საარტისტო საზოგადოება“ 80, 126
„საარტისტო წრე“ 81
საბავშვო სათამაშოების მუზეუმი 117
საბაგირო გზა 118
საზანდარი 40
საზანდარბაში 44
საზი 40
სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი 68
სათავადაზნაურო ქართული სკოლა 77
სათარა 40
სათეატრო მუზეუმი 116
საიათნოვა 40, 41
სალალაკისწყალი 10
სალაყბო 76
სალდასტი 105
სალონი 78
„სამასპინძლო“ 27
სამარქაფო 74
სამების ეკლესია 12
სამების საკათედრო ტაძარი 120
სამდივნო სახლი 29
სამხატვრო აკადემია 81, 116
სამხატვრო გალერეა 126
საყენი 58, 60
სარაიდარი 14
სარაჯები 32
სარაჯიშვილი დავითი 63, 65, 115
სარდარ-აბასის მოედანი 64
სალდათის ბაზარი 64
სასახლის ქ. 124
სასტუმროები 61
სასულიერო აკადემია 60
სასულიერო სემინარია 122
სატელევიზიო ანძა 119
სატიო 24, 25, 70
საფოსტო მარკა 88
„საქართველოს გაზეთი“ 76
საქართველოს ეროვნული მუზეუმი 117
„საქართველოს კულტურის ფონდი“ 127
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 117, 118
„საქართველოს მოამბე“ *გაზ.* 76
საქართველოს სახ. მუზეუმი 124
„საჩინო“ 15, 19
„სახაზინო თეატრი“ 126
„სახალხო სახლი“ 63, 115, 122
სახასო 27
სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი 116
სახელო 28
სახლთუხუცესი 29
საჯარო ბიბლიოთეკა 68, 82, 124
„სეევერნიე ნომერა“ 61
სეეროვი ნ. 126
სეიდაბადი 10
„სიმენსი“ 89
სიმონსონი ოტო 102, 125
სინეზანები 50
სიონის აბანო 23
სიპიაგინი მ. 72
სირაჩხანა (სირაჯხანა) 16
სირმა აბაზი 27
„სიფხიზლის საზოგადოება“ 86
სკუდიერი ჯოვანი 83
„სობორო“ 125
სონღალული 9
სოღდებილი 14
სპორტის სასახლე 118
სტამბა 38
სულხან-საბა ორბელიანი 13, 34, 75, 118
სურბ მინასის ეკლესია 15
სწავლულ კაცთა კომისია 38

ტ

ტატიშჩევი კ. 126
ტელეგრაფი 119
ტელეფონი 89
ტერ-მიქელოვი 126
ტივი 25

სახელთა საძიებელი

ტოლომა 47
ტრამვაი 115
ტროლეიბუსი 117
ტუსაღხანა 29
ტურნეფორი ჟოზეფ-პიტონ 18, 26
„ტფილისსკიე ვედომოსტი“ *გაზ.* 76
„ტფილისის კრუჟოკი“ 80, 127
„ტფილისის უნიკა“ 88
„ტფილისის უწყებანი“ *ჟურნ.* 76

უ

უზალთუნი 31
უზბაში 28
უილბრაჰამი რ. 91
უმანსკი 68
უმლეიზუნი 63
„უპოვართა სახლი“ 63
„უპრავა“ 66
ურაჰა 59
ურთაღი 36
უსტაბაში 36
უტევანი 45
უფლისციხე 117
უქიმერიონის ციხე 120
უჯარმის ციხე 53, 55, 67, 117

ფ

ფაეტონი 73
ფარსადან გორგიჯანიძე 17
ფეთხაინი 26
ფერიცვალების მონასტერი 15
ფილარმონიული საზოგადოება 115
ფირი 37
ფიროსმანი 98, 100
ფლური 31
ფოლორცი 95
ფონიჭალა 9
ფორაქიშვილის დარბაზი 20
ფოსტის სახლი 88
ფოტოგრაფია 90
ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგი 22, 23
ფსონი 37
ფუნიკულიორი 115

ქ

ქათიბი 47
ქალაქის სათათბირო 123
ქალთა პირველი გიმნაზია 124
ქამანჩა 40, 41, 42, 94
ქამრიანი სონა 94
ქარვასლა 30, 58, 59
ქარვასლის თეატრი 83
ქართველ მწერალთა კავშირი 115
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 77
„ქართლის ცხოვრება“ 38
„ქართული რიგის“ სახლი 20
ქართული საოპერო თეატრი 116
ქართული თეთრი 65
ქაშვეთის ეკლესია 126
ქურდიანი ა. 71
ქურთი იეზიდები 75
ქირმანი შალი 43
ქურსი 35
ქურქჩები 32

ღ

ღართისკარი 12
ღვინის აღმართი 16
ღოღობერიძე ნ. 67
ღუბინის მოედანი 125

ყ

ყაბახი 11, 13
ყავანჩები 43
ყაზაზები 32
ყალამქარი 43
ყარაგიოზას თეატრი 41
ყარაჩოხელი 94
ყეენობა 109–111
„ყეენობის კუდი“ 111
ყვავილების ზეიმი 52
ყიფიანი დიმიტრი 68, 72, 75, 82
ყორღანაშვილი დავითი 40, 87
ყორჩიბაში 28
ყოჩების ჭიდილი 108
ყულარაღასი 28
ყურთმაჯა 47
ყურყუთა 9

შ

შადინოვი გ. 60
შათირი 87
შარდენი ჟან 26
შაური 27
შაშო ვერელი 107
შაჰსეი-ვაჰსეი 50
შეგირდი 37
შეიდიში 47, 91
შეითანბაზარი 41, 64
შემოსავლიანი სახლები 58
„შერატონ-მეტეხი პალასი“ 120
„შეშის მოედანი“ 122
შიმკევიჩი ვ. 126, 115
„შირვანული“ სახლი 20
შიიტები 24, 50, 99
შლიაპა 91, 92
შმერლინგი ო. 76, 95
შტერნი პ. 123, 126, 115
შჩუსევი ა. 116

ჩ

ჩარჩუბაღები 94
ჩელუსკინელების სახ. ხიდი 117
ჩილინგრები 32
ჩიჟოვი 127
ჩიხტი 47
ჩოლოყაშვილი დავითი 44
ჩოხა 46, 94
ჩრდილების თეატრი 41
ჩუღურეთი 14, 57

ც

ცაცაშვილი ნიკალა 96
ცირკი 117
„ცისკარი“ *ჟურნ.* 76, 91, 102
ციციანოვი (ციციშვილი) პავლე 55, 106
ციციშვილი დიმიტრი 39
ციციშვილი ესტატე 83
ციხის აბანო 20
„ციხის ბაღი“ 103
ციხის რაბათი 26
ცხვედაძე ი. 77
ცხრაპურას უბანი 10

წ

წავკისისწყალი 21, 56
წერეთელი ზ. 123
წერეთლის პროსპექტი 56
წმ. აბოს ნიში 15
წმ. ირაკლისა და დარიას ეკლესია 15
წმ. პეტრე-პავლეს ეკლესია 15
წყალსადენის ქუჩა 24
„წყნეთის გზა“ 9
წყნეთის ქუჩა 72

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 72, 78
ჭავჭავაძე გარსევანი 72
ჭავჭავაძე ილია 12, 68, 77, 86, 111
ჭავჭავაძე ნიკო 92
ჭერემი 53
ჭაჭნაუმ ძე მოჰამედისა 112
ჭიანური 40
ჭრელი აბანო 21

ხ

ხაბარდა 91
ხარაზები 32
ხარფუხი 49, 56
ხასადარი 14
ხელოვნების მუზეუმი 117, 122
ხელოვნების სასახლე 115
ხიზამბარელი დათა 107
ხიმშიაშვილის აგურის ქარხანა 65
ხლამოვი ვ. 90
ხოშტარია ა. 115
ხოჯავანქი 15
ხოჯეს აბანო 21
ხოფი 25
ხრიდოლი 104
ხუდადაოვი ნ. 86

ჯ

ჯაბახანა 30
ჯამაათი 36
ჯაფარა 40
ჯვრის მამის ეკლესია 19
ჯინჯილხანა 29
ჯორჯაძე ვ. 74

ჰ

ჰაუზხანა 20
„ჰაუპტვახტი“ 126
ჰაშიიესოთუნი 50
ჰაჯივათა 41
ჰელიოსი 73
ჰრინევსკი ჰენრიხ 68
ჰუსეინი (ჰუსაინი) 50

გამოყენებული ლიტერატურა

ბალახაშვილი ი. ძველი თბილისი, თბ., 1951; **გვრიტიშვილი დ. მესხია შ.**, თბილისის ისტორია, თბ., 1952; **გრიშაშვილი ი.**, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986; **დოკუმენტები თბილისის ისტორიისთვის**, ბერძენიშვილი ნ., ბერძნიშვილი მ., წიგნი I, თბ., 1962; **ვახუშტი ბატონიშვილი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV, თბ., 1973; **თბილისის ისტორია,** სარედაქციო კოლეგია, თბ., 1990; **კვირკველია თ.** ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985; **პოლიევქტოვი მ. ნათაძე გ.,** ძველი ტფილისი, ტფ., 1930; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1-11, თბ., 1975-87; თბილისი – ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 წ.

n 21/992

f. 36.243



ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 280.241
3 0

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ქალაქები



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 280.241/3 0

ცივილიზაციები



საქართველო



მეცნიერება და ტექნიკა

ქართული მწერლობა

ქართული ანბანი

ISBN 978-99940-814-6-2
9 789994 081462